გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

№239-240 (5272-5273)

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭიანებით ბუნთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

◎ გუშინ

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში

საუფლო კვართის და ღვთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტის ხსენების დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მცხეთას ეწვია და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სანთლები დაანთო.

მოგვიანებით, პრეზიდენტმა მცხეთაში გაისეირნა და ახლადგაკეთებული სკვერი გახსნა, სადაც საქართველოს პრეზიდენტს ღვთისმშობლის ხატი აჩუქეს.

პრეზიდენტმა სპორტული მოედანიც მოინახულა, შემდეგ კი მცხეთის რაიონში „სახალხო ბანკის“ ფილიალი გახსნა.

ფილიალის გახსნის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი მცხეთის პოლიციის სამმართველოს ეწვია.

იხ. მე-2 გვ.

უშიშროების ფედერალურ სამსახურს ჩაქინა



იხ. მე-6 გვ.

ეს დღეები მღელვარე ნალჩიკში

იხ. მე-7 გვ.

ფრინველის გრიპზე პრეზიდენტმა და მინისტრებმა იმსჯელეს

საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე ფრინველის გრიპის ვირუსის შესაძლო გავრცელებას მომზადებული შეხვდება.

ფრინველის გრიპის გავრცელების მიზნით მიმდინარე სამუშაოების შესახებ საქართველოს პრეზიდენტი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრებს ესაუბრა.

ხელისუფლება ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს, რათა ქვეყნის ტერიტორია და მოსახლეობა ფრინველის გრიპის ვირუსისგან დაიცვას, — აღნიშნეს შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრებმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრ მიხეილ სვიმონიშვილის განცხადებით, ფრინველის გრიპის ვირუსის თურქეთსა და რუმინეთში გავრცელებისთანავე, საქართველომ ამ ქვეყნებიდან ფრინველის ხორცისა და კვერცხის იმპორტი შეაჩერა. „ქვეყნის ეპიდემიოლოგიური სამსახურები შეთანხმებულად მუშაობენ ყველა სტრუქტურასთან, რომელსაც მთავრობის მიერ განსაზღვრული პროგრამით ევალებათ არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე ვირუსის გავრცელება“, — აღნიშნა სვიმონიშვილმა.

გარემოს დაცვის მინისტრ გიორგი პაპუაშვილის ინფორმაციით, საქართველოს ტერიტორიაზე ფრინველის გრიპის გავრცელების ფაქტი ჯერჯერობით არ დაფიქსირებულა. მისივე თქმით, საქართველოში ფრინველის ხორცის შემოტანა იმდენ ხანს იქნება აკრძალული, რამდენიც საჭირო გახდება მეზობელ ქვეყნებში ვირუსის ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისთვის.

ჯანდაცვის მინისტრ ლადო ჭიპაშვილის განმარტებით, ფრინველის გრიპის ვირუსი ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება და იგი იმდენად რთული დაავადებაა, რომ 100 შემთხვევიდან 30-40 სიკვდილით მთავრდება.

ჭიპაშვილის განცხადებით, ხელისუფლება 3-4 დღეში ყველა ღონისძიებას გაატარებს ვირუსის გავრცელების საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

დედის დღიური შვილის კომენტარებით...

„დიდი გაჭირვებით გადავხოხდი მორებზე და მივუახლოვდი ერთ დიდ საბარგო მატარებელს, ვეძახდი ალიოშას, ვეძახდი ხმამაღლა, გავყვიროდი... ჩამოვიარე მთელი გრძელი ეშელონი. მერე გავძვერი იმ მატარებლის ქვეშ და მეორე ლიანდაგზე გაწოლილ ასეთივე მატარებელს მივადექი. შევძახოდი საბარგო ვაგონებში ჩაჭედილ პატარ-პატარა ფანჯრებს, დავრბოდი პირველი ვაგონიდან ბოლო ვაგონამდე... ვეძახდი, ვეძახდი, თავგანწირვით ვყვიროდი!..

იხ. მე-10-11 გვ.

„ეუ ხყ ო“ „ეიუყოეგო“



FLFVBFYBC FEHF RBLTD
CFV LQT LF QFVTC WJW[KJ,C
VBCB CBRDLBKBC ITVLTU

იხ. მე-15-16 გვ.

„მდიდარნი ბევრნი ეოფილან, ოხრად რჩენიათ ქონება“...



იხ. მე-3 გვ.

ან ქურდები იპოვონ, ან ფული დამიბრუნონ!



იხ. მე-20 გვ.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ გუშინ

პოლიციის ახლად გარემონტებულ შენობაში

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ მცხეთაში ადგილობრივი პოლიციის ახლად გარემონტებული შენობა მოინახულა. პრეზიდენტი ნანახით კმაყოფილი დარჩა და ხაზი გაუსვა, რომ მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის ვასილ მაღლაფერიძის მუშაობით კმაყოფილია.

პრეზიდენტის თქმით, ქვეყანაში აღმშენებლობითი პროცესი მიმდინარეობს და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილმა დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გურიის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულად დეპუტატი ალეკო ცინცაძე ინიშნება.

ბიზნეს-სკოლაში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ კავკასიის ბიზნეს-სკოლის კურსდამთავრებულთა გამოშვების ცერემონიას დაესწრო, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გაიმართა.

როგორც მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, საქართველოს ხელისუფლებისთვის განათლების ბიზნეს სექტორის განვითარება მნიშვნელოვანია. მისი თქმით, კავკასიის ბიზნეს სკოლა არის ერთ-ერთი იმ ორი-სამი უმაღლესი კერძო სასწავლებლიდან, რომელიც პროფესიონალ კადრებს ზრდის.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებისთვის განათლების თანამედროვე დონეზე აყვანა პრიორიტეტს წარმოადგენს.

სააკაშვილის აზრით, საქართველოს დღევანდელი უმაღლესი განათლების სისტემა კონკურენტუნარიან კადრებს არ უშვებს, რისთვისაც ამ სისტემას ძირეული რეფორმები ესაჭიროება და ამისთვის ხელისუფლება გადამწყვეტ ნაბიჯებს გადადგამს.

პრეზიდენტის თქმით, განათლების სისტემის რეფორმისთვის მხოლოდ თანხების გამოყოფა არ არის საკმარისი, ამისათვის საჭიროა, პირველ რიგში, რეფორმების ჩატარება.

მისი განცხადებით, საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემა სამჯერ უკეთესად ფინანსდება, ვიდრე რუსეთში და პედაგოგებსაც სამჯერ მეტი ხელფასი აქვთ, ვიდრე რუსეთში.

სააკაშვილმა ისაუბრა ასევე საშუალო სკოლების ინტერნატიზაციაზე, რომელიც აჭარაში წელს დასრულდება, უახლოეს ორ წელიწადში კი მთლიანად ქვეყანაში. გარდა ამისა, მომავალი წლიდან შეიქმნება პროფესიული გადამზადების ცენტრები და სტუდენტებს სტიპენდიებს გადაუხდიან.

პრეზიდენტმა ისაუბრა ასევე უცხო ენების ცოდნის აუცილებლობაზე. მისი თქმით, უცხო ენების უცოდნელად საქართველოს კონკურენტუნარიანი კადრები არ ეყოლება და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა უცხო ენების შესწავლას.

ბანკის გახსნის ცერემონიალზე

მცხეთაში „სახალხო ბანკის“ ფილიალი გაიხსნა. „სახალხო ბანკის“ 125-ე ფილიალის გახსნის ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო.

როგორც „სახალხო ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ განაცხადა, აღნიშნული ფილიალი მცხეთის რაიონის მოსახლეობას და იურიდიულ პირებს უნივერსალურ მომსახურებას გაუწევს.

◎ კვირის თვალსაწიერი

ჩრდილოეთიდან ამოდის... სიძულვილის მზე

გრუზინოფობიამ — ქართველთმოძულეობამ რუსეთში აპოგეას მიაღწია.

ცეცხლზე ნავთი დაასხა საქართველოს პარლამენტის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მდგარი რუსი სამშვიდობოებისთვის გასვლის ვადების დაწესებამ, თუ... არ გამოსწორდებიან.

რაკი ცნობილია, რომ „არ გასწორდება კუდი ძაღლისა“, ამ სამშვიდობოების გამოსწორების იმედიც არ არის.

ეს თვით რუსებმა მშვენივრად იციან და წინდაწინ იღებენ „ფორას“.

მუქარა, ცილისწამება, ნებისმიერ დონეზე თითის ქნევა უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

რიგითი, ყოფითი გრუზინოფობია, ისეთ ნიუანსებში კი ვლინდება, როგორიც ქართული წარმოშობის გამოჩენილი რუსი პოეტისა და მოღვაწის (თვითონ ამბობდა, მე რუსი ვარო) ბულატ ოკუჯავას გარდაცვალების გამო „გამოსათხოვრად“ დაიწერა თავის დროზე (გაზეთი „ვეჩერნი კლუბ“, 1998 წ. 18 მარტი): „გარდაიცვალა ანტირუსული ინტელიგენციის მორიგი წარმომადგენელი და უბრალო რუსმა ადამიანებმა სულ ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქეს“.

რატომ, საიდან მოდის ასეთი მძვინვარე გრუზინოფობია, მკითხველს შეუძლია დაკვალიანდეს შარშან თბილისში, „ოფის პრესის“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ომარ გოგიაშვილისა და ნოდარ ფორაქიშვილის სქელტანიანი (570 გვერდი) შესანიშნავი წიგნით „უგუნურება და უგნურები (არასახალისო გრუზინოფობია)“. იგი როგორც გვატყობინებენ, მხოლოდ პირველი ნაწილია პროექტისა „თანამედროვე გრუზინოფობია“, რომელზე მუშაობაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური კვლევის ცენტრში წარმოებს. ჩემდა გასაოცრად, ეს ზღვა ფაქტებითა და საფუძვლიანი მსჯელობით გაჯერებული წიგნი, რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე, დიდი მოღოდინის მიუხედავად, მასზე არავითარი გამოხმაურება არ წამიკითხავს.

მაგრამ ეს წიგნი აქ მხოლოდ იმის დასტურად ვახსენე, რომ გრუზინოფობია, როგორც მოვლენა, უკვე მეცნიერულადაც შეისწავლება.

დღეს რუსეთში საკმაოდ აქტიურად ხმიანობს ძველი, გამოცდილი საომარი მოწოდება „დასცხე ებრაელებს, გადაარჩინე რუსეთი!“ დღევანვადელობასთან მორგებული უმნიშვნელო ცვლილებით „დასცხე ქართველებს, გადაარჩინე რუსეთი!“

გუშინწინ და გუშინ ნალჩიკში ნამდვილი ფართომასშტაბიანი ომი იყო. ქალაქს თავს დაესხა ბოევიკთა 300-კაციანი რაზმი (როგორც რუსეთის ოფიციალური პირები აცხადებენ — ჩეჩენი ვაჰაბიტები) და სისხლის ღვარი დააყენა. გახმიანდა, რომ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ხელისუფლებას წინდაწინ სცოდნია. და აი, იმის ნაცვლად, რომ კიდევ ერთხელ ჩაუღრმავდნენ, რატომ მოხდა რაც მოხდა და, საერთოდ, რატომ არ აქვს დასასრული კავკასიურ ომს, რატომ ვერ ახერხებს კბილებამდე შეიარაღებული რუსეთის სამხედრო მანქანა ერთი მუჭა აჯანყებულების დაძლევას, რუსულ პრესაში და ელექტრონულ მედიაში უმალ გაჩნდა „ახალი ცნობები“ პანკისის ხეობაში ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ყოფნის, წვრთნებისა და მკურნალობის შესახებ.

რუსი ობივატელის ცნობიერებაზე ახალი იერიში მიიტანეს: მტერი უნდა ვეძებოთო არა მხოლოდ ჩეჩნეთში, არამედ, უპირველესად — საქართველოში.

საქართველო კი, რომელიც თავისთავად მრავალ შეცდომას უშვებს, ხელისუფლების დაუკვირვებლობის ან არაკომპეტენტურობისა თუ სულსწრაფობის გამო, ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია.

მაგრამ რუსეთის სამხედრო მანქანას, თავისი წარუმატებლობის საკომპენსაციოდ, განტევების ვაცი სჭირდება.

ამ დღეებში ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი კიდევ ერთ პროვოკაციაზე წავიდა და კიდევ ერთხელ წააგო. გუშინწინ ახალქალაქის ქუჩებში გამოჩნდა „თურქულსიმბოლიკიანი“ პროკლამაციები (რაღაც გასაკუთრებით დიდი რაოდენობით), რომლითაც მითიური „ჯავახეთის განთავისუფლების არმია“ იქაურებს სისხლიანი ანგარიშსწორებით ემუქრება. ჩანაფიქრის მიხედვით, პროკლამაციებს მოსახლეობა უნდა აეღელვებინა, მისთვის გაეცოცხლებინა ასევე ბოროტად გავრცელებულ ხმები, რომ რუსული სამხედრო ბაზის ჯავახეთიდან გასვლის შემდეგ მას ჩაენაცვლება თურქული კონტინგენტი (?), რომ ამ მიზანს ემსახურება ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანა და ა. შ. ყოველივე ამას კი ხელახლა უნდა აებრიალებინა ჯავახეთში ავტონომიის მოთხოვნით კოცონი და ახალი ცხელი წერტილი შეექმნა საქართველოში.

მაგრამ ყველაფერი ისე თეთრი ძაფით იყო ნაკერი, რომ ყველა ადვილად მიხვდა, რასთან გვქონდა საქმე. საქართველოს პარლამენტის წევრმა ვან ბაიბურთმა და სხვებმა ტელევიზიით გამოსვლისას უმალ გამოკვეთეს, რომ ეს რუსეთის სპეცსამსახურების ნახელავი პროვოკაცია იყო.

ამ პროკლამაციამ სხვა, 15 წლის წინანდელი, ასევე ეჭვმიუტანლად რუსული სპეცსამსახურების შეთითხნილი პროკლამაცია გამახსენა, რომელიც ჩემს არქივში მაქვს შენახული (ბუნებრივია, დაწერილია რუსულ ენაზე):

ᲐᲠᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲐᲡᲘᲗ შეგვარქვეს ჩვენს, საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რუსებს, აზერბაიჯანელებს და სხვებს ქართველმა ნაციონალ-შოვინისტებმა და „არაქართველებში“ „არაადამიანის“ ცნება გააიგივეს.

ქართველები ცდილობენ წაგვართვან სიამაყის, საკუთარი ღირსების გრძნობა. ცდილობენ უარი გვათქმევინონ ჩვენს ენაზე, ტრადიციებზე, კულტურულ მემკვიდრეობაზე, სარწმუნოებასა და ეროვნებაზე.

წაიკითხეთ ქართული გაზეთები სტრიქონებს შუა!

არ ენდოთ ქართულ ინტერნაციონალიზმს!

ქართველები მოღალატე ერია, ამაზე მთელი მისი ისტორია მეტყველებს!

საქართველოს დედაქალაქი თბილისი სომხებმა ააშენეს, მას კვებავენ აზერბაიჯანელები, მის ქუჩებს გვიან ქურთები და იეზიდები, სასაფლაოებს ამშვენიერებენ ბერძნები, ქარხნებში ოფლს, ძირითადად, ღვრიან რუსები. ქართველები კი მხოლოდ ხელმძღვანელობენ ან უსაქმურობენ (რაც ერთი და იგივეა).

უბედურებაში ჩვენო ამხანაგებო, შემოდით საქართველოს ინტერფრონტის რიგებში!

მხოლოდ ინტერმოძრაობა გვაძლევს ჩვენი ბავშვების უღრუბლო მომავლის გარანტიას სსრკ განახლებული ფედერაციის შემადგენლობაში.

რა გველის ჩვენ და ჩვენ შვილებს „თავისუფალ საქართველოში“, როცა უკვე დღეს ყველა უფლება ჩამორთმეული გვაქვს?

ჩვენი ხსნა ერთობაშია!

ჩვენ მხარს დაგვიჭერენ შერეული ოჯახების წევრები და ჩვენ 2 000 000 ვიქნებით!

ბევრი ქართველი ემხრობა ჩვენ იდეებს!

1990 წლის 9 მაისს 14 საათზე ვაკის გამარჯვების პარკში შედგება მიტინგი, რომელზეც ორგანიზაციულად შეიქმნება საქართველოს ინტერფრონტი.

მხოლოდ ინტერფრონტშია ჩვენი ხსნა!“

ასეთი იყო ეს, აშკარად ჩეკას კაბინეტებში შეთხზული ფუჭი პროკლამაცია. არავითარი ინტერფრონტის მიტინგი 1990 წლის 9 მაისს არ ჩატარებულა. მახსოვს, „ინტერშესახედაობის“ ერთი კაციც კი არ გამოჩენილა იქ.

საერთოდ, დიდი ცდის მიუხედავად, თბილისში ინტერფრონტი არ გაჭაჭანებულა, რადგან ყველაფერი, რასაც პროკლამაციაში წერდნენ, სიცრუე იყო და ეს მშვენივრად იცოდნენ თვით იმ „არაქართველებმა“, რომლების „გულებისკენაც“ იყო მიმართული ეს მოწოდება.

სამწუხაროდ, რაც თბილისში ვერ მოახერხეს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში წარმატებით შეძლეს და ფლანგებიდან დაგვარტყეს, თანაც ისე მძლავრად, რომ ჯერაც ვერ მოვსულვართ გონს.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ამ დარტყმებს არ კმარობენ და ახალს ამზადებენ.

საერთოდ საქართველოს წაშლა უნდა მსოფლიოს რუკიდან.

და უსასრულოდ უბერავს საქართველოს, ქართველისა და ყოველივე ქართულის მიმართ სიძულვილის სიო ჩრდილოეთიდან.

განმარტებისთვის: როდესაც რუსულ გრუზინოფობიაზე ვლაპარაკობთ, ძირითადად, მაინც რუსეთის პოლიტიკური ხელისუფლება, მხედრიონი, ურაპატრიოტული პარტიები და მათი ინტერესების წარმომჩენი მედია უნდა ვივარაუდოთ. ყოფით, ადამიანურ ურთიერთობებში ეს სიძულვილი ნაკლებად იგრძნობა. ანუ, ძველი კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ, ხალხი არაფერ შუაშია, რუს კაცს ქართველის შესაძულებელი არაფერი აქვს. თუმცა, როგორც ვთქვი, ეს მაინც ძველი კატეგორიებით აზროვნებაა. რუსეთის ტელევიზია და პრესა ისე ურყვნიან გონებას ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, რომ სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ისინი კბილებს აკრაჭუნებდნენ.

ᲐᲛ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ კიდევ ერთი ღირსშესანიშნაობა პარლამენტის გადაწყვეტილებაა ტერმინალ „ოპიზას“ ირგვლივ ატეხილი სკანდალის შემსწავლელი კომისიის შექმნის თაობაზე.

როგორც იქნა, დაადგა საშველი!

ოღონდ, კომისიის წევრები კი შეარჩიეს, მაგრამ თავმჯდომარის არჩევა კიდევ ორი კვირით, 28 ოქტომბრამდე გადაიდო.

გინდა არ გინდა, გაგიელვებს უკეთური ეჭვი, რომ ეს გაჭიანურება კობა ბექაურის წისქვილზე ასხამს წყალს, რომ ამასობაში იქ შეიძლება მთელი დოკუმენტაცია შეცვალონ და შავი თეთრად წარმოაჩინონ. ყოველ შემთხვევაში, ამ ბოლო დღეებში კობა ბექაურს აშკარად დაუწყნარდა აღელვებული სახე.

და მაინც, საზოგადოებას გულუბრყვილოდ სჯერა, რომ, ბოლოს და ბოლოს, თუ სრულად არა, რაღაც ნაწილი მაინც გაირკვევა სიმართლისა — ბექაური და მისი რამდენიმე თანაპარტიელი პარლამენტარი გარეული არიან თუ არა საეჭვო ბიზნესში...

ᲐᲚᲔᲙᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ პუბლიცისტური ნამცვრევები

1.„მდიდარნი ბევრნი ყოფილან, ოხრად რჩენიათ ქონება“...

რუსეთის სამეფო კარზე ერეკლე მეორის ელჩის, გენერალ გარსევან ჭავჭავაძის უიღბლო, საკუთარი მამულივით უიღბლო, მაგრამ უნიჭიერესმა შვილმა, თავადაც გენერალმა და პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ გასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა: მართალია, ჟამთასვლას არ ვსდევ, მაგრამ... ვშიშობ, ჩემი ქონება ოხრად არ დამრჩესო.

ორ საუკუნეზე მეტია მეფის რუსეთის, ნოე ჟორდანიას, კომუნისტების ეპოქის, ზვიად გამსახურდიას თუ შევარდნაძის ბოლოდროინდელი მმართველობის ხელისუფლებამ ხელუხლებელი შეინარჩუნა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და იქ დაცული ისტორიული ექსპონატები.

მოუარა და შეინარჩუნა.

წინანდლის ბაღი და მუზეუმი მარტოოდენ სახელოვან წინაპართა ადგილის დედა არ არის. ეს ქედუხრელი, ამაყი და უშიშარი საქართველოს მაშინდელ ევროპასთან (რუსეთი, საფრანგეთი) მშვიდობიანი, თანასწორუფლებიანი, სიტყვაგაუტეხელი ურთიერთობის სიმბოლოა. ალექსანდრე გრიბოედოვისა და ნინო ჭავჭავაძის სიყვარულის ისტორია, სამეგრელოს დიდი დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის საოცარი გონიერება და წინდახედულება, დადიანებისა და ფრანგი მიურატების დამოყვრება, გრიგოლ ორბელიანის მიერ ჭავჭავაძეების ოჯახის ამწიოკებელი შამილის დატყვევება... დღევანდელი გადასახედიდან კახეთის ეს თვალმარგალიტი „შემზარავად“ გენიალური, მიუწვდომელი და მშვენიერი ჩანს.

თუმცა, ასე სულაც არ ფიქრობს საბაზრო ეკონომიკის უსაზღვრო შესაძლებლობებით აღტკინებული დღევანდელი ხელისუფლება. თურმე, წინანდლის სახლ-მუზეუმს უჭირს და მისი განახლებარესტავრაცია ოდენ ფულიან ინვესტორს ხელეწიფება, ჯერ ასეთი მაყუთიანი ბიძა არ გამოჩენილა, მაგრამ... ოჯარის პირობები ისეთია, ქვეტექსტშივე იკითხება: მთავრობას ეს წალკოტი და მისი მთავარი სიმდიდრე — განუმეორებელი ღვინის ქარხანა, მუზეუმ-სარდაფი, რომელიღაც თავისიანისთვის (თუნდაც საქუაშვილისთვის) უნდა!

49-წლიან ოჯარაში „კეთილი“ ინვესტორი 700 000 დოლარს გადაიხდის, თანაც, პირობა უნდა დადოს, რომ ჭავჭავაძიანთ მამულის განახლებას 5 მილიონ დოლარს მოახმარს!

ისემც მამა გიცხონდეთ!

49 წელიწადში მინიმუმ ათი განსხვავებული შეხედულების თაობა მოვა საქართველოს ხელისუფლებაში, 49 წლის განმავლობაში ცხრაჯერ მოკვდება ან ვირი, ან ვირის პატრონი. იმ ფულიანი ინვესტორის შთამომავლობა კი, „იურიდიული ნორმების დაცვით“, ნაწილ-ნაწილ გაყიდის ერის საერთო სიმდიდრეს — წინანდლის ბაღს, მის უძრავ-მოძრავ ქონებას და მოგებას ამ ახირებული წინადადების დღევანდელი მფარველის შთამომავლებს გაუნაწილებს.

ასე განკერძოვდება კიდევ ერთი საერთო-სახალხო სიმდიდრე და ჩვენი სულიერი სიამაყე, რომლის პრივატიზება კანონით აკრძალულია.

* * *

ამას წინათ ერთ-ერთი ტელეკომპანიის კორესპონდენტი წინანდლის სახლ-მუზეუმის უკვე ჰაერში გამოკიდებულ თანამშრომლებს ჩაეცივდა: რას ფიქრობთ ჭავჭავაძეების მამულის ოჯარით გაცემაზეო...

— არ გვინდოდა ამის გამხელა, მაგრამ, — პრეზიდენტი იმიტომ არ სწყალობს წინანდალს, აქ ადრე შევარდნაძე და მისი კლანი დადიოდაო!..

...მწარედ გამეღიმა. ნუთუ ეს ჭეშმარიტებაა? ნუთუ მხოლოდ ამიტომ გვრჩება ალექსანდრე ჭავჭავაძის შეუფასებელი ქონება ოხრად?

მაშინ, რის მაქნისია წინანდლისკენ მიმავალი კახეთის გზა, თუ ის თითოეულ ქართველს ჭავჭავაძიანთ მამულში ვერ მიიყვანს?

რის მაქნისია ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში ასე კარგად შემონახულ მატერიალური კულტურის ძეგლს სახელმწიფო სახსრებით ვერ მოუვლის და კერძო პირს გადასცემს?..

რაც არ უნდა პატარა და ფინანსურად ღარიბი იყოს ქვეყანა, მისი ხელისუფლება ერთ ხანს მაინც მდიდარი და ყოვლისშემძლეა. სწორედ ასეთ მედროვეებს შეახსენებს დიდებული გენერალი და პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე: „მდიდანი ბევრნი ყოფილან, ოხრად რჩენიათ ქონება“...

2.შემინული სიცარიელე

ქართველი არქიტექტორები ადასტურებენ, რომ შემინული შენობა-ნაგებობანი სულაც არ ჯდება იაფი. უბრალოდ, ის უფრო სწრაფად კეთდება, ვინემ მონუმენტური, რკინა-ბეტონითა და მოსაპირკეთებელი ქვით გაწყობილი.

თბილისის ცენტრში, უკვე გამოშიგნულ სასტუმრო „ივერიას“ ორ სართულს დაუმატებენ, ერთ დროს შედარებით პაწია ოთახებს გაადიდებენ და, როგორც სარეკლამო კლიპებში გვპირდებიან, „თბილისის სავიზიტო ბარათს“ ერთ წელიწადში დაამთავრებენ.

თავის დროზე არქიტექტორ ოთარ კალანდარიშვილს „ივერია“, 27 სართულზე ჰქონდა დაპროექტებული. მაშინდელმა მთავრობამ, მოსკოვთან შეუთანხმებლად, ვერ გაბედა ამიერკავკასიაში ყველაზე მაღალი ნაგებობის აღმართვა და 22 სართულს დასჯერდა. სამაგიეროდ, საძირკველი და კარკასი დარჩა მკვრივი და ამტანი. „საზიზღარი“ კომუნისტები, ზოგიერთ ნაგებობას, თურმე, რა მყარად აშენებდნენ... ექვსი თვეა ეჯაჯგურებიან „ანდროპოვის ყურებს“, მაგრამ ნახევარიც ვერ მოანგრიეს... ერთხანობას ღამით, ნელ-ნელა აფეთქებდნენ და ეგრეთ წოდებული კაზარიანცის სახლი დაბზარეს, ლამის ავარიული გახადეს... არადა, „ანდროპოვის ყურები“ უმშვენიერესი ისტორიული თაღედი გამოვიდოდა, თუ ის პროექტის შესაფერისად დამთავრდებოდა. ამის შესახებ ხელისუფლებას ჯერ კიდევ შარშან ეაჯებოდა არქიტექტორთა კავშირი, თვით ოთარ კალანდარიშვილის მემკვიდრენი, ჩვენი გაზეთიც კი, მაგრამ... ვინ გიგდებს ყურს... ბოლო ხანს ევროპიდან რამდენიმე რკინისა და ბეტონის საჭრელი ხერხი ჩამოუტანიათ და ახლა ამით ცდილობენ „ანდროპოვის ყურების“ მოშთობას. რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს, მოაშთობენ კიდევაც, მაგრამ საკვირველი ის არის, „ივერიას“ მხოლოდ ორ სართულს რატომ უმატებენ? — ინვესტორისთვის ხუთი არ აჯობებდა? თანაც, უფრო მაგარი „სავიზიტო ბარათი“ გვექნებოდა.

თუმცაღა, „ივერიას“ მალე ჩაყლაპავს ორჯერ უფრო მაღალი ნაგებობა სასტუმრო „აჭარის“ წინ.

დიახ, დიახ, სასტუმრო „აჭარის“ წინამდებარე მოედანი, თბილისის მთავრობის და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ერთი კვადრატული მეტრი ფართობი, 150 დოლარად გაიყიდება და იქ პირველი თბილისური ცათამბჯენი — მინიმუმ 50-სართულიანი სასტუმრო აშენდება. წინასწარ გვახარეს კიდეც, ეს ნაგებობაც შემინული იქნება და თბილისის ყველა უბნიდან მედიდურად გამოჩნდებაო.

ძვირფასო მკითხველო! — როგორ წარმოგიდგენიათ სასტუმრო „აჭარის“ წინ, ტრანსპორტით ასე გადატვირთულ, ისედაც გაუვალ მოედანზე, უზარმაზარი ნაგებობის აღმართვა?

თუ ამას მართლა ვეღირსეთ, მაშინ ნახეთ ამ უბნის მცხოვრებთა გნიასი და ნერვების წყვეტა.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, — ამერიკაში, გაეროს შენობის ერთი კედელი შემინულია და... კარგა ხანია იმ მხარეს არავინ დადის. მინის კედელს თითქმის არავითარი არქიტექტურული ღირებულება არა აქვს, უსახურია და ცივი...

ჩვენ კი ახლა ვიწყებთ შემინული ცათამბჯენების მშენებლობას და ქალაქის ულამაზეს, ბუნებრივ ხედებს (მთაწმინდის თამადობით) უმოწყალოდ ვფარავთ...

ბრავო! — შთამომავლობა ამას უთუოდ დაგვიფასებს...

სპარტაკ ქოგულია

◎ ინფორმაცია

არც არველაძე იყო პლაჟზე წამოწოლილი

პარლამენტის წევრებს - გიორგი არველაძეს, გიგა ბოკერიას, ნოდარ გრიგალაშვილს, ვაჟა კილაძეს, ჰამლეტ მოვსესიანს, აიკ მელტონიანს და თენგიზ გოგიჩაიშვილს პარლამენტის პლენარული სხდომების გაცდენისთვის ჯარიმები დაეკისრებათ. აღნიშნული განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პლენარულ სხდომაზე გააკეთა. ეს გადაწყვეტილება საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა ზურაბ ტყემალაძემ გააპროტესტა.

მისი განცხადებით, აიკ მელტონიანი და თენგიზ გოგიჩაიშვილი, რომლებიც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები არიან, მონაწილეობდნენ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის გამართულ წინასაარჩევნო კამპანიაში, ამიტომაც მათ გასული კვირის გაცდენები საპატიოდ უნდა ჩაეთვალოთ.

“არც გიორგი არველაძე იყო პლაჟზე წამოწოლილი“, - აღნიშნა ბურჯანაძემ და ოპოზიციის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

აკადემიკოსს მიწა არ ეკუთვნის?

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მალხაზ ზაალიშვილი კატეგორიულად უარყოფს ფინანსური პოლიციის და განათლების სამინისტროს განცხადებას, იმის თაობაზე, თითქოს იგი თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტის შენობაში საცხოვრებელ სახლს არაკანონიერად იშენებს.

მალხაზ ზაალიშვილის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მას მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 18 მაისს №466 განკარგულებით კანონით განსაზღვრული წესის სრული დაცვით გადაეცა. კერძოდ, ზაალიშვილის თქმით, ეს ნაკვეთი მან „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების საფუძველზე მიიღო, რომლის თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის პირდაპირი წესით განკარგვის საკითხს საქართველოს პრეზიდენტი წყვეტს.

გამოქმიებელი ქალი ფალსიფიკაციის ბრალდებით დააკავეს

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურამ მტკიცებულებების ფალსიფიკაციის ბრალდებით შს ქარელის ქვეგანყოფილების გამომძიებელი მარიამ მარიამიძე დააკავა.

შიდა ქართლის საოლქო პროკურატურა მარიამიძეს განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის უსაფუძვლოდ შეწყვეტას და ფაქტობრივი გარემოებების შეცვლაში ადანაშაულებს.

მარიამიძე თავდაპირველად გორის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, თუმცა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და იგი გორის სამშობიაროს გინეკოლოგიურ განყოფილებაში მოათავსეს.

ექიმები აცხადებენ, რომ მისი მდგომარეობა საკმაოდ რთულია. პატიმარს ბადრაგი დარაჯობს და პრესას მასთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევენ.

ინტერპრესნიუსი

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ ანაფორიანი სეპარატიზმი

„...ვისაც თავისი ძმა სძულს, სიბნელეში იმყოფება“

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო, ნათქვამია.

ანდაზა ანდაზად, მაგრამ აფხაზეთისთვის, რომელიც საქართველოს იურისდიქციასაც არიდებს თავს და საქართველოს საპატრიარქოს მრევლობასაც, იგი პირდაპირი მნიშვნელობით ითქმის.

აფხაზეთში არსებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიები უპატრონოდ დარჩა და უმალ დაეპატრონა ეშმაკი.

აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ირგვლივ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, პირდაპირ აისახება ქართული და რუსული ეკლესიების ურთიერთობებზე. როგორც ადრე, ისე ახლაც, რუსეთში ეკლესია პოლიტიკური მმართველობის გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ ეკლესიის პირველ პირთა ქმედება ხშირად რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკით არის განპირობებული, რაც ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს და ავტოკეფლურ მართლმადებელ ეკლესიებს შორის ევქარისტულ კავშირებს.

მაგრამ, ჯერჯერობით, რუსეთის მხედრიონისა და პოლიტიკური „ქორებისგან“ განსხვავებით, რომლებიც უკვე ურცხვად ადებენ ხელს მთელ აფხაზეთს, „მისაერთებლად“ ეპოტინებიან, რუსეთის ეკლესიას ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის თავის დაქვემდებარებაში მიღების შესახებ ოფიციალური პრეტენზიები ჯერ არ გამოუთქვამს. ხმამ გამოჟონა, სეპარატისტულ ხელისუფლებასთან შეხვედრისას (21 მარტს) რუსეთის პატრიარქმა მხოლოდ ეს განაცხადა, დაინტერესებული ვარ აფხაზეთში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ქრისტიანული ძეგლების აღორძინება-შენარჩუნებითო.

რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში აფხაზეთის ეპარქიის შეყვანის თხოვნით სხვადასხვა დროს რუსეთის პატრიარქთან ჩადიოდა ე. წ. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიული საბჭოს მმართველი ბესარიონ აპლია (ფილია). მას ყოველთვის თბილად იღებდნენ და ეხმარებოდნენ (2004 წლის 10-13 ივლისს, მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, ალექსი II-ის კურთხევით, 3 ლიტურგიაც კი ჩაატარებინეს აფხაზურ ენაზე). მაგრამ, ვიმეორებ, პატრიარქს თავისი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ საჯაროდ არასოდეს გამოუთქვამს.

სამაგიეროდ, არსებობს ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში დაიწყება ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსის მასშტაბური და ძვირადღირებული სარესტავრაციო სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რუსეთის ფედერაციის ივანოვოს ოლქის როგორც სახელმწიფო, ისე ბიზნესტრუქტურების წარმომადგენლები. რუსეთის საპატრიარქოს ახალი ათონის რუსულ ქრისტიანულ ცენტრად გადაქცევა სურს, საქმიანი წრეების მიზანი კი იქ მაღალი დონის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაა...

რუსული ეკლესია დიდ ინტერესს იჩენს, ასევე, სოფელ კამანის წმინდა ადგილების მიმართ, სადაც ხშირად ჩადიან რუსი ბერები და მომლოცველები. ამბობენ, რუსმა მონაზვნებმა სოხუმის შემოგარენში, მდინარე ბესლეთის ნაპირზე, თამარის ხიდთან, საკარმიდამო ნაკვეთები შეისყიდეს და იქ დედათა მონასტრის დაარსებას აპირებენო.

აფხაზეთში დაძვრებიან რუსეთიდან ჩამოსული ე. წ. „ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ეკლესიის“ (რუსეთში მოქმედი საკმაოდ ძლიერი სექტა, რომელსაც ოფიციალურად არ ცნობენ) წარმომადგენლები — ამ სექტის ყუბანის ეპარქიის შემადგენლობაში აფხაზეთის ეკლესიათა შეყვანა სურთ.

ახლა, რაც შეეხება თვით აფხაზეთის ეპარქიას და საეკლესიო ადმინისტრაციას. დღეისთვის სეპარატისტთა მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედებს 11 მართლმადებელი ეკლესია: სოხუმის საკათედრო, გუდაუთის ღვთისმშობლის სახელობის, გაგრის ღვთისმშობლის სახელობის, ბიჭვინთის, ლიხნის ღვთისმშობლის მიძინების, ახალი ათონის სვიმონ კანანელის სახელობის, იაშტუხის, აგუძერის ილია წინასწარმეტყველის სახელობის, დრანდის ღვთისმშობლის სახელობის, ილორის წმინდა გიორგის სახელობის, ჭუბურხინჯის წმინდა გიორგის სახელობისა და 2 მონასტერი: ახალი ათონის და კამანის წმინდა იოანე ოქროპირის სახელობისა. მოქმედებს, აგრეთვე, 2002 წლის სექტემბერში გახსნილი ახალი ათონის სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც სწავლების კურსს 12 სტუდენტი გადის.

ახალი ათონის ეკლესია

საეკლესიო ადმინისტრაცია წარმოდგენილია ე. წ. „სუხუმო-აბხაზსკაია“ ეპარქიის საბჭოს სახით, რომელსაც ა. წ. 26 მაისის შემდეგ სათავეში უდგას ორი თანათავმჯდომარე: „მამა ვისარიონი“ — ბესარიონ იონას ძე ფილია (იგივე ბესარიონ იოანეს ძე აპლია) და ბერმონაზონი ანდრეი (ამპარი). ახლა ამ თანათავმჯდომარეებს გავაცნობ მკითხველს.

ბესარიონი (აპლია-ფილია) 1947 წელს დაიბადა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში. დამთავრებული აქვს სოხუმის ინდუსტრიული და ბათუმის სავაჭრო ტექნიკუმები. ახალგაზრდობაში ე. წ. ქურდული ტრადიციების მატარებელი ყოფილა. ნასამართლევია — სასჯელს რუსეთის ფედერაციის ჩიტის ოლქში იხდიდა (ბ. ფილია-აპლიას ნასამართლობის შესახებ საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრში მონაცემები არ მოიპოვება). სასჯელის მოხდისა და აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ მსახურება დაიწყო ლიხნის ტაძარში მედავითნედ, ხოლო შემდეგ მორჩილი გახდა (ის პირველი აფხაზი იყო, ვინც ლოცვებს მშობლიურ ენაზე კითხულობდა). 1989 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა დიაკვნად აკურთხა, ხოლო 1999 წელს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა — მღვდლად. მსახურობდა სოხუმის საკათედრო ტაძარში. 1992-1993 წლების საომარი მოქმედებების დროს გუდაუთის ეკლესიის წინამძღვარი იყო, ამასთან აქტიურად მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში და ქართველთა ხოცვა-აწიოკებაში. ამბობენ, ბ. ფილიას სოხუმის ეკლესიაში ხშირად სტუმრობდნენ რუსი მაღალჩინოსანი სამხედროები, რომელთა გამასპინძლების შემდეგაც მთვრალი ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა ხოლმე მრევლსო. რუსულმა ეკლესიამ იგი ღირსი მამის სერგი რადონეჟელის მე-3 ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

არსებული ინფორმაციით, აგრესიულად პრორუსული პოზიციისა და სასულიერო პირისთვის უღირსი ქცევის გამო „მამა ვისარიონი“ არ უყვართ აფხაზეთში მოღვაწე ზოგ მღვდელმსახურსა და მორწმუნეთა გარკვეულ ნაწილს. ამგვარი პოზიცია აქვთ მის მიმართ გაგრის ეკლესიის მოძღვარს მამა პეტრეს (ხარჩენკო), რომელიც წირვისას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს იხსენიებს და ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარს ბერმონაზონ სერგის (ჯოპუა).

მეორე თანათავმჯდომარეს ბერმონაზონ ანდრეის (ამპარი) მოსკოვის სასულიერო აკადემიასთან არსებული ხატწერის სკოლა აქვს დამთავრებული. მღვდლად ეკურთხა 1997 წელს მაიკოპის ეპარქიაში. ბ. აპლიამ წლეულს, 16 მაისს, თანამდებობიდან გადააყენა, მაგრამ ის მაინც დარჩა ახალი ათონის წმიდა სიმონ კანანელის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვრად.

ეპარქიული საბჭოს მდივანია მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული, ახალი ათონის სასულიერო სასწავლებლის პრორექტორი გერმან მარშანია. აფხაზეთის ახალი თაობის სასულიერო პირთა შორის იგი ნიჭიერ პიროვნებად, იდეოლოგად ითვლება.

ეპარქიის საბჭოში შედიან: ბერმონაზონი დოროფეი (დბარი) — კამანის მონასტრის წინამძღვარი, ახალი ათონის სასულიერო სასწავლებლის რექტორი, ღვთისმსახურების კანდიდატი, რომლის სადისერტაციო ნაშრომია „ქრისტიანობის ისტორია აფხაზეთში პირველ ათასწლეულში“ (ის ამ მხრივ პიონერია), ბერმონაზონი ვასილისკი (ლეიბა) — გუდაუთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მღვდელი გიორგი (ხორკინი) — იაშტუხის ეკლესიის წინამძღვარი, ბერმონაზვნები იოანე (სვისტუნოვი), სერგი (ჯოპუა) — ილორის ეკლესიის წინამძღვარი და იგნატი (კიუტი) — აგუძერისა და მოქვის ეკლესიების წინამძღვარი, მოსკოვის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული, ახალი ათონის სასულიერო სასწავლებლის პრორექტორი.

არის ცნობები, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მწიფდება დაპირისპირება ბესარიონ ფილია — აპლიასა და რუსეთის სასულიერო სასწავლებელში განათლებამიღებულ ახალგაზრდა აფხაზ კლირიკებს — ანდრეის, დოროფეისა და გერმანს შორის. მათ სურთ ე. წ. აფხაზეთის ეპარქიის მმართველობას ჩამოაშორონ ქართული ეკლესიის მიერ ხელდასხმული სასულიერო პირები, როგორებიც არიან ბესარიონი, რომლის წინააღმდეგ არგუმენტად იყენებენ მის კრიმინალურ წარსულს და დაკავებულ თანამდებობასთან მისი სასულიერო ხარისხის შეუსაბამობას და სერგი. ბერმონაზონ სერგის სასულიერო განათლება თბილისში აქვს მიღებული. არსებული ინფორმაციით, ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, რომლის წინამძღვარიც ის არის და რომლის მრევლის ძირითად ნაწილსაც შერეული ქართულ-აფხაზური ოჯახების წევრები შეადგენენ, წირვას ქართულ და რუსულ ენებზე ატარებს.

სოფელ ილორში საეკლესიო დღესასწაულებზე ხშირად ჩადის სოხუმის, გულრიფშისა და გალის რაიონების მოსახლეობა. ბოლო პერიოდში აღინუსხა ფაქტები, როდესაც ილორის ეკლესიაში ბავშვები მოსანათლად ზუგდიდის რაიონიდანაც ჩაიყვანეს.

ყოველივე ეს აფხაზური უშიშროების სამსახურის ყურადღების მიღმა არ რჩება. ასეთი ღონისძიებების დროს ეკლესიის ეზოში ხშირად იმყოფებიან იქაური თანამშრომლები. შარშან 7 იანვარს ილორის ეკლესიაში საშობაო საზეიმო წირვა, მამა სერგისთან ერთად, ჩაატარა თბილისიდან ჩასულმა წმიდა მიხეილ ტვერელის ეკლესიის მღვდელმა მამა კონსტანტინემ. წირვის შემდეგ მას აფხაზმა პოლიციელებმა მიაკითხეს და, მამა სერგის წინააღმდეგობის მიუხედავად, ოჩამჩირის რაიონის მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს. მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, როცა მამა სერგის დახმარებით მის სახელზე ადგილობრივი უშიშროების სამსახურის მიერ გაცემული საშვი წარადგინა.

სერიოზულ ძალად ყალიბდება დიაკვანი დავითი (სარსანია). დაიბადა 1978 წელს გუდაუთაში, ეროვნებით აფხაზია. 1994-98 წ. წ. დაამთავრა მოსკოვის სასულიერო სემინარია, 1998-2002 წლებში — სასულიერო აკადემიის ასპირანტურა. სწავლობდა შვეიცარიის ბოსეს სახელობის მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ინსტიტუტში. მსოფლიოს სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებთან ერთად ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებში, სადაც პროპაგანდას უწევს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ავრცელებს ანტიქართულ განწყობას. არის განათლებული, ამბიციური კაცი. იკვეთება, რომ დავითის სახით აფხაზეთის სასულიერო წრეებში ასპარეზზე ახალი ლიდერი გამოდის. ამასთან, ვარაუდობენ, რომ ანდრეი, დოროფეი და გერმანი არ დაუშვებენ მის წინსვლას.

წლეულს, 29 მაისს, ოპოზიციას განზრახული ჰქონდა აფხაზეთში საეკლესიო კრების მოწვევა და ახალი, ჯერ გაუხმაურებელი საეკლესიო წესდების მიღება. ამ წესდებით, აფხაზეთში უნდა აღდგეს დამოუკიდებელი საეპისკოპოსო კათედრა 1851 წლის სტატუსით, რომლის მიხედვითაც რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაიქვემდებარა და კავკასიის ეგზარქატის შემადგენლობაში შეიყვანა აფხაზეთის ეპარქია.

მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მაიკოპისა და ადიღეს ეპისკოპოს პანტელეიმონთან, რათა მას საჯაროდ გამოეხატა თავისი მხარდაჭერა ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ პანტელეიმონმა თავი აარიდა აფხაზეთის ეკლესიაში მიმდინარე პროცესებში ღიად ჩარევას და მასთან „საქმის გასარჩევად“ ჩასულ დაპირისპირებულ აფხაზ სასულიერო პირებს კომპრომისულ ვარიანტზე წასვლა — საეპარქიო საბჭოს ორი თანათავმჯდომარის არჩევა ურჩია. ამრიგად, ეპისკოპოსმა საკმად ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო და სკანდალს გაერიდა, რომელიც ნებისმიერი მხარისთვის გამოკვეთილად მხარდაჭერას მოჰყვებოდა. მან არ გაანაწყენა აფხაზეთში გარკვეული ავტორიტეტის მქონე „მამა ვისარიონი“ და მისი მხარდამჭერები, ამავე დროს ეპარქიაში მიმდინარე პროცესების კონტროლი და ახალი წესდების (რომელიც უკვე არსებობს) შემუშავება რუსეთის ეკლესიის ხელდასხმულთ — ანდრეის, დორიფეისა და გერმანს დაავალა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ე. წ. „სუხუმო-აბხაზსკაია“ ეპარქია ცდილობს რუსეთის გარდა დამოუკიდებელი ურთიერთობები სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთანაც დაამყაროს. მაგალითად 2001 წელს ახალი ათონის მონასტრიდან საბერძნეთში სასწავლებლად გაგზავნეს ლეონიდ აჯინჯალი, რომელიც სასულიერო ლიცეუმის დამთავრების შემდეგ სალონიკის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ოფიციალური ინფორმაციით, „სუხუმო-აბხაზსკაია“ ეპარქიის შემოსავლის ძირითადი წყაროა ახალი ათონის მონასტერი, რომელიც ტურისტულ ობიექტთა რიცხვში შედის. შემოსავლების ზრდის გათვალისწინებით, დაგეგმილია დრანდის ქალთა მონასტრის აღორძინება.

საით, რომელი ნავსაყუდლისკენ მიდის, ან საბოლოოდ სად მივა „სუხუმო-აბხაზსკაია“ ეპარქია? ერთი რამ ახლავე ცხადია: ღვარძლით, იმ მძვინვარე სიძულვილით, რასაც იქაური მღვდელმსახურნი ქართველი ხალხისა და ქართული ეკლესიისადმი განიცდიან, არა მგონია, ეს მომავალი ნავსაყუდელი ქრისტიანული სათნოებით იყოს გაცისკროვნებული.

„ვისაც თავისი ძმა სძულს, ბნელში იმყოფება და ბნელში დადის და არ იცის, საით მიდის, ვინაიდან სიბნელემ დაუბრმავა თვალები“. 1. იოან. 2, 11.

სანდრო ალექსიძე

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ მადლი

ჩვენს ბავშვებს სექტები ეპატრონებიან

ნათლობა ბოდბის სკოლა-ინტერნატში

უკიდურესი გაჭირვება, რომელიც მძაფრად იგრძნობა განსაკუთრებით სოფლად, მძიმე დაღს აჩენს ადამიანის, და, უპირველესად, ბავშვის სულს. ამიტომაც სხვადასხვა ჯგუფის რელიგიური სექტები თუ მიმდინარეობები სწორედ მათ „ეტანებიან“ გადმოსაბირებლად. ჩვენი გაზეთი ერთხელ უკვე წერდა სიღნაღის რაიონის ბოდბის დამხმარე სკოლა-ინტერნატის ბავშვებზე.

მაშინ, საქველმოქმედო საზოგადოება „ფესვებთან“ ერთად ბოდბეში ჩასვლისას ამ საზოგადოების წარმომადგენლებმა — ექიმებმა ბავშვებს საჩუქრები და მედიკამენტები ჩაუტანეს. აღმოჩნდა, რომ ბოდბეში — უდიდესი სულიერების მხარეში, სადაც რამდენიმე კილომეტრის მოშორებით წმინდა ნინო განისვენებს, სკოლა-ინტერნატის ბავშვები ბაპტისტების ამარა დაეტოვებინათ.

საქველმოქმედო საზოგადოების ხელმძღვანელმა ნანა ხელაშვილმა მაშინვე განგაში ატეხა. ამ ფაქტის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს შეატყობინა. საჭირო იყო ბოდბეში სასწრაფოდ მართლმადიდებელი მოძღვრის გაგზავნა და ბავშვების ქრისტიანული წესით მონათვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაპირების მიუხედავად, ეს საქმე გაჭიანურდა.

მაშინ ნანა ხელაშვილმა, თავის სულიერ მოძღვარს — ტვერელის ეკლესიის მოძღვარს, მამა კონსტანტინეს (კოღუაშვილს) მიმართა, ბოდბის სკოლა-ინტერნატის ბავშვებისთვის გამართულ მორიგ საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობის მისაღებად.

... ბავშვები ინტერნატის ჭიშკართან ელოდებოდნენ ნანა ხელაშვილსა და მისი საზოგადოების წევრებს: მაია შამათავას, მადონა იაშვილს, ნუნუ გუმბერიძეს, ციური აბაზაძეს. ბავშვებს ჯერ კიდევ პირველი აქციიდან არ განელებოდათ ქალბატონი ნანასა და მისი თანამოაზრეების სითბო და გულისხმიერება. იცოდნენ, ამჯერადაც ხელდამშვენებულნი ჩავიდოდნენ „ფესვები“ მათთან. ყველაზე დიდი განცდით კი მამა კონსტანტინეს ელოდებოდნენ.

მართლაც, უჩვეულო იყო იმ დღეს ნათლობა ინტერნატში. თუმცა მანამდე „ფესვების“ წარმომადგენლებმა სკოლა-ინტერნატის ბინადართ პირველიდან მეშვიდე კლასის ჩათვლით, თითქმის ყველა საგნის სახელმძღვანელო დაურიგეს, აგრეთვე, დაასაჩუქრეს ისინი 82 ამერიკული სასკოლო ჩანთით, სხვა სასწავლო ინვენტარით. უნდა ითქვას, რომ საზოგადოება სახელმძღვანელოებით მოამარაგეს გამომცემლობებმა: „განათლებამ“, „მერიდიანმა“, „არტანუჯმა“ და „ინტელექტმა“. უანგარო თანადგომისთვის ნანა ხელაშვილი მათი მესვეურების მიმართ მადლობის სიტყვებს არ იშურებს.

შემდეგ მამა კონსტანტინემ 15 მოსწავლე ქრისტიანულად მონათლა. მათ ესაუბრა მართლმადიდებლობის მნიშვნელობაზე. ყველამ ერთად წარმოთქვა ლოცვა „მამაო ჩვენო“. ნათლიებიც იქვე გამოიძებნენ. ნანა ხელაშვილმა და მაია შამათავამ სამ-სამი ბავშვი მონათლეს.

შემდეგ მამა კონსტანტინემ ქრისტიანულად აკურთხა სკოლა-ინტერნატის შენობა.

— დღეს ბედნიერი ვარ, — თქვა მოძღვარმა, — ჩვენი ნანას წყალობით ბოდბეში ბავშვების მონათვლის საშუალება მომეცა. გავიგე, რომ თურმე აქ ბაპტისტური ეკლესიის წარმომადგენლები მოდიან და ბავშვებისთვის საჩუქრები ჩამოაქვთ, რაღაც თავისებური რიტუალებიც ჩაუტარებიათ. მაშინვე გადავწყვიტე ჩამოვსულიყავი და ბავშვები, სურვილისამებრ, მართლმადიდებლურად მომენათლა. მათ ჯვრები და ლოცვანიც ჩამოვუტანე. მაგრამ ეს ერთი ჩამოსვლა საკმარისი არ არის, აქ საგანგებოდ მოძღვარი მაინც უნდა იყოს მომაგრებული. მშიერ, უპატრონო ბავშვს ვინც მოეფერება, იმას იწამებს. ამიტომ ფიზიზლად უნდა ვიყოთ. როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, მეორედაც მოვინახულებ ბავშვებს...

განსაკუთრებით მადლიერებას გამოხატავდა სკოლა-ინტერნატის დირექტორი თემურ ბალარჯიშვილი. კარგა ხანია შენობის კურთხევაზე ვოცნებობდი და „ფესვების“ წყალობით ეს ოცნება ამიხდაო. იქნებ, ახლა მაინც ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდეს და რემონტის დასაწყებად შეგვწიოსო.

იმ დღეს „ფესვებმა“ მეზობელი სოფლის ნუკრიანელი მოსწავლეებიც გაახარა. მისმა წევრებმა უმწეო, გაჭირვებული ოჯახის ბავშვებს სასკოლო სახელმძღვანელოები დაურიგეს. 50 ოჯახს გასწვდა საქველმოქმედო საჩუქარი. მამა კონსტანტინემ კი 5 ოჯახი აკურთხა.

— სოფლად გაუსაძლისი ვითარებაა, — ამბობს ნანა ხელაშვილი, — არასოდეს დამავიწყდება მათი მადლიერებით სავსე თვალები. მეზობელი სოფლიდანაც კი მოვიდა ობოლი ბავშვების — გიორგი და ვალერი დიერაშვილების დეიდა და მოკრძალებით ითხოვა სასკოლო სახელმძღვანელოები. ასეთი გაჭირვებული კი რამდენი იყო...

სამწუხაროდ, საზოგადოება შემოწირულობებით არსებობს, სხვა არანაირი სახსარი არ გააჩნია. არადა, სოკოებივით მომრავლებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ვინ აღარ აფინანსებს, მათი გაკეთებული საქმე კი თითქმის არ გვინახავს. ბევრს მივმართეთ დახმარებისთვის, მათ შორის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებსაც, თუმცა — ამაოდ. ვაკე-საბურთალოს გამგეობამაც უარით გამოგვისტუმრა, მანქანის საშუალება არ გვაქვსო. არადა, ხალხს ძალიან უჭირს. მათ დამშვიდება, თბილი სიტყვა სჭირდებათ. კაპიკს კაპიკზე ვადებთ, რომ ცოტათი მაინც გავუმაგროთ გული ჩვენს მოსახლეობას. ახლა ვფიქრობთ, ზამთრისთვის თბილი ტანსაცმელი შევიძინოთ და ბოდბეში ჩვენს ნათლულებს ჩავუტანოთ.

ქალბატონი ნანა უკმაყოფილოა ტელევიზიებით, მიუხედავად მისი არაერთი მიმართვისა, არც ერთი არხი „ფესვების“ საქმიანობით არ დაინტერესებულა. არადა, ტელევიზიით გახმიანების შემთხვევაში, უფრო მეტი ადამიანი შეიტყობდა „ფესვების“ შესახებ, ქველმოქმედნიც დაინტერესდებოდნენ, სხვა მსგავს ორგანიზაციასაც ხმას მიაწვდენდნენ, — იქნებ მომავალში ერთობლივად უფრო მასშტაბური აქცია გაემართათ?

და მაინც... ნანა ხელაშვილი ღვთის შეწევნით გიორგობის დღესასწაულისთვის ემზადება. ასამდე მარტოხელა, უმწეო ადამიანს მორიგ ნობათს უმზადებს...

თამარ შაიშმელაშვილი

სურათზე: ნათლობა ბოდბის სკოლა-ინტერნატში.

◎ ინფორმაცია

მონიტორინგის საბჭოს წევრს საპყრობილეში არ უშვებენ

სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის საბჭოს წევრს და არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენელს ქეთევან ქამაშიძეს №1 საპყრობილეში შესვლის საშუალებას არ აძლევენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, ქამაშიძე ციხეში ერთ-ერთი ბრალდებულის თხოვნის საფუძველზე მივიდა, რომელმაც კოვზით თითი მოიჭრა.

ქამაშიძის თქმით, მან საპყრობილის დაცვის თანამშრომლებს პირადობის მოწმობა და მონიტორინგის საბჭოს შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ასლი წარუდგინა, სადაც ყველა წევრის ვინაობაა მითითებული, თუმცა ციხეში მას ამ საბჭოს წევრობის დამადასტურებელ დოკუმენტსაც სთხოვენ.

“კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წარმომადგენელთა განცხადებით, საპყრობილეში ციხის მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლის არშეშვება კანონდარღვევას წარმოადგენს.

„ევრაზჰოლდინგმა“ 10 მილიონი დოლარი დაკარგა

საააქციო საზოგადოება „ჭიათურმარგანეცის“ ყიდვაზე უარის თქმა „ევრაზჰოლდინგს“ 10 მილიონი აშშ დოლარი დაუჯდა.

„ევრაზჰოლდინგის“ ინფორმაციით, ამ თანხის დეპოზიტი, რომელიც კომპანიამ საქართველოს მთავრობის ანგარიშზე შეიტანა, ჩამოიწერა, რადგან თანხა „დაბრუნებას არ ექვემდებარება“.

„ევრაზჰოლდინგმა“ სააქციო საზოგადოება „ჭიათურმარგანეცის“, „ვარციხჰესის კასკადის“ შეძენაზე უარი მიმდინარე წლის ივნისში თქვა. თავისი გადაწყვეტილების მოტივად „ევრაზჰოლდინგმა“ ექსპერტთა მიერ აღნიშნული საწარმოების ღრმა ანალიზის შემდეგ გადაწყვიტა, რომ „ჭიათურმარგანეცისა“ და „ვარციხჰესის კასკადის“ განვითარებაში ჩადებული თანხები არ მოიტანდა სერიოზულ მოგებას და ფინანსურ დაბანდებებს ვერ გაამართლებდა.

„ჭიათურმარგანეცისა“ და „ვარციხჰესის კასკადის“ საპრივატიზაციო კონკურსი მიმდინარე წლის დასაწყისში ჩატარდა. „ევრაზჰოლდინგი“ ქართულ მხარეს ამ ობიექტებისთვის 132 მილიონ აშშ დოლარს სთავაზობდა.

ოფშკვითში ეკლესიის გუმბათი ჩამოინგრა

წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფშკვითში მე-19 საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გუმბათის ჩამონგრევის შედეგად ორი ადამიანი - 22 წლის ბიჭი და 57 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. ორი ადამიანი მძიმე მდგომარეობაში ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამწუხაროდ, გუშინ საღამოს მესამე დაშავებულიც გარდაიცვალა.

ინტერპრესნიუსი

◎ მესამე სექტორი

სიკეთე, რომელსაც სიავეც ახლავს

მაშინ, როცა სამი ქვეყნის პრეზიდენტი გარდაბანში, აზერბაიჯანული ნავთობის საქართველოს ტერიტორიაზე ტრანსპორტირების ცერემონიალს ზეიმობდა და პროექტის წარმატებით თავს იწონებდა, თბილისში ახალგაზრდა იურისტები პრესკონფერენციას მართავდნენ და „საუკუნის პროექტის“ ნეგატიურ მხარეებზე ლაპარაკობდნენ.

საქართველოს პრეზიდენტი ნავთობსადენის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ამაყად საუბრობდა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც კარგად ესმით თუ რამდენად საგულისხმოა ეს პროექტი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის, მისი საერთაშორისო საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, თუმცა საქართველოს მთავრობას, ყველა იმ ორგანიზაციას, რომელსაც შეხება აქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მართვასთან, კიდევ ერთხელ ახსენებენ, რომ ნავთობსადენის ოპერირება და მისი ფუნქციონირება დაკავშირებულია არაერთ პრობლემასთან. კერძოდ: მიწის განაწილებასთან, მუშახელის ანაზღაურებასთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან, ეკოლოგიური და ბუნებრივი კატასტროფების საშიშროებასთან...

ახალგაზრდა იურისტების თქმით, მილსადენის სამშენებლო კომპანიები სხვის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე უნებართვოდ შედიოდნენ და მილსადენის სამშენებლო სამუშაოებს იწყებდნენ, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული მიწის მესაკუთრეებთან მიწის შესყიდვის საკითხზე მოლაპარაკება და ისინი ჯერ კიდევ საკუთარი ნაკვეთების სრულუფლებიან მესაკუთრეებად ითვლებოდნენ. სამშენებლო კომპანიებმა გათხარეს ნაკვეთებზე არსებული სარწყავი არხები, მისასვლელი გზები.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, ნავთობსადენის პროექტის განხორციელების სამართლებრივი მონიტორინგის კოორდინატორი ქეთევან კვინიკაძე ამბობს, რომ სამშენებლო კომპანიები უხეშად არღვევენ მშენებლობაზე დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების შრომით უფლებებს. „ბი-პი“-ს მონაცემებით, ნავთობსადენის მშენებლობაზე 4500 ადამიანი დასაქმდა. მონიტორინგის პერიოდში გამოირკვა, რომ მათ 7-საათიანი სამუშაო გრაფიკის ნაცვლად 14 საათის განმავლობაში უნევდათ მუშაობა, რაც უკვე იძულებით შრომას ნიშნავს. ამასთან, ნავთობსადენის მშენებლობაზე მომუშავე ადამიანებს ერთთვიან კონტრაქტებს უფორმებდნენ, რაც მათ სამუშაო ადგილების დაკარგვის საფრთხისქვეშ აყენებდა.

მისივე თქმით, მოუგვარებელია ნავთობსადენის სამშენებლო დერეფნის მახლობლად მდებარე ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვისა და რეკონსტრუქციის საკითხები. კერძოდ, სავალალო მდგომარეობაშია ახალციხის რაიონში მდებარე აწყურის ციხე, რომელსაც კომპანიის მძიმეტონიანი მანქანების ციხესთან არსებულ სამანქანო გზაზე მოძრაობა საფრთხეს უქმნის. სარეკონსტრუქციო სამუშაოებს საჭიროებს, ასევე, ბორჯომის რაიონში მდებარე საკირეს ციხე-დარბაზი და თეთრიწყაროს რაიონში მდებარე ნადარბაზევის კომპლექსი. არადა, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დადგენილია, რომ „ის იურიდიული და ფიზიკური პირები, მათ შორის, საერთაშორისო და უცხოური ინვესტიციებით შექმნილი ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც ეწევიან სხვადასხვა სახის მასშტაბურ მშენებლობასა და რეკონსტრუქციას, დაპროექტებისა და მშენებლობის ღირებულების ხარჯთაღრიცხვაში ითვალისწინებენ არქეოლოგიური გათხრების, მეთვალყურეობის, წინასწარი დაზვერვის, ისტორიულ-კულტურული ფიქსაციის, მეცნიერული შესწავლის, პუბლიკაციისა და დაცვის ღონისძიებათა დასაფინანსებელ თანხებს“.

ახალგაზრდა იურისტებმა ისაუბრეს ეკოლოგიურ დაბინძურებაზეც და მეწყერსაშიშ ზონებში მშენებლობის შემდეგ ბუნებრივ კატასტროფაზეც.

ბრალდებების საპასუხოდ პრეს-კონფერენცია „ბი-პი“-მაც გამართა. მშენებლები აცხადებენ, რომ ყველა სამუშაო სათანადო პრინციპების დაცვით განხორციელდა, იქნება ეს მიწის საკითხი, უსაფრთხოება, დასაქმება, მილსადენის შეფუთვა თუ სხვა.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მონიტორინგს ახორციელებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და საქართველოს მთავრობას შორის შექმნილ საგრანტო პროგრამაზეც, რომლის ფარგლებში კომპანია „ბი-პი“ მთავრობას ეტაპობრივად 40 მილიონ დოლარს გადაურიცხავს.

ეს თანხა სოციალური და ეკონომიკური პროექტების განხორციელებას უნდა მოხმარდეს. პირველი ტრანსფერი უკვე მოხდა, ბიუჯეტში შევიდა 9 მილიონი დოლარის ეკვივალენტი ლარებში. საგრანტო პროგრამის ფარგლებში თანხების ხარჯვაზე მონიტორინგს ასოციაცია კვლავ გააგრძელებს.

ნავთობსადენთან დაკავშირებული კიდევ ერთი საზეიმო ცერემონია წლის ბოლოს თურქეთში გაიმართება. თუმცა მანამდე ახალგაზრდა იურისტებს იმედი აქვთ, რომ საქართველოს მთავრობა არსებული დარღვევებიდან ნაწილს მაინც მოაგვარებს.

ლელა ხვადაგიანი

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

ნატო-ისი ყურის ომამდე რუსი სამხედროებისგან ვიზების გაცემაზე

საქართველო სულ უფრო აფართოებს თავის პროვოკაციულ მოქმედებას რუსეთის მიმართ. ამას მოწმობს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილებებიც, რომელთა ავტორებიც რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტს სეპარატიზმის მხარდაჭერაში ადანაშაულებენ და სვამენ საკითხს კონფლიქტის ზონიდან მისი გაყვანის შესახებ. ამავე დროს, თბილისი აუტანელ პირობებს ქმნის საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების შემდგომი ფუნქციონირებისთვის.

ავიღოთ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის მე-12 სამხედრო ბაზა, რომელიც ბათუმში მდებარეობს. თუ სადღეისოდ შენაერთი პირადი შემადგენლობა 40-42 პროცენტითაა დაკომპლექტებული, უახლოესი მომავლისთვის ბაზა შეიძლება საერთოდ ჯარისკაცების გარეშე დარჩეს. მიმდინარე წლის შემოდგომაზე, 30 ნოემბრამდე, ბაზის შემადგენლობიდან თადარიგში დაითხოვენ გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეთა 99 პროცენტს. შენაერთის მეთაურები მხოლოდ იმით იმშვიდებენ თავს, რომ ბაზა ოფიცრებით და პრაპორშჩიკებით მეტ-ნაკლებად მაინც არის დაკომპლექტებული (დაახლოებით 70 პროცენტი).

მიზეზი კი ყველასთვის ცნობილია, საქართველოს მხარე კატეგორიული ფორმით ეწინააღმდეგება რუსი სამხედრო მოსამსახურეებისთვის ქვეყანაში შესასვლელი ვიზების გაცემას და უკვე მოქმედი საბუთების გახანგრძლივებას. და ეს ხდება იმის მიუხედავადაც კი, რომ არსებობს პრინციპული მორიგება, რომლის თანახმადაც საქართველოს ფარგლებს გარეთ გასული სამხედრო მოსამსახურების ნაცვლად, დაშვებულია ბაზაში იმავე რაოდენობის რუსეთის მოქალაქეების მიღება, რომლებიც დანიშნული არიან თანამდებობებზე საჯარისო შენაერთებში. მაგრამ მორიგება რატომღაც არ მოქმედებს. მიმდინარე წლის გაზაფხულიდან „სტუმართმოყვარე“ საქართველო დატოვა 700-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ, რომლებიც დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან ან გადაიყვანეს სხვა ბაზებში. მათ ადგილებზე კი თითო-ოროლა კაცი თუ მიიღეს. უახლოესი მომავლისთვის ეს ციფრი, ალბათ, ათასსაც გადააჭარბებს. თებერვლის

დამდეგისთვის სამხედრო ბაზის არც ერთ სამხედრო მოსამსახურეს არ ექნება გახსნილი ვიზა და საქართველოს ხელისუფლებას შეეძლება ნებისმიერი მათგანი გადასცეს სისხლის სამართლის პასუხისგებას საპასპორტო-სავიზო რეჟიმის დარღვევისთვის.

სამხედრო ბაზის სარდლობა სერიოზულად არის შეშფოთებული შექმნილის სიტუაციის გამო. თუ უახლოეს მომავალში არ მოხდება თუნდაც გარკვეული წინსვლა სავიზო საკითხში, მაშინ, დღის წესრიგიდან თამამად შეიძლება მოიხსნას მე-12 სამხედრო ბაზის გატანის ორგანიზების საკითხი, რომელიც ასე აღელვებს ქართულ მხარეს. საქმე ის არის, რომ ამას, უბრალოდ, ვერავინ ველარ გააკეთებს.

ყოველივე ამის ფონზე, საკმაოდ უცნაურად გამოიყურება საქართველოს ხელისუფლების პოზიცია. ოფიციალური თბილისი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის სამხედრო ბაზების საბოლოო გატანის შესახებ შეთანხმების ხელმოწერას, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ვერავინ ველარ შეძლოს ბაზების გატანასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა. ასეთ სიტუაციაში შეიძლება დაისვას კითხვა: რისთვის აკეთებს ყოველივე ამას საქართველოს მხარე, რისი მიღწევა სურს ამით? იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, თბილისს დიდად არც კი სჭირდებოდა შეთანხმება ბაზების გატანის შესახებ. ალბათ, ქართული მხარე ასეთი გზით ცდილობს რუსეთის სამხედრო ბაზების პირადი შემადგენლობის რიცხვის ზღვრულად დასაშვებ მინიმუმამდე დაყვანას, და ამის შემდეგ, იქნებ, სერიოზული პრობლემების გარეშეც შეძლოს რუსეთის ბაზებში არსებული სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების დაუფლება. სხვაგვარად, ძნელია ავხსნათ ოფიციალური თბილისის პოზიცია.

ამავე დროს, გაოცებას იწვევს ისიც, რომ ამ პრობლემის გადაჭრა, უბრალოდ, არ სურთ რუსეთის და საქართველოს საელჩოების დიპლომატიურ თანამშრომლებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის პასუხი, რომელიც ერთ-ერთმა რუსმა დიპლომატმა გასცა ვიზების შესახებ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბიდან გაგზავნილ წერილს. შტაბის ოფიცერთა თქმით, პასუხი ძალზე ბუნდოვანი იყო და ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, თითქოს, დიპლომატები ცდილობდნენ მათ თავიდან მოცილებას.

ოლეგ გორუპაი,

КРАСНАЯ ЗВЕЗДА

უკრაინას და საქართველოს ევროპა ძალზე სჭირდებათ

უკრაინა და საქართველო მიუახლოვდნენ წერტილს, რომელზეც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ის, შეინარჩუნებენ თუ არა ეს ქვეყნები სწრაფვას დემოკრატიისკენ.

უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციით“ გამოწვეული ეიფორიის პერიოდი დასრულდა ქალბატონ ტიმოშენკოს თანამდებობიდან გადაყენებით. ამაში უნდა დავინახოთ პრაგმატიზმისკენ შემობრუნება, რაც მხოლოდ მისასალმებელია, რადგან საქმე ეხება დემოკრატიული დებატების განახლებას. და მაინც, უნდა ვაღიაროთ, რომ კორუფცია ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებულია და გარდაქმნებიც არ ყოფილა ისეთი სწრაფი და ღრმა, როგორსაც ველოდით.

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოში ასევე გრძელდება დემოკრატიზაცია, მაგრამ ეს ამოცანა კოლოსალურია თავისი მასშტაბით, და სირთულეებიც იქ უფრო მეტია. დემოკრატიზაციის პროცესი აწყდება ქვეყნის სიღარიბეს, უცხოური ინვესტიციების უქონლობას, სახელმწიფო სისუსტეს და ფინანსური რესურსების მწვავე უკმარისობას.

დემოკრატიული მონაპოვრები ამ ქვეყნებში ჯერჯერობით ძალზე სუსტია. არსებობს დამატებითი სირთულეებიც: რუსეთი სისტემატურად უშლის ხელს დემოკრატიული რევოლუციების წყალობით დაწყებულ ტრანსფორმაციებს, უქმნის საფრთხეს ამ პროცესების მიმდინარეობას.

დაწყებული რეფორმები უთუოდ უნდა გაგრძელდეს. მაგრამ ვერც უკრაინა და ვერც საქართველო მარტო ვერ შეძლებენ ამ სირთულეების დაძლევას. მათი მხარდაჭერის მიზნით, ევროკავშირმა უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმები, რომლებიც პარტნიორობის და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს გაითვალისწინებენ. თუმცა, ესეც არ არის საკმარისი იმ მასშტაბური პრობლემების გამო, რომლებსაც ევროპის მოსაზღვრე ეს ქვეყნები აწყდებიან. ევროკავშირმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სახელმწიფოთა ბედის განსაზღვრაში და არ დაუშვას, რომ შეერთებული შტატები დარჩეს ევროპის მეზობელ რეგიონში ერთადერთ მოქმედ ძალად.

პერსპექტივისთვის უკრაინის და საქართველოს მიღება ევროკავშირში, აბსოლუტურად სასურველია. თუმცა, რა თქმა უნდა, არ არის საჭირო რაიმე კონკრეტული ვადების დადგენა, რადგან, ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ამ ორ ქვეყანას უნდა გამოეყოს უფრო დიდი ფინანსური დახმარებები, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უფრო აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი იქ სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას, მათი მოქალაქეებისთვის გამოყოს დამატებითი ადგილები თავიანთ უნივერსიტეტებში, აგრეთვე, სტიპენდიები და უფასო ვიზები. საჭიროა, ასევე განვითარდეს გაცვლა და ორმხრივი თანამშრომლობა, მათ შორის, მეცნიერების დარგში. ევროკავშირმა უფრო შინაარსიანი უნდა გახადოს ის შეთანხმებები, რომლებიც მას აკავშირებს უკრაინასთან და საქართველოსთან. შეიტანოს მათში მთელი რიგი სტრუქტურული პროგრამები.

ევროპის საგარეო პოლიტიკა უფრო მტკიცე უნდა იყოს ამ ორი ქვეყნის მხარდაჭერის თვალსაზრისით. მაგრამ, ამავე დროს, ევროპამ უნდა შეახსენოს უკრაინას და საქართველოს, რომ მათ მხოლოდ დასავლეთზე არ უნდა ჰქონდეთ ორიენტაცია და საჭიროა დიალოგი და კონსტრუქციული, მტკიცე პარტნიორობა რუსეთთან, რომლის როლიც კვლავ ძალზე პრინციპულია. ევროპის კავშირმა არ უნდა გაუშვას ხელიდან ეს გადამწყვეტი ისტორიული მომენტი.

მარი-ან ილერ ბეგენი,

LE TEMPS

უმიმართების ფედერალურ სამსახურს ჩაეძინა

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის დედაქალაქზე მომხდარ თავდასხმას, როგორც ჩანს, ჰქონდა ერთი მთავარი მიზეზი და იგი არანაირად არ უკავშირდება ბანდიტების ცდას, გაეთავისუფლებინათ თავიანთი დაპატიმრებული ამხანაგები ან რაიმე შიდაპოლიტიკური ცვლილებები მოეხდინათ რესპუბლიკაში. მოთარეშეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახეს, რომ ფლობენ ტაქტიკურ უპირატესობას მრავალრიცხოვან ძალოვან სტრუქტურებთან შედარებით. თითქმის იგივე სიტუაცია იყო ნაზრანში 2004 წლის 22 ივნისს. და სულ ერთია, თუ რას იტყვიან დღეს რუსი ძალოვნები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ 13 ოქტომბრის ნაშუადღევისთვის აკონტროლებდნენ სიტუაციას ნალჩიკში, ერთი რამ მაინც უდავოა — მათი „ჩავარდნა“ აშკარაა.

პირველი და ძირითადი შეცდომა: ფედერალურ კონტრდაზვერვას არა ჰყავს სერიოზული აგენტურა, და, მაშასადამე, ვერ იღებს ინფორმაციას თავდასხმათა მომზადების შესახებ, ეს კი, თავის მხრივ, მოწმობს, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები ლოიალურად არიან განწყობილი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიმართ.

ისევე, როგორც ინგუშეთზე მომხდარი თავდასხმის დროს, აქაც აშკარად იჩინა თავი მობილური, კარგად შეიარაღებული მოთარეშეების მცირერიცხოვანი ჯგუფების წინააღმდეგ ბრძოლაში მსხვილი საჯარისო შენაერთების, კერძოდ, 58-ე არმიის არაეფექტიანობამ. ინგუშეთის სტანიცა ტროიცკაიაში დისლოცირებული 58-ე არმიის შენაერთებმა ნაზრანში, სადამდეც სულ რაღაც 10 კილომეტრი იყო, თავდასხმიდან მხოლოდ 10 საათის შემდეგ ჩააღწიეს. ასეთი პასიურობა სარდლობამ მაშინ იმით ახსნა, რომ ღამის საათებში არმიის კოლონა ჩინებული სამიზნე იქნებოდა მტრის ყუმბარმტყორცნებისთვის.

ნალჩიკშიც იგივე განმეორდა. ვლადიკავკაზში დისლოცირებული 58-ე არმიის ქვეგანაყოფები თავიანთ ნალჩიკელ თანამებრძოლებს ვერანაირ ეფექტიან დახმარებას ვერ გაუწევენ.

მოთარეშეებს არ სურდათ ნალჩიკის აღება, რადგან, კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ საამისოდ ძალები არ ეყოფოდათ. უეჭველია ისიც, რომ სულ მალე მოთარეშეთა წინააღმდეგობას ჩაახშობენ. და მაინც, ბანდიტებმა ნალჩიკი აიღეს. მართალია, ეს სულ რაღაც რამდენიმე საათს გრძელდებოდა, მაგრამ ტერორისტთა ამ ოპერაციამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ჩრდილოეთ კავკასიას მთლიანად ვერ აკონტროლებს ცენტრი. ბანდიტთა წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის მიზნით ანტიტერორისტული ქვეგანაყოფების სტრუქტურა უნდა შეიცვალოს ძირეულად, მოთარეშეთა ტაქტიკის გათვალისწინებით. ამის საჭიროება წარმოიქმნა ჯერ კიდევ 2004 წელს ნაზრანში. მაგრამ, სადღეისოდ შექმნილი სიტუაციით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს ძალოვანებს აქედან სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ.

ვადიმ რეჩკალოვი,
14 ოქტომბერი.

МОСКОВСКИЙ МК

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

ეს დღეები მღელვარე ნალჩიკში

რუსეთის ოფიციალურ პირთა განცხადებით, ვითარება ნალჩიკში თანდათანობით ნორმალური ხდება. მილიციის რაიონულ განყოფილებასა და ქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში აყვანილი მძევლები გაათავისუფლეს.

როგორც რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ თქვა, ხუთივე მძევალი უვნებელია, მოკლულია რვა მოთარეშე.

ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ მოთარეშეები ცდილობდნენ მიკროავტობუსით გაერღვიათ ალყის ზონა, მაგრამ მძღოლმა ვერ დაიმორჩილა საჭე, რის გამოც მანქანა ხეს შეეჯახა. ამის შემდეგ მოთარეშეებს ალყა შემოარტყეს და დახვრიტეს.

სულ კი, როგორც გენერალური პროკურორის მოადგილემ ვლადიმერ კოლესნიკოვმა თქვა, მოკლულია 68 და დაკავებულია 27 მოთარეშე. ხელისუფლების ინფორმაციით, დაიღუპა სამართალდამცავი ორგანოების 24 თანამშრომელი, ძალოვან სტრუქტურათა კიდევ 58 წარმომადგენელი — დაიჭრა.

მოკლულია ასევე 12 მშვიდობიანი მცხოვრები. ნალჩიკის საავადმყოფოებში ასზე მეტი დაჭრილია მოთავსებული.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გასცა ნალჩიკის მთლიან ბლოკადაში მოქცევისა და ყველა იმ პირის განადგურების ბრძანება, რომელიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევდა ძალოვანებს.

ქალაქი კვლავ ალყაში ჰყავთ მოქცეული რუსეთის ფედერალურ ნაწილებს. გადაკეტილია ყაბარდო-ბალყარეთის ყველა საზღვარი, ძალოვანი სტრუქტურების ყველა ობიექტს, სკოლებს, საავადმყოფოებს გაძლიერებული დაცვა დაუწესეს. ქალაქში შეყვანილია არმიის დამატებითი ძალები.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სამშაბათს ღამით, ნალჩიკის გარეუბანში მდებარე სოფელ ბელაია რეჩკას მიდამოებში, ძალოვანებმა აღმოაჩინეს დიდი სამალავი, რომელშიც ინახებოდა დაახლოებით ნახევარი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ჩეკალინმა თქვა, მილიციის თანამშრომლები იქ გადააწყდნენ 10 მოთარეშისგან შემდგარ რაზმს, რომლებმაც სამართალდამცველებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ბრძოლის შედეგად მოკლულია სამი შეიარაღებული მოთარეშე, დანარჩენი შვიდი კი ბლოკირებული იყო, თქვა ჩეკალინმა.

ადგილობრივი ხელისუფლების და ძალოვან უწყებათა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ქალაქში სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

ნალჩიკში დამატებით გადაყვანილია შინაგანი ჯარების 1500 სამხედრო მოსამსახურე და 500 ომონელი, თქვა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაშიდ ნურგალიევმა.

ხუთშაბათს ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტმა არსენ კანოკოვმა განაცხადა, რომ თავდასხმაში მონაწილეობდა ეგრეთ წოდებული „იარმუკის“ ჯამაათის 1500-მდე მოთარეშე.

მაგრამ დილით შეიარაღებული შეტაკებები გაგრძელდა. ადგილობრივი დროით, დაახლოებით 9 საათისთვის გავრცელდა ინფორმაცია ნალჩიკის ცენტრში სროლის შესახებ.

მოთარეშეები ცდილობდნენ ერთდროულად ჩაეგდოთ ხელში შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების ფედერალური სამსახურის, მილიციის სკოლის შენობები. გარდა ამისა, მათ ააფეთქეს სავაჭრო ცენტრიც.

ქალაქის ხელისუფლების წარმომადგენელთა მტკიცებით, მოთარეშეები აეროპორტის დაკავებასაც ცდილობდნენ.

სადამ ჰუსეინის სასამართლო პროცესს ტელევიზიით გადასცემენ

საქმის მოსმენა დაიწყება 19 ოქტომბერს და რამდენიმე თვეს გასტანს.

ხუთი მოსამართლის წინაშე წარსდგებიან სადამ ჰუსეინი და მისი მთავრობის შვიდი ყოფილი წევრი. მათ ბრალად ედებათ დანაშაულობები ადამიანურობის წინააღმდეგ, კერძოდ, 1982 წელს სოფელ დუჯალში 143 მუსლიმანი შიიტის მკვლელობა, რაც მოხდა მას შემდეგ, რაც იქ ცეცხლი დაუშინეს პრეზიდენტის კორტეჟს.

გარდა ამისა, მათ წაუყენეს ერაყელი ქურთების მასობრივი მკვლელობების და 1991 წელს ერაყის სამხრეთში მომხდარი აჯანყების სასტიკად ჩახშობის ბრალდებები.

მოსამართლემ, რომელმაც წინასწარი ბრალდებები წაუყენა სადამ ჰუსეინს და რომელიც დანიშნულია საგანგებო ტრიბუნალის წარმომადგენლად, განაცხადა, რომ საქმის მოსმენის პირველ დღეს წაიკითხავენ ოფიციალურ ბრალდებებს და დაცვის მხარის მიერ გაკეთებულ მოკლე განცხადებებს.

ამ ბრალდებების მიხედვით, ერაყის ყოფილ დიქტატორს და მისი მთავრობის შვიდ ყოფილ წევრს ემუქრებათ სასჯელის უმაღლესი ზომა, თუმცა, ბრალდებას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, ეცდება თუ არა მიაღწიოს განსასჯელთა სიკვდილით დასჯას. მოსამართლეთა თქმით, ეს ბოლო მომენტში გადაწყდება.

სადამის დაცვამ ეჭვქვეშ დააყენა ტრიბუნალის ლეგიტიმურობა და აღნიშნა, რომ მას არ ეყო დრო პროცესისთვის საფუძვლიანად მოსამზადებლად. ასეთი განცხადების შემდეგ გაჩნდა ეჭვი, რომ პროცესი შეიძლება გადაიდოს.

როგორც ცნობილია, სადამ ჰუსეინი დააკავეს 2003 წლის დეკემბერში ერაყის ქალაქ თიქრითის მახლობლად. თუმცა, მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

ვაშინგტონი ფხენიანს ადანაშაულებს

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საჯაროდ დაადანაშაულა ჩრდილოეთ კორეა მილიონობით ყალბი დოლარის გავრცელებაში. ყალბი დოლარის ბანკნოტები გამოირჩევა მაღალი ხარისხით — ასეთი ნიმუშები ცნობილია „სუპერ კუპიურების“ სახელით.

უკვე კარგა ხანია, არსებობდა ეჭვი, რომ ჩრდილოეთ კორეაში ბეჭდავდნენ ყალბ დოლარებს. მაგრამ შეერთებულმა შტატებმა მხოლოდ ახლა შეძლო დაწვრილებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელთა მიხედვითაც, როგორც ვაშინგტონს მიაჩნია, აშკარაა, რომ ფხენიანი მონაწილეობდა ამ მაქინაციებში.

ამერიკის სასამართლომ 100-დოლარიანი კუპიურების გავრცელების გამო ოფიციალური ბრალდება წაუყენა შვიდი კაცისგან შემდგარ ჯგუფს, რომელშიც შედის ცნობილი ირლანდიელი პოლიტიკოსი — რესპუბლიკელი შონ გარლანდი. ვაშინგტონი მოითხოვს მის ექსტრადიციას დიდი ბრიტანეთიდან.

შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროს მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, გარლანდს და მის თანამზრახველებს ბრალად ედებათ ის, რომ „1997 წლის დეკემბრიდან 2000 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში ჩრდილოეთ კორეის წყაროებისგან შეისყიდეს ყალბი დოლარების პარტია მათი შემდგომი გავრცელების ან გაყიდვის მიზნით“.

განცხადებაში ასევე ხაზგასმულია, რომ „მაღალხარისხოვანი ყალბი კუპიურები, რომლებიც მსოფლიო ბრუნვაში გამოჩნდა 1989 წლიდან, დამზადებული იყო კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით. ყალბ ფულს ავრცელებდნენ მთელ მსოფლიოში ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ როგორც ფხენიანის ოფიციალური წარმომადგენლები“.

ამ ბრალდების თაობაზე ჩრდილოეთ კორეის მხარეს ჯერჯერობით არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია.

თურქეთს ფრინველის გრიპი შეეპარა

ევროკომისიის ექსპერტთა თქმით, ეს არის ძალზე საშიში H5N1 შტამი.

ფრინველის გრიპის სწორედ ამ ნაირსახეობას ემსხვერპლა აზიაში 60-ზე მეტი კაცი.

ევროკავშირის ჯანმრთელობის დაცვის კომისიის ხელმძღვანელმა მარკოს კიპრიანუმ განაცხადა, რომ არსებობს უშუალო კავშირი თურქეთში, რუსეთში, მონღოლეთსა და ჩინეთში არსებულ ვირუსებს შორის.

მან მოუწოდა ევროპის ქვეყნებს, გაზარდონ ანტივირუსული წამლების მარაგი ეპიდემიის გავრცელების შემთხვევაში და განახორციელონ მოსახლეობის ვაქცინაცია ინფექციის სავარაუდო გავრცელების ზონებში.

ამავე დროს, ევროკავშირის წარმომადგენლებისა და რუმინელი ვეტერინარების მიერ განხორციელებულმა ანალიზებმა დაადასტურეს, რომ იხვები დუნაის დელტაში ასევე დაავადებული არიან ფრინველის გრიპით.

ტესტების დროს მიღებულია დადებითი რეაქცია H5 ვირუსზე, დაადასტურა რუმინელმა ვეტექიმმმა იონ აგაფიტეიმ.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჯერჯერობით დაუდგენელია, არის თუ არა რუმინეთში აღმოჩენილი ვირუსი H5 საშიში შტამი. სპეციალისტები კვლავ ახორციელებენ ანალიზებს.

ასეა თუ ისე, ეს მაინც არის ევროპაში ფრინველის გრიპის გავრცელების პირველი შემთხვევა.

ევროპის საბჭომ უკვე აკრძალა ფრინველის ხორცის და კვერცხის ექსპორტი რუმინეთიდან, სადაც ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გაანადგურეს ათასობით ფრთა შინაური ფრინველი.

2004 წლის ოქტომბერში ფრინველის გრიპის H5 ვირუსის შტამი აღმოუჩინეს გადამფრენ ფრინველებს რუსეთის ტერიტორიაზე.

მოკლედ

ნიუ-იორკში კოკისპირული წვიმების გამო ნაწილობრივ დაიტბორა გაეროს გენერალური ასამბლეის დარბაზი. წყალმა სარდაფებამდე მიაღწია, რის შემდეგაც ასამბლეის დარბაზსაც „შეუტია“. ინციდენტი მოხდა სადრენაჟო სისტემის არაეფექტიანი მუშაობის გამო. დარბაზში მყოფმა პირებმა დატოვეს შენობა და მუშაობა სხვა დარბაზში გაგრძელეს.

* * *

ტერორიზმში მონაწილეობის ეჭვით ბრიტანეთში აკრძალეს 15 ორგანიზაციის საქმიანობა. ახლა ასეთი დაჯგუფებების რიცხვმა ორმოცს მიაღწია. ამიერიდან ქვეყანაში დანაშაულად ჩაითვლება ერთ-ერთი

ასეთი ორგანიზაციის წევრობა, მისთვის აქტივისტების გადაბირება, ფინანსური მხარდაჭერის და ნებისმიერი სხვა სახის დახმარების გაწევა.

* * *

პაკისტანში შეწყდა მიწისძვრის შედეგად გადარჩენილი ადამიანების ძებნა. ახლა მუშაობას დაიწყებს სამშენებლო ტექნიკა, რომლის მეშვეობი-

თაც აპირებენ ხერგილების გაწმენდას და დაღუპულთა ცხედრების პოვნას. წინა დღით კი პაკისტანში კვლავ დაფიქსირდა მიწისქვეშა ბიძგების სერია, რომლებსაც მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

* * *

ჩინური „შენჯოუ-6“ კოსმოსური ხომალდი წარმატებით დაბრუნდა მოცემულ ორბიტაზე. წინა დღით კი, იგი ოდნავ გადაიხარა ორბიტიდან და ხომალდი დაგეგმილ მანძილზე მეტად მიუახლოვდა დედამიწის ზედაპირს. შესაძლოა, შეწყვეტის ჩინო-

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №28

ნაცნობი სიტყვების განმარტებანი

სიყვარული — ყველაზე უფრო საგულისყურო და საპატიო გახლავთ ადამიანურ სისუსტეთა შორის.

ჩარლზ დიკენსი

სისასტიკე — არის შედეგი შიშის, სისუსტის და სიმხდალის.

კლოდ ჰელვეციუსი

ხელოვნება — უმშვენიერესი, უმკაცრესი, კეთილი და სასიხარულო სიმბოლოა მარადიულობისა.

თომას მანი

ფერწერა — ესაა პოეზია, რასაც ხედავენ, ხოლო პოეზია — ფერწერა, რომელსაც ისმენენ.

ლეონარდო და ვინჩი

კარიერა — გახლავთ შეკრულ თანამზრახველთა სამარცხვინო და საშიში ნაშთი, რასაც ავტორიტეტული საზოგადოება ინარჩუნებს და მაინც შეიცავს ბარბაროსული მდგომარეობის გაშიშვლებულ ნაშთებს.

ხოსე გარვე

მეჭევრმეტყველება — აზრის ფერწერაა.

ბლეზ პასკალი

ძვირფასი საფლავები

სად უნდა იყოს გურამიშვილის სათვალი?

ჩვენი დროების უსაზღვრო ზეიმებისა და ღონისძიებათა კასკადში დიდი დავით გურამიშვილის მირგოროდიდან თბილისში გადმოსვენების საკითხმაც გაიჟღერა...

გვინდა ამ იდეის მესვეურთ შევახსენოთ: მრავალ მიზეზთა გამო უკრაინის მიწაზე გურამიშვილის საფლავი ძალიან ფრთხილად მისადგომი ადგილია და დელიკატური თემაც, თუნდაც იმ დოკუმენტური რეალობის გათვალისწინებით, რომ პოეტს სწორედ, ამ უცხო მიწაზე სიკვდილი არგუნა ბედმა.

ფაქტი ყოველთვის არის რაღაცის ნიშანი. ქალაქ მირგოროდში დავით გურამიშვილის სამუდამო განსასვენებელიც რაღაცას ნიშნავს, ბედისწერული საიდუმლოს მატარებელია და პოეტის არა მარტო ცხოვრებას, სულიერ ბიოგრაფიასაც უკავშირდება...

* * *

ჩერნობილის მძიმე დღეების მერე, როცა ხელისუფლებისგან გამეტებული უკრაინელი ხალხი სიმძიმესავით ატარებდა ამ გაუგონარ ტრაგედიას, ლიტერატურის მუზეუმის ორი თანამშრომელი მირგოროდში გავემგზავრეთ...

კიევის აეროპორტი და ქუჩები სველი იყო, წყლის დიდი ჭავლით გამუდმებით რწყავდნენ... როგორც აგვისხსნეს, წყალი რადიაციას ანეიტრალებს...

სამუდამოდ დამამახსოვრდა მზიანი ქალაქის სველი ქუჩები, იქ მოარული ადამიანები, სახეზე აღბეჭდილი სევდით...

ქალაქი მირგოროდი რადიაციის ზონიდან შედარებით მოშორებული ადგილია, მაგრამ ჩვენს ძალიან სტუმართმოყვარე მასპინძლებსაც არანაკლები შეშფოთება ეტყობოდათ...

იმ დღეებში დავით გურამიშვილის საფლავთან რამდენჯერმე მივედით... **რამაც გამაოცა და რასაც დღემდე აუღელვებლად ვერ ვიგონებ, საფლავის ქვაზე ქართულ-უკრაინული წარწერის გასწვრივ, ზოგჯერ ძალიან პატარა, მაგრამ ყოველთვის ახალი ყვავილები ეწყო...** აქაური, უბრალო ადამიანებისგან — ჩვენი პოეტისთვის მირთმეული...

მიკვირდა, რომ ამ საერთო მღელვარების დროსაც არ ავიწყდებოდათ, **ახლობელივით ახსოვდათ, დაახლოებით სამასი წლის წინათ დაბადებული ქართველი პოეტი.**

დ. გურამიშვილის სახლ-მუზეუმში ექსკურსიები არ წყდებოდა. ჩვენი წარდგინება, იქ ყოფნა, გულწრფელად უხაროდათ, **იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართველები ვიყავით... ქართველები — დავით გურამიშვილის სამშობლოდან.**

მირგოროდში, მშვენიერი მუზეუმის გარდა არსებობს გურამიშვილის სახელობის ბიბლიოთეკაც, გურამიშვილის სახელობის სკოლაც...

ქართველი პოეტის სახელი აქ თაობათა ცნობიერებაშია ჩაწერილი...

ყოველ წელს, დავით გურამიშვილის დაბადების დღეს, ახლომახლო სოფლებიდან ტრადიციულად, როგორც სახალხო ზეიმზე, ოჯახებით უკრაინელები ჩამოდიან... მათ ისე იციან გურამიშვილის ბიოგრაფიის დეტალები, როგორც მშობლიური წინაპარის...

* * *

საქართველოში კი, ლამისყანაში, ნანგრევებად ქცეულა **დავით გურამიშვილის ნასახლარი... არათუ მუზეუმი, პატარა აბრაც არავის გაუკრავს: „აქ ცხოვრობდაო დიდი ქართველი პოეტი გურამიშვილი“...**

ვფიქრობთ, საფლავიდან პოეტის ძვლების ამოყრა და „პროტოკოლში“ ახალი ღონისძიების ჩაწერა, გურამიშვილის სულზე ზრუნვას სულაც არ ნიშნავს... დიდ წინაპრებთან დამოკიდებულება მხოლოდ ე. წ. ღონისძიებებით და ხმაურიანი სიტყვებით არ გამოიხატება, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენში ტრადიციებთან, თაობებთან და წარსულის ფასეულობებთან ხელჩართული ომია გაჩაღებული...

მირგოროდიდან გამომგზავრების წინა საღამოს, ისევ პოეტის

საფლავთან მოვხვდით... მზე ჩადიოდა... გზად მოხუცი, თავსაფრიანი ქალის სილუეტი შევნიშნეთ, მოხრილი, სიფრიფანა სხეულით... ორი ღერი მოყვითალო ფერის, მასავით გაცრეცილი ყვავილი ეჭირა. საფლავს მიუახლოვდა და ზედ ნელ-ნელა, შენელებული კადრივით დაიხარა... როცა ყვავილები დააწყო, შევამჩნიე, რომ წარწერას „Давід Гураміш-вілі“; ფრთხილად გადაუსვა ხელი... **მაშინ მეგონა, რომ მთელი უკრაინა მოეფერა ჩვენს უბედურ პოეტს...**

არადა, უკეთესად როგორ შეიძლება გამოიხატოს პოეტის უკვდავება?...

ნინო ხოფერია

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

"ნახონ, როგორი სიყვარული იცის საქართველომ"...

თბილისში...

...„**იმ მ□იმე დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ჭეშმარიტად გენიალური პიროვნება, რომელმაც შეძლო დაეძრა საზოგადოება მკვდარი წერტილიდან"... მრავალ საფიქრალს აღძრავს ილია ჭავჭავაძეზე თქმული ეს სიტყვები, რომელიც 1912 წელს, უკრაინულ გაზეთში „ოდესკი ნოვოსტი" გამოქვეყნდა.**

პიროვნების როლის თანამედროვე, ინტერპრეტაცია დღესაც ისევ **„საზოგადოების დაძვრას"** გულისხმობს **„მკვდარი წერტილიდან",** მაგრამ ჯერჯერობით ილიასეული ანალოგიები არ ჩანს...

საქართველოს და უკრაინას კი რევოლუციურ აწმყოზე არანაკლებ მნიშვნელოვანი რევოლუციური წარსული აერთიანებთ.

* * *

ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სევდიანი ფურცელი: 1932 წლის შეთქმულება. მონაწილეთა შორის, არისტოკრატთა და სასულიერო პირთა გვერდით, უცხოელიც — უკრაინელი „ტიტულიარნი სოვეტნიკი" **დიმიტრი პაუშენკო** გახლავთ, რომელიც შემდგომ, შეთქმულებთან ერთად, დააპატიმრეს და გადაასახლეს...

საგამძიებო ჩვენებებში აღნიშნულია სხვა ფაქტიც: შეთქმულების მთავარი ორგანიზატორი ალექსანდრე ორბელიანი თანამოაზრეებთან ერთად გრიგოლ ორბელიანის მიერ გადმოქართულებულ **კ. რილეევის „ნალივაიკოს აღსარებას"** კითხულობდა... უკრაინელი ხალხის ეროვნული გმირი ს. ნალივაიკო XVI საუკუნის აჯანყების ხელმძღვანელია, რომელიც ხანგრძლივი პატიმრობისა და წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. როგორც ჩანს, მისი სახელი აღაფრთოვანებდა და სამოქმედოდ განაწყობდა ქართველ შეთქმულებს...

„1832 წელი მაშინდელი ყმაწვილკაცობის თავმოსაწონი, მაგრამ უბედური წელიწადი იყო"... — წერდა ილია ჭავჭავაძე...

1906 წელს, 22 ივნისს პეტერბურგის სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაზე ილია ჭავჭავაძე პირველად გამოვიდა სიტყვით და მხარი დაუჭირა დეპუტატს უკრაინიდან (ხარკოვიდან) — დიმიტრი ბაგალეის.

სახელმწიფო საბჭოს ოქმების ჩანაწერების მიხედვით, დ. ბაგალეი და ილია ჭავჭავაძე ე. წ. აკადემიურ ჯგუფთან ერთად მუშაობდნენ სიკვდილით დასჯის გაუქმების პროექტზე...

* * *

1897 წელს საქართველოში ილიას იუბილე — დაბადებიდან 60 წლისთავი უნდა აღენიშნათ... ხელისუფლებამ ორჯერ გადადო და საბოლოოდ ჩაშალა ეს იუბილე... მთავრობას ხალხის თავყრილობის, სახალხო მოძრაობის ეშინოდა. უფრო სწორედ, ეშინოდა იმ პიროვნების, ვინც უკრაინელი პუბლიცისტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „შეეძლო დაეძრა საზოგადოება მკვდარი წერტილიდან"...

იუბილე ჩაიშალა, მაგრამ თბილისს უკრაინიდან, ჩერნოგოვიდან დელეგაცია მაინც ესტუმრა და იუბილარს საიუბილეო ადრესი გადასცა... ამ ისტორიულ დოკუმენტზე ხელს აწერენ: უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსი მიხაილო კოციუბინსკი, მწერლები: პ. რუსკი, გ. კოვალენკო, ვ. სამოილენკო და სხვები...

ზემოთ თქვენ ხედავთ სწორედ იმ სახლს, ილია ჭავჭავაძის ბინას, სადაც უკრაინელ მწერალთა დელეგაცია მიიღეს. შეხვედრას ესწრებოდნენ გაზეთ „ივერიის" თანამშრომლები **მ. ჯანაშვილი, ა. ახნაზაროვი,** რეჟისორი **ვ. გუნია...** ოჯახის წევრები: ილიას მეუღლე — **ოლღა გურამიშვილი,** ილიას და — **ელისაბედი...**

ილია ჭავჭავაძემ საპასუხოდ თავმდაბლურად წარმოთქვა: „თქვენ მე მომართვით ჩემი თავმოყვარეობისთვის ფრიად სასიამოვნო ადრესი. ჩემი უბრალო როლი ვლინდება სწრაფვაში — საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში სასარგებლო ვიყო არა მარტო ჩემი ხალხისთვის... მე განმსჭვალული ვარ აზრით, რომ ხალხთა შორის კარგი ურთიერთდამოკიდებულების გარეშე საქართველოს შვება არ უწერია"...

* * *

ეს იყო 1898 წელს, როცა უკრაინის ოფიციალური დელეგაცია პირველად ეწვია საქართველოს, ხოლო მეორედ, ამ სახლში, ამავე ბინაში, იგივე ჩერნოგორის დელეგაცია **2005 წლის 6 ოქტომბერს შემოვიდა, ამჟამად უკვე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში...**

* * *

მასპინძლები, მუზეუმის თანამშრომლები, ანთებული სანთლებით ხელში და ფოლკლორული ანსამბლი „ნანილა", სიმღერით: „ჩემო კარგო ქვეყანა" შთამბეჭდავ განწყობილებას ქმნიდნენ... „სანთლების დერეფანს" მოწვეული სტუმრები წმიდა ილია მართლის ხატებთან, პატარა სამლოცველო ოთახისკენ მიჰყავდა. იქ უკვე **მამა დავითმა (გოცირიძემ)** აღავლინა ლოცვა, ხოლო ანსამბლის წევრებმა იგალობეს...

იმ დღეს ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში ახალი სტაციონარული ექსპედიცია გაიხსნა: **„საქართველოსა და უკრაინის ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობები"** (გამოფენის ავტორი — მუზეუმის დირექტორი **მზია ნადირაძე,** ექსპოზიციონერი — **სერგო კენჭაძე,** შემოქმედებითი ჯგუფის წევრები: **თამარ კობახიძე** (დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში), **ნელი ბუმბერაშვილი** (ფონდების მთავარი შემნახველი), **ვალენტინა მელნიჩენკო** (თბილისის უკრაინული სკოლის დირექტორის მოადგილე).

ვალენტინა მელნიჩენკო: **მინდა პირველ რიგში მადლობა გადავუხადო მუზეუმის თანამშრომლებს იმისთვის, თუ როგორი შთაგონებით, გულწრფელობით და სიყვარულით, ამავე დროს სრულიად უანგაროდ, მუშაობდნენ ქართულ-უკრაინულ რელიკვიებზე... ის ფაქტი, რომ მათ გაიცოცხლეს ამ ორი ქვეყნის წარსული, მომავალზეა გათვლილი... მჯერა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი გამოფენა უკვალოდ არ ჩაივლის...**

ვასილ მელნიკე: *უკრაინის საელჩოს კულტურის ატაშე* **— ხალხების ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიულ ფურცლებს... ეს ღონისძიება დიდი ხნის მანძილზე მზადდებოდა: ფიქრით, მსჯელობით, კვლევით, ისტორიული დოკუმენტების მოძიებით... ვფიქრობ, რომ ეს ძალიან საინტერესო, უნიკალური მასალა საჭირო კონტექსტშია მოქცეული და სათანადო შემოქმედებითი დატვირთვაც ახლავს.**

ძალიან სასიამოვნოა, რომ ამ გამოფენისადმი დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ქართულმა ინტელიგენციამ, პრესამ, ტელევიზიამ...

მნიშვნელოვანი იქნება, თუ ამ მშვენიერი ღონისძიების შესახებ მთელ საქართველოში შეიტყობენ: გურიაშიც, აჭარაშიც, სამაჩაბლოშიც, აფხაზეთშიც... დიახ, აფხაზეთშიც... რადგან ეს მათთვის მაგალითი უნდა გახდეს. დაინახონ როგორია ხალხთა შორის ისტორიული და მეგობრული ურთიერთობები... ნახონ, როგორი სიყვარული იცის საქართველომ...

მადლობა მუზეუმის თანამშრომლებს, ქალაქ თბილისის მერიას... ალბათ იცით, რომ ანალოგიური გამოფენა გაიმართა კიევშიც და მალე ის ექსპოზიცია უკრაინის სხვა ქალაქებსაც მოივლის.

მიკოლოა სპისი: ***უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში.***

ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ჩვენი ხალხების მეგობრობის განმტკიცებისთვის. ჩვენ ხომ უდიდესი ტრადიციები გვაკავშირებს. დღევანდელობას წარსულის უნივერსალური გამოცდილება სჭირდება, მით უფრო, თუ ეს წარსული ასეთი სანიმუშოა... მუზეუმში გამართული ამ საინტერესო გამოფენის არსიც ეს არის.

ვინც აქ აღბეჭდილ ისტორიულ ფურცლებს ნახავს, ალბათ სულ სხვანაირად შეაფასებს დღევანდელობას... რაც მთავარია, ყველას გაუჩნდება სურვილი: ამ ჭეშმარიტ ფასეულობას გაუფრთხილდეს...

მზია ნადირაძე (მუზეუმის დირექტორი): **ჩვენი სტუმრების დელეგაცია უკრაინიდან მართლაც წარმომადგენლობითი გახლდათ. სამახსოვრო საჩუქრებით, რომლებიც უკვე სამუზეუმო ექსპონატებად იქცა, გვეწვივნენ პოლტავის მერი, ნოვგოროდ-ვოლინსკის მერი, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მეუღლით და სხვა საელჩოს წარმომადგენლები... ეს იყო ნამდვილი ზეიმი. ამავე დროს სევდიანი წარსულის გახსენებაც, ქართველი და უკრაინელი ხალხის ტრადიციული და გულწრფელი ურთიერთობების ნამდვილი დემონსტრირებაც...**

მინდა უპირველეს ყოვლისა მადლობა გადავუხადო ჩემს თანამშრომლებს — საქმეში თანადგომისთვის, კოლეგიალობისთვის.

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ქალაქის მერია, მერიის განათლებისა და კულტურის სამოქალაქო სამსახურის უფროსი ნატალია მაჩალაძე, რომელმაც გაითავისა ამ ექსპოზიციის მნიშვნელობა და დიდი დახმარება გაგვიწია.

ჩვენ მოვამზადეთ ანალოგიური მოძრავი ექსპოზიცია: „საქართველოსა და უკრაინის ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობები" (სულ 29 სტენდი), რომელიც კიევის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში 2-დან 4 სექტემბრამდე გამოფინა, როგორც გვაცნობეს, მას მრავალი დამთვალიერებელი ჰყავდა...

ახალ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მასალები ამ ორი მართლმადიდებელი ერის, როგორც ისტორიულ სახელმწიფოებრივი ბედისწერის, ასევე მათი კეთილი ურთიერთობის შესახებ... „კიევის მღვიმეთა მონასტრის მამათა ცხოვრების" კრებული იუწყება, რომ კიევ-პეჩორის ლავრის მთავარი ტაძრის მოხატვაში სპეციალურად მოწვეული ქართველი ოსტატები მონაწილეობდნენ.

აქ ნახავთ მასალებს ვახტანგ VI და მისი ამალის, სამშობლოდან გადახვეწილ ქართველთა უკრაინაში ჩასახლებაზე... სტუდენტ აკაკი წერეთლის შთაბეჭდილებებს ტარას შევჩენკოს შეხვედრისას: „ვაღიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული"...

გაეცნობით ილია ჭავჭავაძის ურთიერთობებს უკრაინის უნივერსიტეტებთან და სხვა იშვიათ დოკუმენტებს...

მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ხახანაშვილი, როცა ქართული მწერლობის უკრაინულ ენაზე თარგმანებს გაეცნო, აღნიშნა: „უნდა მივესალმოთ ჩვენი პოეტების თარგმნას უკრაინულ ენაზე, რომლის პოეზიასა და მუსიკას ბევრი აქვს საერთო ჩვენს პოეზიასა და მუსიკასთან..."

* * *

...**და თუ კიდევ** რა გვაქვს საქართველოს და უკრაინას საერთო, მობრძანდით და ნახავთ. დაიმახსოვრეთ: **ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №7.**

კიევში...

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

საუბრები ჟურნალის ზაზა ძერსთან

ის აზრი, რომ ყველაფერი ცვალებადია, ჩვენ თბილისისა და ლონდონის ამინდებზე საუბრისას განვავრცეთ.

ზაზას განმარტებით, ცნობილი ლონდონური ნისლიანი ამინდი, აქედან გამომდინარე, გამოთქმა „ინგლისური ამინდი“ აღარ არსებობს.

ჩვენ, ანუ ისინი, ვინც ამ მოკლე ხანში დიდ ბრიტანეთში გამგზავრებას არ ვაპირებთ, იქაური კლიმატის შესახებ ზაზას მოკლე ინფორმაციითაც დავკმაყოფილდით, ხოლო რაც შეეხება საუბრის მთავარ საგანს. ახალი ქართული ემიგრაციის თემას — უფრო ბევრი გვინდა ვიცოდეთ...

მესამე ათასწლეულში ემიგრანტთა შეუჩერებელი ნაკადი თვით მწერალ-ჰუმანისტ უმბერტო ეკოსაც თითქოს მათ წინააღმდეგ განაწყობს: „თუ მოვლენათა განვითარება რაიმე მიზეზის გამო პირუკუ არ დატრიალდება (არადა, ყველაფერია მოსალოდნელი), უნდა მოვემზადოთ და ველოდოთ, რომ ევროპა ნიუ-იორკის ან ლათინური ამერიკის სახელმწიფოებს დაემსგავსება“...

— ზაზა, როდის და რა ვითარებაში დაიწყეთ ჟურნალის გამოცემა?

— მიუნჰენში გამოდიოდა კარლო ინასარიძის ჟურნალი **„მებრძოლი საქართველო...“**, როდესაც მისი ნომრები ვნახე, გული მეტკინა, ისე ღარიბულად გამოიყურებოდა ტექნიკური თვალსაზრისით. ბეჭდავდნენ ჩვეულებრივ საბეჭდ მანქანაზე, შეცდომებს ხელით ასწორებდნენ. სურათები ჩაწებებული იყო და მერე ხდებოდა ამ ყველაფრის ქსეროასლით გამრავლება... რედაქტორს დავურეკე და ტექნიკური დახმარება შევთავაზე... მე პრესის სპეციალისტი არ ვარ. უბრალოდ, ტექნიკური თვალსაზრისით მინდოდა დახმარება, სხვა არაფერი... ჩვენი ურთიერთობა და თანამშრომლობა შედგა. მერე ამ საქმეში ჩემი მეგობარი ნინო ხაბელაშვილიც ჩაერთო... წერილებსაც ვწერდით... გვინდოდა ჟურნალი უფრო კითხვადი გამხდარიყო. ბატონი კარლო გერმანული სინტაქსით, რთული ქვეწყობილი წინადადებებით წერდა... ეს კაცი, 1942 წლიდანაა გერმანიაში. ამიტომ მისი სტილის შენარჩუნებაც გვსურდა. უბრალოდ, ცოტა სხვა ფორმატი იყო მოსაძებნი...

ბატონმა კარლომ გვირჩია: მე უკვე ფრთა შეგასხით, წადით ახლა და თქვენი ჟურნალი გამოეცითო...

ეს იმ დროს დაემთხვა, როცა მე დიდ ბრიტანეთში გადავედი სამუშაოდ. მერე, 3-4 თვეში, როცა იქ ჩემი საქმე ავაწყვე, მიუნჰენში დავბრუნდი და 26 მაისის აღსანიშნავი ნომერი გამოვეცით. ორი ნომერი გამოვიდა გერმანიაში, შემდეგ უკვე ლონდონში გამოდის.

— თქვენი ავტორები, როგორც ვხედავ, მხოლოდ უცხოეთში მცხოვრები ქართველები არიან.

— ჩვენი პრინციპია, რომ უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა წერონ. ჩვენ არ ვბეჭდავთ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს.

— არც „დაიჯესტის“ სახით?

— არ ვაკეთებთ ამას. არადა, ალბათ კარგი იქნება, რომ გავაკეთოთ.

— წარმომიდგენია, რა რთული



დაამთავრა თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, მუშაობდა გერმანიაში „დაიმლერ-ბენცის“ კომპანიაში. მისი პროექტით შტუტჰარდტის ოფისის ოთხსართულიანი შენობა და ერთი ხიდი აშენდა.

შემდეგ მიუნჰენში ბუნდესვერის უნივერსიტეტის დოქტორანტი გახდა. მუშაობდა გერმანიის დიდ ენერგომიმწოდებელ კომპანიაში, შემდეგ მსხვილ იაპონურ კომპანიაში. მეგობართან ერთად საკუთარი კომპანიაც დააფუძნა.

ინგლისში მუშაობდა გრინვიჩის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კათედრაზე. ამჟამად არის ლონდონში, სამედიცინო აპარატურისა და აღჭურვილობის დამამზადებელ კომპანიაში მთავარი ინჟინერი.

მისი რედაქტორობით გამოდის დიდ ბრიტანეთში ქართულენოვანი ჟურნალი: „თანამემამულე“.

— ვერ გეტყვით, რამდენად რეალურია კულტურათა თანაარსებობის იდეა იქ, სადაც ყველა იყენებს შედარებით იოლ სასაუბრო ენას — ინგლისურს, და სადაც თეთრკანიანი მოსახლეობა თანდათან პროცენტულად მცირდება... გარდასულ დროებაზე ნოსტალგიით შეპყრობილი ევროპა ამაზე დიდი ხანია ფიქრობს და შიშობს.

ჩინელები, კორეელები, პაკისტანელები, ებრაელები, პოლონელები, ალჟირელები, ზამბიელები, მაროკოელები, რუსები, სომხები, ქართველები!.. — მესამე ათასწლეულის მიგრანტები ევროპის კარებში შეღწევას ცდილობენ... ვფიქრობთ, გამონაკლისების გარდა, ისინი, ძალიან სასურველი სტუმრები არ არიან...

ემიგრანტებს მატერიალურ კეთილდღეობაზე არანაკლებ სულიერი საყრდენები სჭირდებათ... სათვისტომოების, მშობლიურ ენაზე დაბეჭდილი ჟურნალ-გაზეთების, გამოხმაურებების, თუ მათთან გამართული დიალოგის სახით...

— ეს იგი, ეს მაინც ენის დავიწყების პრობლემას უკავშირდება.

— ეს ძალიან მტკივნეული პრობლემაა, რაზეც შემიძლია საათობით ვილაპარაკო. ხშირად მშობლები ვერ ხვდებიან ამ საშიშროებას. მრავალი მიზეზია, თუ რატომ არ ლაპარაკობს უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვი ქართულად. მთავარი მიზეზი ის არის, რომ მშობლები ცდილობენ, მათმა შვილებმა ჩქარა ისწავლონ უცხო ენა და ბავშვს ელაპარაკებიან დამტვრეული გერმანულით თუ ინგლისურით... ამით ბავშვებს, ფაქტობრივად, ენას უკარგავენ... არ ვიცი საიდან, მაგრამ გავრცელდა აზრი, რომ მეორე ენა ბავშვის განვითარებას ხელს უშლის. მართალია, არის პრობლემა, რომ იქ დაბადებული ბავშვი, როცა დედისგან თუ მამისგან თავისი გარემოსგან განსხვავებული, სხვა ენა ესმის, გვიან იწყებს საუბარს. ლაპარკის დაწყების პირველ ეტაპზე ძალიან ურევს ენებს... ორივე ენას, აბსოლუტურად... მაგრამ დაახლოებით 3-4 წლის ასაკში ყველაფერი თავის ადგილას მიდის და ბავშვი ორივე ენაზე ლაპარაკობს.

ჩვენ ლონდონში სოციოლოგიური გამოკვლევა გავაკეთეთ და დავადგინეთ, რომ ე.წ. ორენოვანი ბავშვები გაცილებით გახსნილი და განვითარებულნი არიან... მათ უფრო გავარჯიშებული აქვთ გონება.

არსებობს კითხვა: შერეულ ოჯახში, როცა დედა ქართველია და მამა უცხოელი, ან პირიქით, მამა ქართველია და დედა

იხ. მე-11 გვ.

ქართველი ინტელიგენციის სულიერი კვალი

„ შემოდგომის საღამოს“ ჯერ გამოცემული წიგნის და დაუსრულებელი ფილმის შესახებ ვისაუბრეთ, რომელსაც რეალური განმხორციელებლი ჰყავს... მაგრამ კიდევ რამდენი ისტორიაა დასაწერი, გადასაღები... რამდენი უცნობი მასალაა ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებიდან...

„კვირაძალის საკითხავი“ დღეს სრულიად განსაკუთრებულ მასალას გთავაზობთ. **ეს არის ფრაგმენტი ჯერ შეუდგენელი, დაუსტამბავი წიგნიდან და გადაუღებელი ფილმიდან...** არავინ იცის, როდის გამოვა წიგნი და ვინმეს გაუჩნდება თუ არა სურვილი ამ სიუჟეტის ეკრანიზაციის, მაგრამ ვფიქრობთ, მშვენიერი დოკუმენტალური მასალაა...

ჩვენს წინაშეა უკვე გაყვითლებული ხელნაწერი: ქალბატონ ბაბო დადიანის დღიური. ვკითხულობთ და დროდადრო კომენტარებს ურთავს მისივე ქალიშვილი — ქალბატონი თათული ღვინიაშვილი.

თათული ღვინიაშვილი: რამდენჯერ მინახავს დედა, განმარტოებული, როგორ წერდა ამ მოგონებებს... ხედავ, ამ ფურცლებზე ზოგან ცრემლის კვალია... ერთხელ შევედი ოთახში და დავინახე: ეს რვეული წინ გადაშლილი ედო და ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა ცრემლი...

1937 წელს მამა უკანასკნელად დააპატიმრეს... ისევ რიგები ციხის სარკმელთან მისასვლელად... ისევ სირბილი აფორიაქებული ჭირისუფლების...

ერთხელ დედა საღამოთი წავიდა, რომ მეორე დილისთვის რიგი დაეჭირა... უნდა მობრუნებულიყო, მაგრამ არ მობრუნდა. ღამე აღარ დაბრუნებულა, აღარც მეორე დღეს... მე და ჩემი ძმა გიორგი შევშინდით და დედის საძებნელად წავედით... ძერჟინსკის ქუჩიდან ორთაჭალამდე ფეხით ვიარეთ... ციხის კარებთან ხალხი ჩაჭედილიყო... „წყალი, წყალი!“ — ყვიროდნენ ქალები. პეშვით ვაწვდიდით წყალს... თურმე ისინიც დღე და ღამე იქ იდგნენ...

დროი იცვალნეენ...

ახლა...

ედუარდ კოკითი: „საქართველოს მხარის მოქმედებამ გვაიძულა, აფხაზეთთან სერიოზული სამხედრო კავშირის შექმნაზე დაგვეწყო საუბარი.

ქართველები ჩვენს წინააღმდეგ მასშტაბურად აიარაღებენ არმიას. **ჩვენ გამოვუცხადეთ ბრძოლა ქართულ სეპარატიზმს!**

სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი უნდა აღიქვან ისეთად, როგორებიც ისინი არიან და არა ისე, როგორც სურს საქართველოს!..“



წინათ...

გალაკტიონ ტაბიძის არქივიდან

სოხუმის სასტუმროში შედგეინლი ლექსების რვეული

თბილისის სამხატვრო გალარეა, გალაკტიონ ტაბიძე ათვალიერებს სამხრეთ ოსეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენას. ფოტო ვ. უბოჟენკოსი. 1956 წელი.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

დედის დღიური შვილის კომენტარებით...

ბოლოს და ბოლოს დედამ ფანჯარასთან მიაღწია. იქ უთხრეს: **„გადასახლებულიაო..“** სასოწარკვეთილები ერთად წამოვედით. მოდიოდა დედა უკვე ძალიან დაღლილი, დასივებული ფეხებით. ფეხსაცმელებს ვეღარ იკრავდა... ფაქტიურად ერთი ღამე და ორი დღე ხომ ფეხზე მდგომმა გაატარა...

დაღამებისას გაიქცა ნავთლულში, რადგან უთხრეს, იქ გეტყვიან, სად გადაასახლესო. გაიგო: **ეშელონი წასულა როსტოვის მიმართულებით...**

მეორე დღეს დედამ საჯარო ბიბლიოთეკაში ბრიტანული ენციკლოპედია მიიტანა (ყველა ტომი), ჩვენთვის რომ ინახავდა მამა: „ყველაფერი რომ გავყიდოთ, წიგნები მაინც დავუტოვოთ ბავშვებსო“... უბრალოდ, დედას სხვა გზა აღარ ჰქონდა... იმ დღესვე მისცეს 2500 მანეთი...

საღამოს დედამ გაახვია მამის თბილი ქურთუკი, „იქ ძალიან სცივა ალბათ ალიოშასო“, კიდევ რაღაც წაიღო და როსტოვში გაემგზავრა... სადგურში უთხრეს, რომ ჩასული ეშელონები 12 კილომეტრის მოშორებით იდგა. ფეხით მიაღწია იმ ადგილამდე. იქ მართლაც ოთხი ეშელონი იდგა. დედა მიდიოდა თითოეულ ვაგონთან და ხმამაღლა ეკითხებოდა: „არის აქ ალიოშა მასხარაშვილი?“...

დღიურიდან: „დიდი გაჭირვებით გადავხოდი მორებზე და მივუახლოვდი ერთ დიდ საბარგო მატარებელს, ვეძახდი ალიოშას, ვეძახდი ხმამაღლა, გავყვიროდი... ჩამოვიარე მთელი გრძელი ეშელონი. მერე გავძვერი იმ მატარებლის ქვეშ და მეორე ლიანდაგზე გაწოლილ ასეთივე მატარებელს მივადექი. შევძახოდი საბარგო ვაგონებში ჩაჭედილ პატარ-პატარა ფანჯრებს, დავრბოდი პირველი ვაგონიდან ბოლო ვაგონამდე... ვეძახდი, ვეძახდი, თავგანწირვით ვყვიროდი!..

თათული ღვინიაშვილი: როგორც ჩანს, ამ ვაგონში ჩაჭედილ პატიმრებს ესმოდათ დედას ხმა, უთანაგრძნობდნენ და გადასძახებდნენ თურმე ერთმანეთს: **„ალიოშა მასხარაშვილი არის ჩვენთან ვინმე?“ „ალექსანდრე მასხარაშვილი არის მაქ ვინმე?“** ...ერთმანეთში ირეოდა დედაჩემის თავგანწირული ძახილი და ვაგონებში შეყრილ პატიმართა დაგუბებული ხმები. თითქოს გუგუნებდნენ ვაგონები: **„არის სადმე ალიოშა მასხარაშვილი?!“..**

ბოლოს ვიღაც ჩეკისტი დამუქრებია და შეშინდა დედა: „იქნებ ამ ეშელონების რომელიღაც ფანჯრიდან დამინახოს ჩემმა ალიოშამ და რომ მესროლონ, ამას ხომ ის ვერ გადაიტანსო...“ შვილებიც გაახსენდა, მარტო დარჩენილები...

იქვე პატიმრებს გადასცა საჭმელი... თბილი ქურთუკიც: „ალიოშას თუ ნახავთ, მიეცითო...“

რას ნახავდნენ... მამა თურმე უკვე დახვრეტილი იყო. 1938 წლის 22 თებერვალს მიუსაჯეს და 24 თებერვალს დახვრიტეს...

საუბრები ქემოდგომის ალიამის

(მეათე გვერდიდან)

უცხოელი, რა ენაზე უნდა ესაუბრონ ბავშვს? მთავარი პრინციპია: **ერთი ენა, ერთი ადამიანი.** ე.ი. თუ ვთქვათ, მამა ჰყავს გერმანელი და დედა ქართველი, მამამ ბუნებრივია უნდა ელაპარაკოს გერმანულად, ხოლო დედამ აუცილებლად ქართულად.

თუ დედამ ეს პოზიცია შეცვალა, ანუ აღარ ელაპარაკა ქართულად, რაღაც ეტაპზე ბავშვი არჩევანს აკეთებს და ერთ-ერთ ენას ირჩევს და დიდი ალბათობაა ეს უცხო ენა იყოს, რადგან უფრო მოხერხებულია მისი გარემოსთვის. ამიტომაც ასეც ხდება ხოლმე — თუკი ამ ყველაფრის მერე დედა დაელაპარაკება ქართულად, ბავშვი გერმანულად უპასუხებს.

მე იქ ჩემი შესაძლებლობებით ვიბრძვი, რომ ბავშვებმა ილაპარაკონ ქართულად...

(შემდეგ ზაზა ლონდონის ქართულ სათვისტომოზე საუბრობს, რომელიც სანიმუშოდ მიაჩნია ჩვენს თანამემამულეთა, სხვა სათვისტომოებს შორის... საუბრობს იმ ფსიქოლოგიურ ბარიერზე, რაც ემიგრანტთა ურთიერთობებში მჟღავნდება, ურთიერთნდობის ფაქტორზეც... ძველი და ახალი ემიგრაციის საერთო თუ განმასხვავებელ თვისებებზე. აღიარებს, რომ ეს ყველა თემა არის ძალიან რთული, არაერთმნიშვნელოვანი და პრობლემური).

— ძველი ემიგრაციის გამოცდილება სჭირდება თუ არა ახალ ემიგრაციას?

— ისინი, ძველი ემიგრანტები, თავისთავად ძალიან საინტერესო პერსონები არიან. მათი ბიოგრაფიები მხატვრული რომანების თემაა... მაგალითად, არის ასეთი კაცი, შეიძლება გსმენიათ — ალექსანდრე ბესტავაშვილი. ის 100 წლისაა და არაჩვეულებრივად კარგად, მხნედ გრძნობს თავს ფიზიკურად თუ გონებრივად... ახსოვს პირველი მსოფლიო ომიც, წითლების შემოსვლაც, ჟორდანია როგორ ტოვებდა სამშობლოს... საშინელი რეპრესიებიც... ის 1929 წელს წავიდა საქართველოდან. გორიდან სტამბულამდე ფეხით ჩავიდა... იქ ურუგვაის გემზე უშოვია სამუშაო... და იმ პერიოდში, როცა მარსელს მიადგნენ, საფრანგეთში გადავიდა...

წარმოიდგინეთ, ეს გორელი ბიჭი როგორ სწავლობს ენას, როგორ იღებს უმაღლეს განათლებას — სოციოლოგიის განხრით, და არ ასვენებს ფიქრი, რომ სამშობლოში ჩამოვიდეს და როგორც პროფესიონალი, თავის ქვეყანას გამოადგეს... ამ ენთუზიაზმით 1936 წელს მიადგა საფრანგეთში საბჭოთა საელჩოს: მე ვარ ქართველი, მივიღე ცოდნა-განათლება და ახლა მინდა სამშობლოში დავბრუნდე და ვიმუშაოო“...

...სიტუაცია ასე წარიმართა: ციმბირში უკრეს თავი... ბატონ ალექსანდრეს აქვს უნიკალური მოგონებები, დოკუმენტები, ვიდეოჩანაწერები... მეც ბევრი საუბარი აღვბეჭდე ვიდეოფირზე... დავაინტერესე გერმანელი პროდიუსერი და ახლა მასზე ფილმს ვიღებთ...

ვფიქრობ, წიგნიც უნდა დაიწეროს. ეს ერთი ადამიანის კი არა, მთელი თაობის ბედისწერას ეხება.

წიგნის გამოცემის ორგანიზებასაც მე ვაპირებ...

* * *

ჟურნალის **„თანამემამულე“** უკანასკნელი ნომერი, რომელიც ზაზა მესხმა გადმომცა, თავის არჩეულ გეზს აგრძელებს, ანუ **მოვლენათა ანალიზს ქართული ემიგრაციის თვალთახედვით.**

მათ, იქიდან ჩამოსულებს, განათლება და გამოცდილებამიღებულ უცხოელ ქართველებს, ციმბირში ნამდვილად აღარავინ უკრავს თავს, მაგრამ რა ელოდებათ აქ?.. მოახერხებენ კი თავიანთი შესაძლებლობების რეალიზებას?

რაც შეეხება განათლების სფეროს. ზაზა მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ ჩვენი (თბილისის) უნივერსიტეტები უფრო მეტ და უნივერსალურ ცოდნას იძლევიან, ვიდრე უცხოეთის რიგი უნივერსიტეტები, რისი დიპლომებითაც დღეს ძალიან იწონებენ თავს. (აქ არ იგულისხმება კემბრიჯი და ოქსფორდი). ეს ვფიქრობთ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.

საუბარი ჟურნალის მომავალსაც შეეხო. „თანამემამულე“ მალე სხვა ფორმატით გამოვა, სრულიად ახალი, შეცვლილი დიზაინით.

ასე რომ ლონდონში არა მარტო ამინდები იცვლება...

დასასრულს აღმოჩნდა, რომ თუ ემიგრაციის ყველა პრობლემას შევეხებით, ჩვენს საუბარს არასდროს ექნება დასასრული და ასე არაერთი შემოდგომის საღამო გაივლის...

მეორე დღეს ზაზა უკვე ბრიტანეთში მიემგზავრებოდა. ერთადერთი, რის გარკვევაც სრულიად უშედეგოა, ალბათ ის გახლავთ: კარგია თუ არა, როცა ქართველები ევროპასა და ამერიკაში საცხოვრებლად მიემგზავრებიან...

იგივე ევროპელი მწერლის აზრით, „მიგრაციები სტიქიურ უბედურებებს ჰგვანან იმით, რომ **ჩვენს ნება-სურვილზე არ არიან დამოკიდებული...**“

ესაუბრა
ნინო ხოფერია

ჩვენი ტელეფონებია:
99-55-01; 893 14-57-56.
ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, ლევან ბოჭორიშვილი.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

J.D. Power and Associates კომპანიამ შეადგინა 2005 წლის რეიტინგი, რომელშიც მოცემულია, თუ როგორია ახალი ავტომობილის მყიდველთა კმაყოფილების დონე.

გამოკითხეს ახალი მანქანების 115 ათასზე მეტი მფლობელი, რომლებმაც გამოთქვეს თავიანთი აზრი მანქანის ექსპლოატაციის პირველი სამი თვის განმავლობაში მისი მუშაობის შესახებ. ავტომობილებს აფასებდნენ ძრავის მუშაობისა და ტრანსმისიის, ადვილი მართვის, მუხრუჭების ეფექტიანობის, ერგონომიკის და მოხერხებული სავარძლებისა და სალონის, კონდიციონერის მუშაობის, აუდიოსისტემის ჟღერადობის ხარისხის, ძარის დიზაინისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. ქულათა მაქსიმალურად შესაძლო ჯამი ათასს უდრიდა. 908 ქულით გაიმარჯვა **PORSHE 911** ავტომობილმა. მეორე მხრივ კი, საიმედოობის დონის მიხედვით, ამ მოდელმა მხოლოდ 147 ქულა მოაგროვა. პარადოქსია?

ავტომობილით კმაყოფილების დონე



J.D. Power კომპანიის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულია 115 ათასი კაცი.

კომპაქტ-კლასი

MAZDA 3 — იაპონია

დეფექტების რაოდენობა	— 149
კმაყოფილების ხარისხი	— 852 ქულა
ფასი	— $18.700

საშუალო კლასი

VOLKSWAGEN JETTA — გერმანია

დეფექტების რაოდენობა	— 147
კმაყოფილების ხარისხი	— 848 ქულა
ფასი	— $25.000

ბიზნეს-კლასი



NISSAN MAXIMA — იაპონია

დეფექტების რაოდენობა	— 120
კმაყოფილების ხარისხი	— 863 ქულა
ფასი	— $39.000

სპორტკარი

PORSHE 911 — გერმანია

დეფექტების რაოდენობა	— 147
კმაყოფილების ხარისხი	— 908 ქულა
ფასი	— $119.900

წარმომადგენლობითი კლასი

BMW 7-series — გერმანია

დეფექტების რაოდენობა	— 95
კმაყოფილების ხარისხი	— 898 ქულა
ფასი	— $113.700

საოჯახო მანქანა

KIA SPORTAGE — კორეა

დეფექტების რაოდენობა	— 140
კმაყოფილების ხარისხი	— 845 ქულა
ფასი	— $19.920

ყველგანმავალი

LAND ROVER — ინგლისი

დეფექტების რაოდენობა	— 149
კმაყოფილების ხარისხი	— 903 ქულა
ფასი	— $109.900

ექსტრიმი

HUMMER H2 — აშშ

დეფექტების რაოდენობა	— 110
კმაყოფილების ხარისხი	— 897 ქულა
ფასი	— $93.000

პროგრესი ერთ ადგილზე არ ჩერდება. ტექნიკური საიმედოობის მიხედვით თითქმის არაფრით ჩამოუვარდებიან ლიდერს — LEXSUS-ს ავტომობილების მსოფლიო მწარმოებლები. და ახლა პირველ ადგილზე გადის ავტომობილის დიზაინი, სალონის აღჭურვილობა. მომხმარებელს სულ უფრო მეტად მოსწონს ისეთი მოდელები, რომლებშიც ესხმება ხორცი ახალ ტექნიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უფრო კომფორტულს და სასიამოვნოს ხდის ავტომობილის მართვას. საიმედოობამ კი მეორე პლანზე გადაინაცვლა.

და კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი: ახალ ანგარიშში ფიგურირებს შვიდი ახალი მანქანით მეტი. მსოფლიო ავტობაზარი სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

დეფექტების რაოდენობა ყოველ 100 ავტომობილზე



J.D. Power კომპანიის მონაცემების მიხედვით, გამოკითხულია 115 ათასი კაცი.

ქრონოგრაფი

17 ოქტომბერი, 1740 წელი

დაარსდა ქალაქი პეტროპავლოვსკ-კამჩატსკი — ერთ-ერთი უძველესი ქალაქი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში.

ქალაქი ააგეს პატარა დასახლება აუშინის ადგილზე, სადაც გამოიზამთრეს და ქოხმახები ააშენეს კამჩატკის მეორე ექსპედიციის წევრებმა ბერინგისა და ჩირიკოვის ხელმძღვანელობით. ქალაქმა სახელწოდება მიიღო ექსპედიციის ფლაგმანი გემების „წმიდა მოციქული პეტრესა“ და „წმიდა მოციქული პავლეს“ სახელების მიხედვით.

18 ოქტომბერი, 614 წელი

კლოტარ II (ფრანკთა პირველი მეფის ხლოდვიგის შთამომავალმა), რომელმაც შესძლო ფრანკთა სამთავროების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება და უზარმაზარი ქვეყნის ერთიან მეფედ თავის გამოცხადება, პარიზში შეკრიბა 70 პრელატი და გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც ქვეყანაში უნდა დამყარებულიყო სიმშვიდე და სასტიკად დასჯილიყო ყველა მეამბოხე.

კანონის ძალაში შესვლიდან ფრანკთა სამეფოში წესრიგმა დაისადგურა და მეფის გარდაცვალებამდე (629 წლამდე) გასტანა.

19 ოქტომბერი, 1901 წელი



ოცდარვა წლის ბრაზილიელმა ალბერტო სანტოს-დიუმონმა საკუთარი კონსტრუქციით აგებული დირიჟაბლით შემოუფრინა ეიფელის კოშკს. რამდენიმე წლით ადრე საფრანგეთის აეროკლუბის ერთ-ერთმა უმდიდრესმა დამაარსებელმა დააწესა ფულადი პრემია 100 ათასი ფრანკის ოდენობით მისთვის, ვინც შეძლებდა პარიზის გარეუბან სენ-კლუდან დირიჟაბლით აფრენას, ეიფელის კოშკის შემოვლას და უკან დაბრუნებას 30 წუთში.

ბრაზილიელმა კოშკამდე მიფრენას და მის შემოვლას სულ 9 წუთი მოანდომა, მაგრამ უკან დაბრუნებისას ძლიერ ქარიშხალში მოყვა და დათქმულ დროს 29 წამით გადააჭარბა. მფრინავის გმირობით აღფრთოვანებულმა ხალხმა აიძულა პრიზის დამაარსებელი, რომ ალბერტოსათვის 100 ათასი გადაეხადა. ალბერტო სანტოს-დიუმონმა თანხა თავის თანაშემწეებსაც გაუნაწილა.

ლიტერატურა

ვინ იყო მწერლის ოცნების ქალი?



ის ერთ-ერთ ყველაზე გამოუცნობელ პიროვნებად ითვლება რუსული ლიტერატურის ისტორიაში. მართალია, დიდი მწერლის ბიოგრაფია განსაკუთრებულ საიდუმლოებებს არ შეიცავს, მაგრამ თავის შიგა სამყაროს, მიზეზებს, რომლებიც გენიოსს ამა თუ იმ ქმედებისკენ უბიძგებდა, მზრუნველობით იცავდა არა მარტო გარეშეთაგან, არამედ ახლობელ ადამიანთაგანაც.

ნიკოლოზ გოგოლი ისე მოიხიბლა ალექსანდრა როსეტის (ქმრის გვარით, სმირნოვას) გაცნობისთანავე, რომ უმალ იმის თაყვანისმცემელთა ამალაში აღმოჩნდა. არადა, ქალის მაღმერთებელთა რიცხვში შედიოდნენ პუშკინი, ვიაზემსკი, ჟუკოვსკი, ლერმონტოვი... ლიტერატორებს მოსწონდათ ალექსანდრას დაკვირვებულობა, ჭკუამახვილობა, ნატიფი იუმორი და, რასაკვირველია, მიმზიდველი გარეგნობა.

ქანდაკებასავით ტანადს ყველაფერი კლასიკური ჰქონდა. ფეხები, ხელები, თავის ფორმა, კისერი, პროფილი, ძალდაუტანებელი მოძრაობები, სიარული. მშვენიერ შესახედავს, მოხდენილს, გრაციოზულსა და პიკანტურს ყველა ეტრფოდა.

1826 წლის ოქტომბერში ალექსანდრა როსეტი ფრეილინად მიიღეს იმპერატორის კარზე. ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული ქალი მალე შეეწყო ნიკოლოზ I-ის გარემოცვას მისი გამუდმებული მითქმა-მოთქმითა თუ ინტრიგებით, გახდა დამცინავი და შიგადაშიგ ენამწარეც, სწრაფად იქცა იმპერატრიცა ალექსანდრას საყვარელ სეფექალად, სარგებლობდა ხელმწიფის კეთილგანწყობით. დიდ მთავარს, მიხეილს კი უყვარდა ძალდაუტანებელი საუბარი გონიერ მზეთუნახავთან, ართობდა მისი ცოცხალი სიტყვა, კალამბურები, ენამახვილობის გაბრწყინებები.

დიდებულ კავალერთა უმეტესობისგან განსხვავებით, ნიკოლოზ გოგოლი არ ელტვოდა ალექსანდრა როსეტთან ფიზიკურ სიახლოვეს — რა არი და, მაგის თაყვანისმცემლებთან მეტოქეობას როგორ გავუძლებო. ასე იყო თუ არა, ერთი კია — იმათი დამოკიდებულებანი უაღრესად პლატონურად გამოიყურებოდნენ. თუმცა ერთხელ ალექსანდრამ მოახერხა მწერლის გრძნობების გამომჟღავნება: „თქვენ ხომ, მგონი, შეყვარებული ხართ ჩემზე!“ საპასუხოდ ნიკოლოზი აილეწა და გაიქცა.

შემდგომ ორივე მრავალწლიანმა მიმოწერამ დააკავშირა. მწერალი უზიარებდა ქალს საკუთარ აზრებს ლიტერატურაზე, რელიგიაზე, მაღალი წრის ყოფაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ალექსანდრა სმირნოვა-როსეტი ერთ-ერთი მცირეთაგანი გახლდათ, ვისაც გოგოლი ნაწყვეტებს უკითხავდა დაუმთავრებელი ნაწარმოებებიდან, ვის აზრსაც ყურს უგდებდა. „ის იყო ყველა რუსი ქალის მარგალიტი, ვინც კი მე მცოდნია... ჭეშმარიტი ნუგეშმცემელი, როცა ნუგეში ძალიან მჭირდებოდა. ჩვენი სულები ერთმანეთს ტყუპი ძმებივით ჩამოგავდნენ“, — შენიშნავდა მწერალი ალექსანდრაზე.

1832 წელს ქალი ცოლად გაჰყვა მდიდარ მეწარმეს სმირნოვს. რამდენიმე ხნის შემდეგ ოჯახი კალუგაში გადასახლდა, სადაც ალექსანდრას ქმარი გუბერნატორად დაინიშნა. გოგოლი იმათი საზაფხულო სახლის ახლოს ფლიგელში ცხოვრობდა და ხშირად ნახულობდა საყვარელ ქალს. სწორედ კალუგაში დაიწყო მწერალმა „მკვდარი სულების“ მეორე ტომზე მუშაობა. სწორედ იქ წაიკითხა დაუმთავრებელი რომანის რამდენიმე თავი (მოგვიანებით ამას შეარქმევენ „კალუგის კითხვანიო“). ბევრი მკვლევარი ვარაუდობს, რომ მეორე ტომის სიუჟეტს, ისევე როგორც ხელნაწერის დაწვას, ავტორი ალექსანდრას უმადლის...

მეორე ტომში ჩიჩიკოვი ანდერძის გაყალბებას ეწევა. შესაძლოა, ეს ჩანაფიქრი მწერალს კალუგის გუბერნატორის ერთმა საქმემ გაუჩინა, რომლის დეტალებიც ალექსანდრა სმირნოვას წერილებიდან შეიტყო.

ზოგი ლიტერატურათმცოდნე ფიქრობს, რომ „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილის ტექსტის დაწვის მიზეზი გუბერნატორის ცოლის ერთ-ერთი ბარათი შეიქნა: სიზმარი ვნახე, თუ როგორ დაწვი შენი ნაწარმოებიო. ალექსანდრამ ზმანებას „გადასხვაფერება“ უწოდა, რაც ნიკოლოზმა თავისებურად გაიგო: „მეორე ტომის გამოჩენა იმ სახით, როგორც დაიწერა, უფრო ზიანს მოიტანდა, ვიდრე სარგებლობას... დგება ჟამი, როცა შეუძლებელია საზოგადოების ან მთელი თაობის მისწრაფება მშვენიერისკენ, სანამ მისი ნამდვილი საზიზღრობის მთელ სიღრმეს არ უჩვენებს; არის ჟამი, რომ სულაც არ უნდა ილაპარაკო ამაღლებულსა და მშვენიერზე, თუ აქვე არ უჩვენებ, დღესავით ნათლად, იმისკენ ყველასათვის მისასვლელ გზებს“, — წერდა გოგოლი ცეცხლში ხელნაწერის დაბუგვის შემდეგ.

მწერლის უკანასკნელ წლებში ალექსანდრა განსაკუთრებით ახლოს იყო მასთან — სწორედ ის იხვეწებოდა გოგოლისთვის პენსიის დანიშვნას, მხარში ედგა დიდ შემოქმედს ავადმყოფობისა და დეპრ

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

◎ ყველაფერი ყველაფერზე

გაფრენა საცობს ზემოთ

ავტომობილისა და თვითმფრინავის ჰიბრიდი, აერომობილი, „სულ“ 3,5 მილიონი დოლარი ღირს. დღეს ტექნიკის ეს სასწაული სინამდვილედ ქცეულა და ერთადერთი, რაც საცობში გაჩხერილ ავტომობილისტს სიმხურვალეს უგრილებს, სწორედ ხსენებული ფასი გახლავთ.

— არავითარი შუქნიშნები, საცობები და ჯარიმები — ჩაჯექი და გაფრინდი, — ასეთ რეკლამას უწევს საქონელს მწარმოებელი, ამერიკული კომპანია Moller International.

აერომობილი ოთხ მგზავრზეა გათვალისწინებული და 865 ცხენის ძალის საერთო სიმძლავრის ოთხი ძრავა აქვს, რომლებიც 560 კმ/სთ მაქსიმალური სიჩქარით ფრენის საშუალებას იძლევიან საწვავის ერთობ მცირე დანახარჯით (9 ლიტრი 100 კილომეტრზე). საინტერესოა, რომ ამ საწვავის სახით მანქანა ტრადიციულ ნავთობპროდუქტებს კი არ იყენებს, არამედ ძალიან სუფთა ხის სპირტს. თანამედროვე გამანადგურებლის დარად, ის აფრინდება და დაჯდება ვერტიკალურად, რაც ასე მნიშვნელოვანია ქალაქის პირობებში.

ამ მზეთუნახავს სამი წელიწადი მაინც სჭირდება მასობრივად გამოშვებისთვის, თუმცა ახლავე შეიძლება ექსკლუზიური პროტოტიპის დაკვეთა.

სალმან რუშდი თავისას არ იშლის

ინდური წარმოშობის ბრიტანელი მწერალი სალმან რუშდი აცხადებს, რომ ისლამი რეფორმირებას საჭიროებს. მწერლის აზრით, ისლამს ეს იმისთვის სჭირდება, რომ რელიგიამ შეძლოს თანამედროვე ეპოქასთან შეგუება. გაზეთ „თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში რუშდი წერს, რელიგიის უფრო ღია ინტერპრეტაცია დასავლეთ მსოფლიოსთან ურთიერთობათა გაუმჯობესებასთან მიგვიყვანს და თანამედროვე საზოგადოებისაგან ახალგაზრდობის გაუცხოების დონეს დასწევსო.

„ახლანდელ მსოფლიოსთან შესაბამისობაში ისლამის ძირითადი პრინციპების მოსაყვანად რეფორმირება აუცილებელია“, — ამბობს მწერალი. მისი სიტყვებით, მხოლოდ რამდენიმე მუსლიმანს ანებებენ ისტორიული დოკუმენტის სახით ყურანის შესწავლას. რუშდი ფიქრობს, დიდი ხანია, რაც ასეთი ნაბიჯის გადადგმისა და დოგმატიზმზე უარის თქმის დრო დადგაო. „რატომ უნდა ხელმძღანელობდეს ღმერთი VII საუკუნის არაბული სამყაროს სოციალურ-ეკონომიკური წყობით? — სვამს კითხვას მწერალი — თუმცა, თუ ყურანს ისტორიულ დოკუმენტად განვიხილავთ, მაშინ შეიძლებოდა მისი ხელახლა ინტერპრეტირება. მომავალი საუკუნეების პირობებთან მოსარგებად“.

რუშდი იძულებული იყო, რამდენიმე წელი იატაკქვეშეთში გატარებინა მას შემდეგ, რაც მისი თავისათვის ჯილდოდ 2,8 მილიონი დოლარის დაპირება გაიცა. მწერლის წინააღმდეგ გამოდიოდა აგრეთვე ირანის სულიერი მამა აიათოლა ჰომეინი, რომელმაც რუშდის წიგნი „სატანური ლექსები“ მკრეხელობად და ღვთის გმობად ჩათვალა.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

მარტო სხვისი ჭირი?!

ცისფერი ქრონიკები – მხოლოდ ზოგს მოგიყვებით...

***რუსეთი** ამჟამად მსოფლიო ლიდერია, პროსტიტუციასა და პორნობიზნესში ჯარისკაცთა ჩათრევის მიხედვით. ასეთი მონაცემებია მოყვანილი გაეროს საერთაშორისო ადამიანთა სექსუალურ ექსპლოატაციასთან ბრძოლის კომისიის მოხსენებაში.*

ჰომოსექსუალიზმი სამხედროთა შორის — ეს სერიოზული პრობლემაა. ამის მასშტაბებზე მსჯელობა შეიძლება რუსეთის არმიაში მოხშირებული სამარცხვინო ჰომოსექსუალური საგანგებო შემთხვევების მიხედვით.

სანკტ-პეტერბურგი

აქ მილიციონერებმა თითქოსდა ჩვეულებრივ პორნოსტუდიას ჩაავლეს, ოღონდ სხვათაგან მსახიობების მონაკრებითა და უცხოელი „რეჟისორით“ განსხვავდებოდა. კანადელი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლების კურსანტებს „უღებდა“ სურათებს და ფოტოსა ან ვიდეოსესიაში 100 დოლარს იხდიდა.

დაკავებული „პორნომაგნატი“ მალე გაუშვეს გაუმგზავრებლობაზე ხელმოწერით, მაგრამ სწორედ რომ გაემგზავრა... შვედეთში, მეორე დღეს. ეგ იყო, სიჩქარეში ფლეშ-ბარათი დარჩა თავის სტუდიაში, სადაც დოსიე ასამდე „ფოტომოდელზე“ შეეკრიბა.

კურილის კუნძულები

ერთ-ერთზე, იტურუპზე, შემთხვევით ამოტივტივდა მთელი „ცისფერი ჰარამხანა“ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში. „სულთანი“ კი ნაწილის პოლიტუფროსის თანაშემწე აღმოჩნდა.

მაიორი გოდილოვი მუქარებითა და შანტაჟით აიძულებდა ჯარისკაცებს მამათმავლობას, უფრო ხშირად კი ეგრევე აუპატიურებდა. გაუბრალოებული დათვლით (მარტო სისხლის საქმეში არსებული დაზარალებულთა რაოდენობით), პედერასტ მაიორს 20 ხელქვეითთან ჰქონდა კავშირი. ახლა რამდენი ვადამოხდილი გაემგზავრა დასახიჩრებული ფსიქიკით სახლში! ამაზე მარჩიელობღა შეიძლება...

ჩელიაბინსკი

ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის უფროსი ვიტალი აფინოგენოვი დამნაშავედ სცნეს სექსუალური ხასიათის ძალადობრივი ქმედებების ჩადენაში. სიყვარულით სავსე მაიორი ჯარისკაცუნებს შინ იბარებდა — დაავადებული ზურგის მასაჟი გამიკეთეთო, ოღონდ ჩვეულებრივით როდი იფარგლებოდა: ეროტიკულზე გადადიოდა, ხელქვეითის შემდგომი გაუპატიურებით.

ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, დისციპლინურ სასჯელს გაირტყამდა უფროსისგან: ხშირი მორიგეობა, ძილის მოშლა, ღამის მეცადინეობები... ეს რომ შეიტყო, ერთმა ოფიცერმა გაუპატიურებული ჯარისკაცი ხელჩაკიდებული მიიყვანა სამხედრო პროკურატურაში. ბრალდებამ რვა მიიჩნია დაზარალებულად. აფინოგენოვს 6 წლით პირობითი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და სამხედრო წოდება ჩამოართვეს.



კრასნოდარი

სპეცდანის კაპიტანმა ვიტალი **სედიხმა გამორჩეულად გარყვნილი ფორმით დაარღვია ვაჟკაცური და მამაცი ოფიცრის სტერეოტიპი. განსასჯელთა სკამზე ის ერთბაშად სამი მუხლით მოხვდა: „თანამდებობრივ უფლებამოსილებათა გადამეტება“, „მამათმავლობა ძალადობის გამოყენებით“ და „სექსუალური ხასიათის მოქმედებების იძულება“.**

გარყვნილი უფროსის მსხვერპლი გახდა სამი „ვადიანი“ ჯარისკაცი. ხელქვეითთა სუსტი მხარეები პირადი საქმეების მიხედვით რომ შეისწავლა, კაპიტანმა იოლად აიძულა მებრძოლები, რომ მისი ყველაზე „სანუკვარი“ სურვილები შეესრულებინათ.

ძნელი მისახვედრი როდია, როგორი „სურვილების“ შესრულება მოუწევს იმასაც, საერთო რეჟიმის კოლონიაში, ექვსი წლის მანძილზე... მას მოგვითხრობს გაზეთი **„კომსომოლსკაია პრავდა“.**

ენდეთ ვუკას, გაგხდით ვულკანს!..

რითი **იყო აქამდე ცნობილი აფრიკული ქვეყანა ზიმბაბვე? უწინარესად, სახელგანთქმული ვიქტორიას ჩანჩქერით, ულამაზესად რომ ითვლება დედამიწაზე და სამყაროს საოცრებადაც. დღეისთვის კი ისიც ბოლო წლების მთავარი ზიმბაბვური სენსაციის, პრეპარატ ვუკა ვუკას ჩრდილში მოქცეულა. წარსულში — საუკუნეთა საიდუმლოებით დაფარულმა ლეგენდამ, ამჟამად კი — მსოფლიოსთვის გამხელილმა მამაკაცური პრობლემების გადაჭრის უეფექტიანესმა საშუალებამ, ვუკა ვუკამ ამოატრილა ამგვარი პრეპარატის შესახებ ყველა წარმოდგენა.**

ძველი რეცეპტების საფუძველზე იშვიათი სამხრეთაფრიკული მცენარეებისგან შექმნილი წამალი აღადგენს, ამაღლებს და ამაგრებს პოტენციას, სტიმულს აძლევს სექსუალურ ლტოლვას. ვუკას მიღება შეიძლება როგორც უშუალოდ კონტაქტის წინ, ისე კურსის სახით — სექსუალური ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და პროფილაქტიკისთვის. მაღალი ეფექტიანობა, უსაფრთხოება და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელმისაწვდომობა პრეპარატს უკონკურენციოს ხდის.

ვუკა ვუკა მსოფლიოს უდიდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ტელე, რადიო და საგაზეთო რეპორტაჟების „გმირად“ იქცა და დედამიწა დაიპყრო. იმის ისტორიულ სამშობლოში, ზიმბაბვის რესპუბლიკის ქალაქ ბულავაიოში ტურისტული ტური ყველგან პოპულარობით სარგებლობს.

პრეპარატის ყიდვა დღეს რუსეთის მრავალ აფთიაქში შეიძლება. ნამდვილ ზიმბაბვურ ვუკას იქ აწარმოებს კომპანია „ბიოკორპ ფარმასიუტიკალსი“ — იმპორტირებული ლიცენზირებული ნედლეულისგან, რუსეთელ მეცნიერთა მონაწილეობით და კონტროლით.

ბუნების მარგებელ ძალთა, ძველი მედიცინის საიდუმლოებათა და უახლოეს მეცნიერულ მიღწევათა განუმეორებელი ნაერთი ამ პრეპარატს შეუცვლელს ხდის თანამედროვე მამაკაცისთვის. ვუკა ვუკათი საკუთარი ძალების რწმენას შეიძენთ და შეძლებთ სიცოცხლით სრულფასოვნად ტკბობას.

ვრცელ ინფორმაციას პრეპარატის შესახებ ნახავთ ინტერნეტ-საიტზე: **www.vukavuka.ru**

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ

ქრონოგრაფი

20 ოქტომბერი, (1763 წ.)



ხსენების **დღე ღირსი იოსებ ხუცესისა, მოხევე საკვირველთმოქმედისა. მის შესახებ ძალიან მწირი ცნობები მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ ის, რომ ღირსი იოსები მოხევე იყო და იქვე მოღვაწეობდა. ამ კუთხის ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოებრივი შემართებით, იქაური ეკლესია-მონასტრები გვაოცებენ თავიანთი სილამაზითა და მიუწვდომლობით.**

მყინვარზე, ყინულებში, კაცთაგან მიუვალ ადგილას გამოკვეთილი ყოფილა გამოქვაბული, რომელსაც ბეთლემს უწოდებდნენ. გამოქვაბულში შესვლა მხოლოდ ზემოდან დაშვებული ჯაჭვის საშულებით შეიძლებოდა. გამოქვაბულში ყოფილა უამრავი სიმდიდრე და საკვირველება. მეფე გიორგი XII-ის უფროსი ძის დავით ბატონიშვილის ცნობით, სწორედ ღვთის შეწევნით შეძლებია ღირს იოსებ ხუცესს ბეთლემის გამოქვაბულში შესვლა, სადაც მან იხილა აკვანი და კარავი აბრაამ მამამთავრისა და მიართვა მეფე ერეკლეს კარვის ნაჭერი. იოსებ ხუცესი 1763 წელს გარდაცვლილა.

21 ოქტომბერი, 1056 წელი

ნოვგოროდის **მთავრის ნაცვალ ოსტრომირის დავალებით დიაკვანმა გრიგორიმ დაიწყო და ერთ წელიწადში დაასრულა სახარება, რომელიც „ოსტრომირის სახარების“ სახელწოდებითაა ცნობილი.**

1720 წელს რუსეთის იმპერატორ პეტრე I ბრძანებით წიგნი პეტერბურგში ჩაიტანეს. 1805 წელს სახარება, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, შემთხვევით აღმოაჩინეს დედოფალ ეკატერინე II კარადში და ერთი წლის შემდეგ რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკას გადასცეს, სადაც იგი დღევანდლამდე ინახება.

22 ოქტომბერი, 1883 წელი

ნიუ-იორკში **შარლ გუნოს ოპერა „ფაუსტით“ გაიხსნა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი თეატრი მეტროპოლიტენ-ოპერა. პირველ წლებში ოპერაში უპირატესობას ანიჭებდნენ ვაგნერის რეპერტუარს.**

გერმანულ დასს ხელმძღვანელობდა დირიჟორი ლეოპოლდ დამროში. ოცდახუთი წლის შემდეგ, როდესაც სამხატვრო ხელმძღვანელად აირჩიეს არტურო ტოსკანინი, ოპერაში პირველად დაიდგა ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“. ამის შემდეგ ოპერაში დამკვიდრდა ტრადიცია იმისა, რომ ყველა წარმოდგენა ორიგინალის ენაზე დადგმულიყო, მოეწვიათ მთავარი რეჟისორები და სხვადასხვა ოპერების დასები.

23 ოქტომბერი, 1814 წელი

ლონდონში **ექიმმა ჟოზეფ კარპიუმ პირველად გააკეთა პლასტიკური ოპერაცია. მან პაციენტს შუბლის კანის ქსოვილიდან აღუდგინა ცხვირი.**

მართალია, თანამედროვე პლასტიკური ქირურგიის ფუძემდებლად ითვლება იტალიელი ქირურგი გასპარ ტალიაკოცი (1546-1599), რომელმაც დაზიანებული ცხვირი პაციენტს ხელის კანით შეუცვალა, მაგრამ ეს იმ დროს დიდ მკრეხელობად და ბუნების წინააღმდეგობად მიაჩნიათ. 1814 წლიდან პლასტიკურმა ოპერაციებმა ნამდვილი პროგრესი განიცადა მედიცინაში.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ოცდახუთთითა

10 წლის დევენდერ ჰარნი ინდოელი მოსწავლეა, ჩვეულებრივიცა და არაჩვეულებრივიც: ყოველ დილით იღვიძებს, კბილებს იხეხავს, საუზმობს და სკოლაში მიდის, სადაც ყურადღებით იწერს ყველაფერს, რასაც გაკვეთილებზე უამბობენ; მეორეს მხრივ კი, მთელი 25 თითის პატრონია: ექვს-ექვსი ხელებზე, ექვსი — ერთ ფეხზე და შვიდი — მეორე ფეხზე.

მსგავს შემთხვევებში ადამიანებს დამატებითი ორგანოები ატროფირებული აქვთ, დევენდერთან კი ზედმეტი თითები ოთხივე კიდურზე ისევე „მუშაობენ“, როგორც დანარჩენები.

— მშვენივრად ეწყობა თანატოლებს და აქამდე მის თითებთან დაკავშირებული არავითარი კონფლიქტი არ მომხდარა — ჰყვება იმ სკოლის ინსპექტორი, რომელშიც ბიჭი სწავლობს.

ამასობაში ბავშვის მშობლებმა თავიანთი პირმშოს სახელის განთქმა გადაწყვიტეს — თხოვნა შეიტანეს გინესის რეკორდთა წიგნში მისი პათოლოგიის დასაფიქსირებლად.

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

პარიზის ცნობილ „ელიტურ“ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე 155 წლის წინათ ონორე დე ბალზაკი დაკრძალეს. საფლავთან წარმოთქმულ შთაგონებულ სიტყვაში ვიქტორ ჰიუგომ აღნიშნა: „ყველა მისი წიგნი შეადგენს ერთ წიგნს, ბრწყინვალეს, ცოცხალს, ღრმას, სადაც ცხოვრობს და მოძრაობს საშინელი, შემაძრწუნებელი და ამასთან ერთად რეალური ჩვენი თანამედროვეობა“.

ბალზაკი საკუთარ თავს „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორს“ უწოდებდა. მედიცინის დოქტორობასაც ენათესავებოდა იმით, რომ დიდებულ დიაგნოსტად გამოჩნდა თავის გრანდიოზულ, უჭკნობსახელწოდებიან ქმნილებაში „ადამიანური კომედია“. დღეღამეში



12-14 საათი მუშაობით მწერალი შეუპოვრად ახორციელებდა ფანტასტიკურ ჩანაფიქრს: 96 ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწარმოებით, 2 ათასზე მეტი პერსონაჟით, სინამდვილის უფართოესი მოცვით — ასეთია დიდი შემოქმედის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

დასანანია, რომ დღეს ამ მემკვიდრეობაზე მცირე მოთხოვნილებაა. მართლაც რომ დასანანია: ერთნახევარსაუკუნოვან ბალზაკის ეპოპეაში თუ ჩავიხედავთ, ჩვენი თანამედროვე რეალობის შესახებ ბევრი საინტერესო რამის ამოკითხვა შეიძლება.

მე „ხედავ“ მიყურებდა

FLFVBFYBC FEHF RBLTD CFV LQT LF QFVTC WJW[KJ,C VBCB CBRDLBKBC ITVLTU

ექსპერიმენტი **თითოეულ ობიექტზე სამი დღე-ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა 20 მეტრის სიგრძისა და 4 მეტრის სიგანის გაუნათებელ სარდაფში, თუ განათებად არ ჩავთვლით აპარატურის სიახლოვეს არსებულ მქრქალ წითელ ნათურას. სარდაფი გასაღებით იკეტებოდა, ოპერატორების გარდა, ობიექტების ხილვის საშუალება არავის ჰქონდა. ყოველი ობიექტი ერთნაირად იყო განლაგებული — სარდაფის შორეულ კუთხეში, თავით დასავლეთისკენ, ფეხებით აღმოსავლეთისკენ...“**

ბევრს დღესაც საეჭვოდ ეჩვენება ადამიანის გარემომცველი აურის არსებობა. არადა, თითქმის საუკუნენახევრის წინ იქნა გამოგონებული აპარატურა, რომელიც აურას ხილულს ხდის! სახელგანთქმული ნიკოლა ტესლა თავისი საჯარო ლექციების დროს შემდეგ ექსპერიმენტს აჩვენებდა. დარბაზში სინათლეს აქრობდნენ, მეცნიერი დგებოდა სპეციალურ პლატფორმაზე, რომელიც გარკვეული სიხშირის ცვლადი ელექტრომაგნიტური ველის გენერირებას ახდენდა, და გაოგნებული მაყურებლები ტესლას ირგვლივ ცისფერი ალის მსგავს მანათობელ შარავანდედს ხედავდნენ.



აღმოჩნდა, რომ მსგავსი შარავანდედი ყველა ადამიანს აქვს და რომ მისი ფოტოგრაფირებაც კი შეიძლება. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ნათება იცვლება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის და აგრეთვე მისი ემოციური მდგომარეობის მიხედვით... ზოგი ადამიანის შარავანდელი მძლავრია, სხვების ენერგეტიკული პარკი სუსტი და „დაგლეჯილია“. გამოხდა ასზე მეტი წელი და პეტერბურგელი ფიზიკოსი კონსტანტინე კოროტკოვი დაინტერესდა იმით, თუ როგორ იცვლება ადამიანის აურა მისი სიკვდილის შემდეგ.

კომენტარი

სტანისლავ ზენინი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი:

— მე ვიცი კოროტკოვისეული გამოკვლევების შესახებ. მე უკვე ათი წელია წყლის ფიზიკურ და ბიოლოგიურ თვისებებს ვიკვლევ და შემიძლია დავადასტურო ამ მეცნიერების წყალზე ველის ზემოქმედებასთან დაკავშირებული მოსაზრებები და შედეგები. ამასთან ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ წყალზე ზემოქმედების მოსახდენად ზოგიერთი ადამიანისრომლებიც კბილანებივით ერთი მეორის მიყოლებით ტრიალებს. თუ ეს ასეა და ვაკუუმს მართლაც ასეთი „უჯრედულ-მოდებული“ სტრუქტურა გააჩნია, ასეთ შემთხვევაში შეიძლება, რომ მასში ინფორმაცია ინახებოდეს! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება სივრცეში „აღიბეჭდოს“ ადამიანის ელექტრომაგნიტური ფანტომი. შეგიძლიათ ამას სული უწოდოთ... ამასთან შეიძლება ეს „ანაბეჭდი“ დიდხანს შენარჩუნდეს. თუმცა ეს მხოლოდ ჰიპოთეზაა.

„ხედვა“ ხანგრძლივ დროს არ უნდოდა ჯანყდებოდა

საქმე ის არის, რომ უსულო საგნების ნათება ელექტრომაგნიტურ ველში მკვეთრად განსხვავდება სულიერი ობიექტების ნათებისგან. მაგალითად, აგურის შარავანდელი დროთა განმავლობაში არ იცვლება. სულიერი ობიექტი კი გამუდმებით გამოსცემს შარავანდედის სიკაშკაშის, სიდიდისა და სიმკვრივის რყევებს.

მორგის სარდაფში ახლგარდაცვლილ ადამიანებზე ექსპერიმენტებს რომ იწყებდნენ, კოროტკოვი და მისი გუნდი ვარაუდობდნენ, რომ გარდაცვლილი ადამიანის აურა სხვა უსულო საგნებისთვის დამახასიათებელი აურების შესატყვისი იქნებოდა! მაგრამ ნურას უკაცრავად! აღმოჩნდა, რომ სიკვდილის შემდეგ პირველი ორი-სამი დღე-ღამის განმავლობაში მიცვალებულის აურა ოდნავადაც არ განსხვავდება ცოცხალი ადამიანის აურისგან.

იხ. მე-16 გვ.

იაპონური "შევარდენი" კარტოფილზე ლაზლაზა

მთავრდება იაპონური აეროკოსმოსური სააგენტოს „ჯაქსას“ ორწლიანი ექსპერიმენტი. ის შეეხება კოსმოსური აპარატით, „ხაიაბუსით“ (იაპონურად „შევარდენს“ ნიშნავს) ერთი ასტეროიდის ზედაპირის გამოკვლევას, რომელიც 336,5 მილიონ კილომეტრში იმყოფება დედამიწიდან.

იაპონელებმა ამ ციურ სხეულს, 300 მეტრი სიგანისა და 700 მეტრი სიგრძის კარტოფილის მსგავსს, პოეტური სახელი იტოკავა მიაკუთვნეს — იმათი კოსმოსური პროგრამის დამფუძნებლის, ხიძეო იტოკავას პატივსაცემად.

„ხაიაბუსის“ გამომკვლევი ზონდი ამ მცირე პლანეტის ზედაპირზე უნდა დაჯდეს, გრუნტის ნიმუშები აიღოს და დედამიწაზე ჩამოიტანოს. ექსპერიმენტმა შორეულ კოსმოსში მიმდინარე პროცესების ნივთიერი მტკიცებების პირველად მოპოვება უნდა შეგვაძლებინოს.

თვით ზონდი 2003 წლის სექტემბერში გაუშვეს. ორი წლის განმავლობაში 500-კილოგრამიანი აპარატი იტოკავას შესახვედრად მიფრინავდა. ამას წინათ, როგორც იქნა, გაჩერდა და დაკიდებულმა ნაანგარიშევი 20 კილომეტრის სიმაღლეზე ასტეროიდის ზედაპირიდან, დასაჯდომად დაიწყო მზადება.

ეს დაჯდომა დაგეგმილია ნოემბერში — ზონდი 10 მეტრის სიმაღლეზე უნდა მიუახლოვდეს ზედაპირს და დამოუკიდებლად ამოირჩიოს იტოკავასთან შეხების ადგილი. ასტეროიდზე რამდენიმე-საათიანი ყოფნის შემდეგ „ხაიაბუსა“ უკან, დედამიწისკენ გაემგზავრება. ყველაფერი თუ კარგად აეწყო, 2007 წლის ივნისში, წყნარი ოკეანის აკვატორიაში კაფსული დაეცემა — მეცნიერების ისტორიაში პირველი ასტეროიდული ნაწილაკებით.



◎ ყველაფერი ყველაფერზე

შევარცხვინე იმასთან გამანადგურებელი!

ამერიკელ სწავლულთა ჯგუფმა მექსიკაში ძველი გიგანტური მფრინავი ხვლიკების, პტეროზავრების გაქვავებული ნაკვალევები აღმოაჩინა.

ექსპერტთა აზრით, ისინი ბინადრობდნენ დაახლოებით 65 მილიონი წლის წინათ. გიგანტების ფრთათა განაშალი რატომ 18 მეტრს არ აღემატებოდა! ეს თითქმის შეესაბამება ამერიკული გამანადგურებლის, F-14 Tomcat-ის ფრთების სიგრძეს. ამჟამინდელ ფრინველთაგან ყველაზე დიდს, მოხეტიალე ალბატროსს ფრთათა განაშალი სამნახევარი მეტრი აქვს.

სიგამხდრემ ჭირი მოგვჭამა

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პროდუქცია, რომლის რეკლამასაც გამხდარი ქალები ეწევიან, ნაკლებად იყიდება, ვიდრე ღაჟღაჟა და ხორცსავსე ქალის მიერ რეკლამირებული ნივთები. გამოკვლევა შხაპის ჟელეს მიმართ ქალების რეაქციაზე ჩატარდა.

ერთ რეკლამას დადგენილი სამოდელო ზომების (90-60-90) მქონე ქალბატონი აკეთებდა, მეორეს — ჩვეულებრივი ქალი. რეაქცია პოზიტიური იყო სწორედ მეორე შემთხვევაში, რეკლამის მაყურებელი ქალები აღარ ნერვიულობენ საკუთარი წონის გამო, მათ განწყობა უუმჯობესდებათ და ამ პოზიტიურ ფონზე მოცემული ნივთის ყიდვის სურვილი ჩნდება. ქალების ასეთი რეაქცია შეამჩნიეს და გაითვალისწინეს ისეთმა მსხვილმა კომპანიებმა, როგორიცაა „ნაიკი“ და „დავი“. მათ გამხდარი ქალის იმიჯზე უარი თქვეს და ამჟამად გარეგნულად მიმზიდველი, მაგრამ საშუალო, ან ოდნავ მეტი წონის მქონე ქალბატონების იმიჯს იყენებენ.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

(მეთხუთმეტე გვერდიდან)

ის მხოლოდ შემდეგ იხრება მკვეთრად „ფონური“ მნიშვნელობებისკენ. უცნაურია: გარდაცვლილის სხეული მკვდარია, აურა კი — ცოცხალი! ნუთუ ეს შესაძლებელია?

და ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის! აღმოჩნდა, რომ აურის საქციელი დამოკიდებულია სიკვდილის ხასიათზე. თუ ადამიანი ნაადრევად, მოულოდნელი სიკვდილით კვდებოდა (თვითმკვლელობა, თრომბის მოწყვეტა და სხვ.), მისი „ელექტრომაგნიტური სულ“ „ჯანყდებოდა“ და ორი დღე-ღამის განმავლობაში „ბობოქრობდა“, თითქოს უკვე მკვდარი სხეულის დატოვება არ უნდოდა, და გრაფიკებზე ისახებოდა ძლიერი პიკები და ვარდნები. ხოლო

თუ ადამიანი სიბერის გამო კვდებოდა, მისი ელექტრომაგნიტური ფანტომი ადვილად ემშვიდობებოდა სხეულს და ასეთ გაშმაგებულ აქტიურობას არ ავლენდა.

გარდა ამისა, მეცნიერებმა მკაჯერე, მაგრამ გადავწყვიტე, შემემოწმებინა. შუაღამე იქნებოდა, როცა შევედი სარდაფში, სადაც მიცვალებული იმყოფება, კარი დავხურე, გავჩერდი და საკუთარ შეგრძნებებს მივაყურადე. ვერაფიოდ გამოხატული სადღეღამისო რყევებიც აღმოაჩინეს. მათი პიკი დაახლოებით შუაღამეზე მოდიოდა. მაშინ აურა „სკალის მწვერვალს“ აღწევდა, მიცვალებულის სიახლოვეს მყოფ ექსპერიმენტატორებს კი ძალზე უჩვეულო შეგრძენებები უჩნდებოდათ.

— მე ამას „ყოფნას“ დავარქმევდი, — იხსენებს კოროტკოვი. — თავიდან მის შესახებ ჩემმა თანამშრომლებმა მიამბეს, მე არ დავუფერიც ვერ ვიგრძენი. ვე-რა-ფერი! მაშინ მშვიდად გავემართე ცხედრისკენ და აი აქ რომელიღაც წერტილში, დაახლოებით 3-5 მეტრში იმ მაგიდიდან, რომელზეც ცხედარი ესვენა, რაღაც ვიგრძენი... ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ვიღაც დაჟინებული მზერით ზურგს მიბურღავდა. კიდევ ერთი მეტრით წავიწიე და შეგრძნება გაქრა. მაშინ მთელი სარდაფი „დავასკანერე“ და დავრწმუნდი, რომ არსებობს ერთადერთი წერტილი, სადაც „ყოფნა“ ყველაზე ძლიერად იგრძნობა. ეს წერტილი ცხედრიდან 5 მეტრში იმყოფება. თითქოს ელექტრომაგნიტური ფანტომი მიცვალებულს მოსწყდა და ახლა ამ ადგილზე იმყოფება.

ყველა საჭირო აზომვა ჩავატარე და კარისკენ წავედი. ამჯერად მთელი 20 მეტრის სავალზე ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვიღაც მიყურებდა. ამასთან ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს ვიღაც მსაყვედურობდა, მე მაქვს აქ ყოფნის უფლება, შენ კი არაო...

ლოცვა სიტყვების უბრალო ნაკრები როლია

მეცნიერების ენაზე ეს ნიშნავს, რომ ახალგარდაცვლილი ადამიანის ირგვლივ არსებობს რაღაც ფიზიკური ველი, რომელსაც გარკვეულ ადგილებშია ამობურცულობები აქვს. რელიგიის ენაზე კი ეს ნიშნავს, რომ ადამიანის „საფშვინველი“ მთელ სამყაროში თანაბრად კი არ განზავდება, არამედ სივრცეშია ლოკალიზებული და პირველი სამი დღე-ღამე სხეულის სიახლოვეს იმყოფება...

— არ შეიძლება სხვანაირად ახსნათ თქვენი ცდების შედეგები? თორემ ფიზიკის ნაცვლად რაღაც რელიგია გამოდის...

— თითოეულმა ისე ახსნას, როგორც უნდა. ჩემი საქმე ფაქტების წარმოდგენაა. მე ხისტ მატერიალისტურ პარადიგმაზე არ ვდგავარ, მე ვაჩვენებ, რომ მკვდარი ფიზიკური სხეულის გარდა არსებობს კიდევ რაღაც ცოცხალი.

— ეკლესია როგორღა ეკიდება თქვენს გამოკვლევებს?

— **კარგად. მე ეს ვიცი, იმიტომ რომ ჩვენ რეგულარულად ვხვდებით მღვდლებს.**

— იქნებ ლოცვაც სასარგებლოა, ბატონო ფიზიკოსო?

— მე ვიკვლევდი საერთოდ ცნობიერების და კერძოდ ლოცვების ზემოქმედების მატერიალურ სტრუქტურებზე. ეს უბრალოდ კეთდება. იღებთ ჩვეულებრივ წყალს — ორ სინჯარას, რომელთაგან ერთ-ერთი საკონტროლო ნიმუშია. ორივეზე იზომება აურა. ნათება აბსოლუტურად ერთნაირია, იმიტომ რომ წყალი ერთი ბოთლიდანაა. ამის შემდეგ ადამიანი იწყებს ერთ-ერთ სინჯარაზე ლოცვას. შემდეგ კეთდება განმეორებითი აზომვები. საკონტროლო სინჯარაში ყველაფერი ძველებურადაა, იმის გარშემო კი, რომელზეც მიმართული იყო ცნობიერების მიმართული ზემოქმედება ნათების ხასიათი მკვეთრად იცვლება.

მნიშვნელოვანია, რომ ისევე, როგორც ნებისმიერ ობიექტს, აურასაც გააჩნია გარკვეული თვისებები და მატერიალური გამოვლინებები და მაშასადამე, მისი შესწავლა შესაძლებელია.

მე „ხეჯ-ი“ მიყურებდა

FLFVBFYBC FEHF RBLTD CFV LQT LF QFVTC WJW[KJ,C VBCB CBRDLBKBC ITVLTU

სხვათა შორის

ორი საუკუნის წინ პარიზელი ექიმი ჟერარ ენკოსი ჰიპნოზის საშუალებით სწავლობდა ფანტომებს (ასე ერქვა ამას მაშინ). ჰიპნოტიზირებული ადამიანი ღებულობდა განკარგულებას გამოჰყოფოდა საკუთარ ფანტომს. ფანტომი დამოუკიდებლად სიარულს იწყებდა. ამის შესახებ ჟერარ ენკოსს ჰიპნოტიზებული ეუბნებოდა, რომელიც მშვენივრად ხედავდა საკუთარ ფანტომს და ყველა მის მოძრაობას (თავად ექსპერიმენტატორი, ცხადია, ფანტომს ვერ ხედავდა).

შემონახულია ენკოსის სამუშაო ჩანაწერები:

„ცდის მონაწილის შემდგომ ჰიპნოზურ მდგომარეობებში ორეული სულ უფრო მეტი ხნით გამოეყოფა, სცილდება მას და ბოლოს მისი თვალთახედვიდან სულ იკარგება, გამოსაცდელი ადამიანი კი ძალიან გაცივდა. მე ის სასწრაფოდ გამოვაღვიძე. ის ძალიან იტანჯება... მეორე დღეს მან მიამბო, რომ ეჩვენება, თითქოს მისი პიროვნებისთვის უცხო ვიღაც სეანსის დროს მის სხეულში შეიპარა. ორ დღეში მას ყველა ამ შეგრძნებამ გაუარა“.

◎ ფაქტები

ლიტერატურული იტალიური ენა ტოსკანის დიალექტზე ფლორენციელმა პოეტმა დანტე ალიგიერმა შექმნა.

პირველი იტალიური ოპერა დაიწერა ფლორენციაში 1600 წელს. მისი ავტორია იაკოლო პერი.

სიენასა და ფლორენციას საძირკველი იულიუს ცეზარმა ჩაუყარა ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში.

ევროპის ყველაზე ძველი ბანკი სიენაში უკვე 533 წლიდან მუშაობს.

სანტა-მარია დელ ფიორეს (დუომი) ტაძარი 90 ათას კაცს იტევს. ამდენი მცხოვრები იყო ფლორენციაში მისი მშენებლობის დაწყებისას 1296 წელს.

ცნობილი იტალიური ტორტი „ტირამისუ“ XVII საუკუნეში დაამზადეს.

პირველი ჰიდროელექტროსადგური ამერიკის შეერთებულ შტატებში 1882 წელს ამოქმედდა. მისი ენერგია 250 ელექტრონათურას ყოფნიდა.

პირველი ქარის დანადგარი დანიაში 1891 წელს გამოჩნდა.

პირველი მზის ელექტროსადგური ეგვიპტეში ფრენკ შუმანმა ააგო 1912 წელს.

ბევრი ახალზელანდიელი აღნიშნავს ორ შობას: „ზაფხულის“ — 25 დეკემბერს და „ზამთრის“ — 23 ივლისს.

პრინცესა და მათხოვარი

იაპონიის იმპერატორის ასული უბრალო ადამიანი გახდება უბრალოვე მოსამსახურის გულისთვის. 36 წლის პრინცესა საიაკოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება: ტოკიოს მუნიციპალიტეტის 40 წლის მოსამსახურეს იოშიკი კუროდას მიჰყვება ცოლად მრავალწლიანი მეგობრობის შემდეგ. ქორწილი 15 ნოემბერსაა დანიშნული.

ცისფერი სისხლის არმქონე კაცთან ქორწინება იაპონიის საიმპერატორო სახლის წარმომადგენლისთვის ოჯახიდან განდევნას ნიშნავდა. ეს — ადრე, თორემ ახლა დრომ თავისი კორექტივები შეიტანა: პრინცესას მშობელთა შეჩვენება არ ემუქრება, პირიქით, ოჯახიდან გასვლისთვის ერთნახევარ მილიონამდე დოლარის კომპენსაცია ელის.

პრინცესა საიაკო იმპერატორ აკიხიტოს ნაბოლარა შვილია ორი ვაჟის შემდეგ. 1992 წელს ქალიშვილმა გაკუსუინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი დაამთავრა, სადაც მასთან ერთად მომავალი საქმროც სწავლობდა, უმცროსი ძმის, აკისინოს საუკეთესო მეგობარი. კურსდამთავრებული სამუშაოდ ორნიტოლოგიის ინსტიტუტში მოეწყო, სადაც დღემდე წერს სამეცნიერო ტრაქტატებს ფრინველთა ყოფაქცევაზე. იმპერატორის ასულს ძალიან უყვარს ბუნება, კონცერტებზე დასწრება და მსტისლავროსტროპოვიჩის მოსმენა.

ნიშნობის ცერემონია წლეულს, მარტში შედგა იაპონური ტრადიციების შესაბამისად — სასიძოს დაუწრებლად, მაგრამ მისგან საჩუქრების გამოგზავნით: ორი ცინცხალი კაპარჭინა, სამი ბოთლი ბრინგის არაყი და აბრეშუმის ქსოვილის ორი ნაჭერი. ქორწილი კი ტოკიოს ცენტრში, ფეშენებელურ სასტუმროში გაიმართება — „Imperial“. ცერემონიას წინ წარემძღვარება ასევე ტრადიციული რიტუალები: მაგალითად, მომავალი ცოლი ვალდებულია თაყვანი სცეს წინაპართა ფერფლს საიმპერატორო სახლის საძვალეში და ქორწინების დალოცვა სთხოვოს.

პირველი, ვინც იაპონიის ისტორიაში მონარქიულ სტატუსზე თქვა უარი ოჯახური ბედნიერების სანაცვლოდ, გახლდათ იმპერატორ ხიროხიტოს ქალიშვილი ტაკაკო, 1960 წელს გათხოვილი. მეორედ ამ ნაბიჯის გადადგმა გაბედა პრინც მიკასის მეორე ქალიშვილმა მასაკომ, 1983 წელს. პრინცესა საიაკოს მაგალითი მესამეა...

ეს უბრალო ასპირინი

ბრიტანელმა და ამერიკელმა მედიკოსებმა, სხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად, ოცწლიანი დაკვირვების შედეგად აღმოაჩინეს, რომ ასპირინის რეგულარული მიღება სიმსივნის წარმოქმნის რისკს ამცირებს.

სპეციალისტები გვაფრთხილებენ, რომ ასპირინის მიღების დოზა მკაცრად ინდივიდუალურია და ექიმის მიერ მხოლოდ ადამიანის გულდასმით გამოკვლევის შემდეგ დგინდება. მუშაობა ასპირინის მოქმედების დაზუსტებისთვის ჯერ ისევ გრძელდება. შეგახსენებთ, რომ უკვე დიდი ხანია დამტკიცდა ასპირინის კეთილისმყოფელი გავლენა გულსისხლძარღვთა სისტემაზე. პირველად ეს კარდიფის უნივერსიტეტში დაამტკიცეს. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასპირინი ძალიან საშიშია ბავშვებისთვის. ამასთან, გვაფრთხილებენ, რომ მეტად მავნებელია რეგულარული მიღების უცბად შეწყვეტა, რამაც შეიძლება იშემიური ინსულტი გამოიწვიოს.

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა წელიწადში ორ ტონა ასპირინს მოიხმარს.

მცირელიტრაჟულები „სერიოზული“ ავტომობილებივით ძლიერნი გახდებიან

კომპანია Volkswagen-მა ახალი სამანქანო ძრავის Twincharger FSI-ის შექმნის თაობაზე გამოაცხადა, რომელშიც პირველად მსოფლიოში შეთავსებული იქნება ერთბაშად სამი ცნობილი ტექნოლოგია: ბენზინის უშუალო შეშხაპუნება, ტურბოდაბერვა და მექანიკური გამხურებელი.

დამმუშავებელთა მტკიცებით, ჰაერის დაბერვის ორ ტიპთან პირდაპირი შეშხაპუნების ერთდროულმა შეხამებამ შესაძლებელი გახადა პატარა მოტორის შექმნა, მაღალი უკუგებითა და საწვავის ეკონომიით.

ახლა Volkswagen-ის მცირელიტრაჟულები არამცთუ თავიანთ წინამორბედებზე ორჯერ ეკონომიური იქნებიან, არამედ ისეთივე მძლავრები, როგორც „დიდი“ ავტომანქანები. მოელიან, რომ უკვე გაისის დასაწყისიდანვე ახალი ძრავა კომპანიის ყველა ავტომობილზე დაიდგმება.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ ბედი და ადამიანები

ფენომენალური ვიდეოვნება

იუველირი

შესაძლოა, საქმის კეთილად დამთავრებას ერთდროულად რამდენიმე ვითარებამ შეუწყო ხელი. ჯერ-ერთი, თავად ანდროპოვის მტკიცე პოზიციამ და პარტგამომძიებლების საკადრო საქმის ბოლომდე მიყვანის უუნარობამ. მეორეც, 1930-იანი წლების ბოლოს, როდესაც კლასობრივი ბრძოლა იმდენად გამწვავდა, რომ ნომენკლატურული ვაკანსიების შესავსებად აღარავინ ჰყავდათ, სუკ-ში უკვე ისეთი ადამიანების აყვანაც დაიწყეს, რომლებსაც უბრალო ბიოგრაფია არ ჰქონდათ. გარდა ამისა, 1939 წლის 10 თებერვალს დაწერილი ანდროპოვის ბიოგრაფია უზადო იყო: არაფერში მიუღია მონაწილეობა, არაფრის წევრი არ ყოფილა, არანაირი სასჯელი არ ჰქონია.

სინამდვილეში რა იყო? ანდროპოვის დედის სახელი და გვარი იყო ევგენია კარლის ასული ფლეკენშტეინი. კარელიის პარტიულ არქივში შემონახულია მისი ფოტოსურათი სახელისა და მამის სახელის აღნიშვნით. იგი მოსკოვში ცხოვრობდა. ეს დანამდვილებით არის ცნობილი. მივმართავთ ღია წყაროს — წელიწდეულს „ქ. მოსკოვის მცხოვრებთა საერთო ანბანი“. ამ წელიწდეულიდან ვგებულობთ: სატახტო ქალაქში ბოლშაია ლუბიანკაზე, № 26 სახლში (ბინის ტელეფონი 215-30), XIX საუკუნის დამლევიდან ცხოვრობდა მისი მამა კარლ ფრანცის ძე ფლეკენშტეინი, დაბადებული ფინეთში, საათებით და საიუველირო ნაკეთობებით მოვაჭრე. 1915 წლის ჩათვლით ეს ტრაფარეტული ცნობები ერთი წელიწდეულიდან მეორეში გადადიოდა, მანამ, ვიდრე არ გარდაიცვალა ანდროპოვის პაპა, რომელსაც „პატრიოტული რბევა“ არ განუცდია. საინტერესო დეტალი: ერთ-ერთი ჩეკისტური თქმულების თანახმად, ლუბიანკაზე მძლეთამძლე უწყების შეფს კოლეგების ერთ ნაწილში მეტსახელად იუველირს ეძახდნენ. თუმცა, თანამშრომლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მაღაზიის მეპატრონე ანდროპოვის მამა იყო.

ცნობები პაპის შესახებ არის აგრეთვე ყოველწლიურად გამომავალ საცნობარო წიგნში „იმ პირთა შესახებ, რომელთაც ქ. მოსკოვში ვაჭრებისა და მეწარმეების მოწმობები ჰქონდათ მიღებული“. ამ ცნობარიდან კერძოდ, ნათელი ხდება, რომ იგი არ ყოფილა არც პირველი და არც მეორე გილდიის ვაჭარი. კარლ ფრანცის ძეს მხოლოდ საიუველირო ნაწარმითა და საათებით ვაჭრობის ლიცენზია ჰქონდა.

როგორც ჩვენ შევიტყვეთ, ანდროპოვმა ბოლოს და ბოლოს შეძლო დაემტკიცებინა მაკონტროლებლებისთვის, რომ მეფის რეჟიმის დროს ბებიამისს, ევდოკია მიხეილის ასულს ძვირფასეულობით ვაჭრობასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. მეტი დამაჯერებლობისთვის მან მოსკოვის საბჭოში აღებული ცნობითაც დაიზღვია თავი. ამ ცნობის თანახმად, ფლეკენშტეინის ცოლს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული არ ჰქონია. მოგვიანებით, პარტიული დაკითხვების დროს, ამ დოკუმენტით მისი შვილიშვილიც სარგებლობდა. თუმცა სხვა წყაროები ჯიუტად მეტყველებს იმაზე, რომ ქმრის სიკვდილის შემდეგ ევდოკია მიხეილის ასული სათავეში ჩაუდგა საოჯახო ბიზნესს და თებერვლის რევოლუციამდე უძღვებოდა მას. იმ პირთა ცნობარებში, რომლებსაც 1915 წლამდე ჰქონდათ მიღებული ქალაქ მოსკოვში ვაჭართა და მრეწველთა მოწმობები, სწორედ ის ირიცხება. დაბადებული ფინეთში, მცხოვრები ბოლშაია ლუბიანკაზე № 26 სახლში, რომელიც მასვე ეკუთვნოდა. როგორც ჩანს, მორიგი დარბევის შემდეგ (1917 წ.) გადაწყვიტა ბიზნესზე სამუდამოდ აეღო ხელი და „პროლეტარული ბიოგრაფიის“ შენებას შესდგომოდა. რსფსრ-ს 1918 წლის კონსტიტუციაში მკაფიოდ იყო განსაზღვრული საარჩევნო უფლების მქონე და არმქონე მოქალაქეთა კატეგორიები. გამომდინარე იქიდან, რომ ანდროპოვის ბებია წარმოების შემოსავლითა და უძრავი ქონებიდან შემოსული შენატანებით ცხოვრობდა, იგი კლასიკური უფლებაჩამორთმეული უნდა გამხდარიყო შესაბამისი მგლის ბილეთით (ცხადია, ანალოგიური ბედი ემუქრებოდა ქალიშვილსა და შვილიშვილს). ეტყობა, ამიტომ გადაწყდა ბოლშაია ლუბიანკაზე მდებარე მრავალსართულიანი სახლიდან ალექსანდრეს მოედანზე 9/1 სახლში გადასულიყვნენ (ახლანდელი ბრძოლის მოედანი). ამასთან ბებიამ შეძლო ახალ ბინაში ბინის ტელეფონის ძველი ნომერი გადაეტანა: 215-30. ამის შემდეგ დოკუმენტები იყო მოსაგვარებელი. მერე კი სხვის კარზე მიგდებული დედისა და მისი ოსეთში ცხოვრების ლეგენდის შექმნა იყო საჭირო. ჩიტი ბდღვნად ღირდა: ამ გარჯით იური ანდროპოვმა უზრუნველყო მომავალში თავისი თავბრუდამხვევი აღმასვლა კარიერის კიბეზე.

ოპერატიული ფსევდონიმი

ანდროპოვი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ყველა თვალსაზრისით ლეგენდარულ პიროვნებად რჩებოდა. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მან თავის მკურნალ ექიმს ევგენი ჩაზოვს საშინელი საიდუმლო გაუმხილა: „ახლახან ჩემი ხალხი როსტოვში ერთ ადამიანზე გავიდა, რომელიც ჩრდილო კავკასიაში ჩავიდა, მოიარა ის ადგილები, სადაც მე დავიბადე და სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ და მათ შესახებ ცნობებს აგროვებდა. დედაჩემი, ობოლი ჩვილი, მდიდარმა ებრაელმა აიყვანა. ამის გამოყენებაც კი უნდოდათ, თითქოს მე ჩემს ნამდვილ წარმომავლობას ვმალავდე“.

ინფორმაცია ანდროპოვის დედის შესახებ „ქ. მოსკოვის მცხოვრებთა მისამართების ანბანურ ცნობარში“ პირველად 1913 წელს გამოჩნდა, როდესაც ევგენია კარლის ასულმა მოსკოვის მინსბახის ქალთა გიმნაზიაში მასწავლებლობა დაიწყო. ანალოგიური ჩანაწერები წელიწდეულში 1914 წელსაც არის და 1915 წელსაც. სდექ! მაშ როგორღა მოევლინა იური ანდროპოვი ქვეყანას იმპერიის მიყრუებულ განაპირას 1914 წელს, მაშინ როდესაც დედამისი მოსკოველ გიმნაზისტ გოგონებს ასწავლიდა? ცხადია, რომ ვერანაირად ვერ მოევლინებოდა. ელემენტარული ლოგიკის თანახმად, მომავალი გენმდივანი მოსკოვში დაიბადა. ამ სენსაციურ დასკვნას ანდროპოვის შვილიშვილის (პირველი ქორწინებიდან) ანდრეის მონაყოლიც განამტკიცებს. მისი თქმით, ბებია-პაპის მდიდარმა მაგიერებმა (აქ ლეგენდა ურყევია) ევგენი კარლის ასულს „შეესაფერისი მეუღლე“ გამოუძებნეს. სხვათა შორის, მოვლენათა უცნაური თანხვედრის გამო არქივებში არ შემონახულა 1914 წლის სააღრიცხვო ჩანაწერები მოსკოვში დიდი ლუბიანკის რაიონში დაბადებული ჩვილების შესახებ.

ფაქტები ულმობელია: პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მომავალი გენმდივნის დედა ოსეთში უბრალოდ ვერ აღმოჩნდებოდა და ვერც რკინიგზელ ვლადიმერ ანდროპოვს გაჰყვებოდა იქ ცოლად, რომელიც, როგორც იური ვლადიმერის ძე იხსენებდა, უღვთოდ სვამდა. ასე მხოლოდ საძულველ განსვენებულ მამინაცვალზე შეიძლება ითქვას, და არა მკვიდრ მამაზე.

შეგახსენებთ, რომ 1932 წლის განცხადებაში მომავალი გენმდივანი დაწერს, რომ მამა მაშინ მოუკვდა, როცა თვითონ ორი წლისა შესრულდა. ანუ 1916 წელს, და მაშინ ყველაფერი ემთხვევა. სავარაუდოდ, ანდროპოვის მკვიდრმა მამამ ან ოჯახი მიატოვა, ანდა ის უბრალოდ სატახტო ქალაქში გარდაიცვალა. ან შეიძლება სულაც ფრონტზე, თუ ის ამბავი, რომ მეფის არმიაში მსახურობდა, ჭეშმარიტებას შეეფერება. მომავალი გენმდივანი კი დედასთან ერთად მთელი ეს ხანი, ალბათ 1917 წლის თებერვლამდე, მოსკოვში ცხოვრობდა. მერე, ეტყობა, მდიდარი მზითვის წყალობით დედა იმპერიის განაპირა მხარეს გადასახლდა და მეორედ გათხოვდა. რამაც შემდგომში შესაძლებლობა მისცა თავისი ბიოგრაფია და მასთან ერთად შვილის დაბადების ადგილი და გვარიც გაესწორებინა .

მას შემდეგ, რაც 1919 წელს ვლადიმერ ანდროპოვი პარტახტიანი ტიფით გარდაიცვალა, ევგენია კარლის ასული მესამედ გათხოვდა, ორთქლმავლის მემანქანე ფედოროვს გაჰყვა. როდესაც 1931 წელს ანდროპოვმა შვიდწლედი დაამთავრა, მისი ოფიციალური გვარი და სახელი იყო გრიგორი ვლადიმერის ძე ანდროპოვ-ფედეროვი. რომელ ეტაპზე გადაიქცა გრიგორი იურად და როდის ჩამოსცილდა წინასართი ფედოროვი, ზუსტად არ არის ცნობილი. მაგრამ თუ გამჟღავნებული საარქივო მასალებით ვიმსჯელებთ, ვლადიმერის ძეც, ანდროპოვიც, ფედოროვიც და იურიც კი — ყველაფერი ეს, თუ გნებავთ, ოპერატიული ფსევდონიმებია.

დენის ბაბიჩენკო,
ჟურნალი „იტოგი“
№ 40, 2005 წ. ოქტომბერი
(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 238.

◎ მშობელო, ყურად იხვენ!

მავნეა თუ არა ბავშვებისთვის კომპიუტერთან ჯდომა?

ორ წლამდე ასაკის ბავშვები არავითარ შემთხვევაში კომპიუტერს ახლოს არ უნდა მიეკარონ, — გვაფრთხილებენ ბავშვთა ექიმების ამერიკული აკადემიის თანამშრომლები. მაგრამ არც ცოტა უფროსი ასაკის ბავშვებისათვის კომპიუტერთან თავისუფალი დროს გატარებაა სასარგებლო. ეს ცვლის ბავშვის აზროვნებასა და აღქმას.

გამოკვლევები ცხადყოფენ: პოპულარული კომპიუტერული თამაშები, რომლებშიც ეკშნები ჭარბობენ, ხელს უწყობენ მეტყველების უნარის დაკარგვას. ტვინი უბრალოდ ვერ ასწრებს იმის გადამუშავებას, რასაც ბავშვი მოკლე შუალედურ დროში ხედავს, და ამას შემდეგ ძნელად აღიქვამს. სურათების ხშირი ცვლა იმის მიზეზია, რომ პატარა კომპიუტერმოყვარულთათვის რეალური ცხოვრება თითქოს ნელდება: ისინი გაკვეთილებზე მოწყენილი სხედან. მეორე საფრთხე — ეს არის მეტისმეტი „ჩაყვინთვა“ ვირტუალურ სამყაროში — გამონაგონისა და რეალობის გარკვევის უნარის დაკარგვა. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ამან ფსიქიკური მოშლილობა გამოიწვიოს.

რა ასაკიდან უნდა უყურის ბავშვმა ტელევიზორს

ფსიქოლოგთა და პედაგოგთა აზრები ერთმანეთს ემთხვევა: არ შეიძლება ბავშვმა ორი წლის ასაკამდე ტელევიზორს უყუროს!

ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარი ამტკიცებს, რომ კადრების სწრაფი ცვლა ეკრანზე უარყოფითად მოქმედებს ტვინის განვითარებაზე, რომელიც სწორედ ამ პერიოდში სწავლობს ნიმუშების შექმნას. თუ საქმე ეხება უფრო მეტი ასაკის ბავშვებს, მაშინ უნდა აღინიშნოს, ესეც ტელევიზორის ყოველდღე ყურება ზრდის იმის რისკს, რომ მომავალში ბავშვს სულ უფრო გაუძნელდება ყურადღების მოკრება. ტელევიზორი ერთობ საშიში რამ არის: იგი ბავშვებს ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ შერჩევით წარმართონ თავიანთი აღქმა და მეხსიერება. სპეციალისტები ასევე აღნიშნავენ ამ ბოლო დროს შემჩნეულ მოვლენას — მეტყველების მოშლილობის ზრდას ბავშვებში, რაც იმის ბრალია, რომ ნორჩი მაყურებლები ეკრანის წინ უფრო ხანგრძლივად ატარებენ დროს, ვიდრე ეს დასაშვებია.

როდის უფრო უკეთესია, ბავშვმა უცხო ენის შესწავლა დაიწყოს?

თოთო ბავშვებს შეუძლიათ სამყაროს ყველა ენის ბგერების შეცნობა. მაგრამ ეს საოცარი უნარი გაქრობას იწყებს სიცოცხლის მეცხრე თვეში. მთავარია, რომ ბავშვთან საუბრობდნენ ენის მცოდნენი: მხოლოდ ისინი სრულყოფილად ფლობენ სიტყვების მეღოდიებსა და ნიუანსებს.

ბავშვებს, რომლებიც ოთხ წლამდე მუდმივად ორენოვან გარემოში იმყოფებიან, უნარი შესწევთ გაერკვნენ არა მხოლოდ ამ ორი ენის, არამედ მომავალში ნებისმიერი ენების თავისებურებებში და ააგონ ნეირონული ქსელები. გარდა ამისა, მეცნიერებმა დაამტკიცეს: ბავშვებს, რომლებიც ადრეულ ასაკში მეორე ენის შესწავლას იწყებენ, გონებრივი განვითარების კოეფიციენტი უფრ მაღალი აქვთ, ვიდრე თანატოლებს, რომლებიც მეორე ენას არ ეუფლებიან. ისინი ადვილად ითვისებენ ნიშანთა სისტემას, მაგალითად, დაპროგრამების ენებს. ამ მხრივ მოზრდილებს ეს უძნელდებათ: მათ, იმისათვის, რომ პირველი უცხო ენა შეისწავლონ, უნდა ააგონ ახალი ნეირონული ქსელი, ეს კი უზარმაზარ გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს.

სასარგებლოა თუ არა მუსიკის სწავლა?

მკვლევარები გვიჩვენებენ, რომ ბავშვები, რომლებიც მუსიკას სწავლობენ, მეტად გულისხმიერი არიან. მათ უფრო სწრაფად უვითარდებათ სივრცობრივ-მათემატიკური უნარი და მეხსიერება. ამის გარდა, ნაკლებ აგრესიული არიან და უკეთ ეგუებიან კოლექტივს.

ტვინის მდგომარეობაზე მუსიკის პოზიტიური გავლენა ეჭვს არ იწვევს. სპეციალისტთა აზრით, ყველაზე უკეთესია ბავშვი მუსიკის სწავლას შეუდგეს სკოლაში შესვლამდე ერთი წლით ადრე. სწავლებამ რომ ხილული შედეგი მოიტანოს, მუსიკის შესწავლის ხანგრძლივობა ოთხ წელზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთან ფორტეპიანო, ვიოლინო, ფლეიტა და გიტარა უფრო უკეთესია მუსიკის სწავლის დაწყებითი პერიოდისთვის, ვიდრე სასულე ინსტრუმენტები, როგორიცაა საყვირი ან საქსაფონი.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ ფეხბურთი

ზესტაფონური ჰანგები ბელგიაშიც აჟღერდება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ეროვნული ნაკრების თავკაცმა გაიოზ დარსაძემ ტრადიციას არ უღალატეს და საბერძნეთში „ჯვაროსანთა“ მიერ გადატანილი „ძლევამოსილი“ ბრძოლის შემდეგ ჭაბუკ თანამემამულეებს ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე შეუერთდნენ. ამჯერად ისინი 17-წლამდელთა გუნდის მთავარ მწვრთნელს ლევან მელიქიას დაუდგებიან გვერდში. შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელებმა ამას წინათ ესტონეთში გამართულ ანალოგიურ რაუნდში აღნიშნულ დუეტს თანადგომა I ადგილის მოპოვებით დაუფასეს.

გთავაზობთ ჩვენებურთა შეხვედრების კალენდარს:

19 ოქტომბერი. საქართველო — ბელგია.

21 ოქტომბერი. საქართველო — ავსტრია.

23 ოქტომბერი. საქართველო — ბულგარეთი.

ამ კვარტეტიდან კონტინენტის ჩემპიონატის მორიგ წრეში, რომელიც გაისად გაზაფხულზე მოეწყობა, ორი საუკეთესო ნაკრები ითამაშებს.

ვინაიდან ასაკის გამო ქართველ ყმაწვილთა გვარები გულშემატკივარს ბევრს არაფერს ეუბნება, გუნდის შემადგენლობის გაცნობისგან თავს ვიკავებთ, თუმცა ერთს მაინც მოგახსენებთ — ეროვნული, ახალგაზრდული და 19-წლამდელთა კრებულების მსგავსად, აქაც სოლიდური რაოდენობითაა წარმოდგენილი საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“. ვიმედოვნებთ, გავლენიან მფარველთა ნდობას ისინი საამაყო შედეგით უპასუხებენ.

რადგან „ზესტაფონი“ ვახსენეთ, ერთ მნიშვნელოვან საკადრო სიახლესაც გაუწყებთ — თავის ყოფილ კლუბთან, ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან ბოლნისის „სიონთან“ ამასწინანდელი მატჩის წაგების შემდეგ გუნდიდან წასულ თემურ მახარაძის ნაცვლად ფეროელებს ამიერიდან საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელი კობა ჟორჟიკაშვილი გაწვრთნის.

გია პლატონიშვილი

სურათზე: ახალკაცი ბელგიაშია, ჟორჟიკაშვილი — „ზესტაფონში“.

◎ ეროვნული ჩემპიონატი

გუშინ რაღა აბურთავებდათ?

სვეტიცხოვლობა ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ XVII ეროვნული ჩემპიონატის IX ტურის სასტარტო მატჩით „აღნიშნა“ — ბედუკულმართობის გამო „სოხუმისა“ და „ბათუმის“ შეხვედრას თბილისის „შევარდენის“ სტადიონმა უმასპინძლა. ზღვისპირელთა დერბის შედეგია 2:1 სოხუმელთა სასარგებლოდ.

დღეს 15 საათზე ითამაშებენ „თბილისი“ — „ლოკომოტივი“, „ზესტაფონი“ — „ტორპედო“, „კოლხეთი“ — „ამერი“, „ცხინვალი“ — „სპარტაკი“, „კახეთი“ — „დილა“ და „ვიტ ჯორჯია“ — „ბორჯომი“ (მცხეთაში), ხოლო ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო“ — „სიონი“ ხვალ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება.

◎ „პლეი-ოფი“

წილი ნაყარია

გაირკვა „მუნდიალ-2006“-ის საკვალიფიკაციო „პლეი-ოფის“ კენჭისყრის შედეგები — გუშინ მეტოქენი ასე დაწყვილდნენ

(ევროპის ზონა):

ესპანეთი — სლოვაკეთი,

შვეიცარია — თურქეთი

ნორვეგია — ჩეხეთი.

შეხვედრები 12 და 16 ნოემბერს გაიმართება. ორრაუნდიანი დუელის გამარჯვებულნი გაისად გერმანიის სტადიონზე უმაღლესი ფორუმის ფინალურ ტურნირში ითამაშებენ.

◎ სპორტულ ორბიტაზე

დაემხო ეუსებიოს რეკორდი

„პარი სენ-ჟერმენის“ თავდამსხმელი პედრო პაულეტა ამიერიდან პორტუგალიის ნაკრების რეკორდსმენია — მან ლეგენდარული თანამემამულის, წარმოშობით მოზამბიკელი „შავი პანტერის“ ეუსებიოს მიღწევა — 41 გოლი დააბრუნა.

ამხო და ეს შედეგი ერთი გატანილი ბურთით გააუმჯობესა.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტი გასულ ოთხშაბათს ლისაბონში მოხდა, სადაც მასპინძლებმა მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის დასკვნით შესარჩევ მატჩში ლატვიელებს 3:0 სძლიეს — იმ საღამოს სამხრეთელთა ბომბარდირმა „დუბლი“ პირველივე ტაიმში შეასრულა.

აწ უკვე ექსრეკორდსმენს შესვენებაზევე სურდა თავისი მემკვიდრისთვის წარმატების მილოცვა, მაგრამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფელიპე სკოლარიმ თვით მისთვისაც კი არ დაუშვა გამონაკლისი და შეხვედრის გმირი ტელეფონთან არ მიუშვა. „ჩვენ პირველი ტაიმის პერიპეტიებს განვიხილავდით და ამიტომ არ დავრთე მოთამაშეს გასახდელიდან გასვლის ნება, თუმცა ეუსებიოს განზრახვა პატივისცემას იმსახურებს“ — განმარტა თავისი საქციელი ბრაზილიელმა სპეციალისტმა.

„ეუსებიოს რეკორდის დამხობას ბევრი ლამის დანაშაულად მითვლის. მათ გასაგონად მხოლოდ იმის თქმა შეძიძლია, რომ ეუსებიო ყოველთვის ეუსებიოდ დარჩება და მას ვერავინ ვერასოდეს დაჩრდილავს“ — ეს უკვე თავმდაბალი პაულეტას სიტყვები გახლავთ.

დავძენთ, რომ ოფიციალურ შეხვედრებში გატანილი გოლების მხრივ საუკეთესო შედეგი კვლავ ეუსებიოს აქვს — 26. „პარი სენ-ჟერმენის“ წარმომადგენელმა ამ რანგის მატჩებში „მხოლოდ“ 17-ჯერ დაამწუხრა მეტოქეთა მეკარეები.

ლუჟკოვის პესიმიზმი

მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი დარწმუნებულია, რომ რუსეთის დედაქალაქს შანსი არ გააჩნია 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში და ამიტომ შესაბამის განაცხადსაც არ წარადგენენ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში.

გასათვალისწინებელია, რომ მოსკოვმა უკანასკნელი — მეხუთე ადგილი დაიკავა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მისაღებად გაჩაღებულ საარჩევნო კამპანიაში, თუმცა საკუთარ პესიმიზმს ჩრდილოელმა „გოროდოვიომ“ უფრო აკადემიური ახსნა მოუძებნა: „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ანალოგიური არჩევნების დროს კონტინენტთა მონაცვლეობის პრინციპით ხელმძღვანელობს. ვინაიდან 2012 წელს პლანეტის სპორტული სამყარო ლონდონში შეიკრიბება, ამთავითვე ნათელია, რომ ოთხი წლის შემდეგ აზიის ან აფრიკის ჯერი დადგება“. მისივე თქმით, სავსებით შესაძლებელია დასახული მიზნის მისაღწევად 2020 წელს გარჯა.

ანცი ბიჭის წამალი

ნაირ-ნაირი გამოხდომებით ცნობილი ამერიკის საფეხბურთო ლიგის კლუბ „რეალ სოლთ-ლეიქის“ მოთამაშის — კლინტ მატისის უებარ წამალს მისივე მეგობარი — ფოტომოდელი რეიჩელ პერი წარმოადგენს.

„ერთადერთი პიროვნება, ვინც მე მიტანს და მაწყნარებს, ეს სექსუალური თანამემამულეა“, — ასეთი კომპლიმენტი უძღვნა რჩეულ ქალბატონს სიფიცხის განსახიერებამ.

◎ კარატე

სიტყვის ხალხი

ორი „ოქრო“, ორი „ვერცხლი“ და ამდენივე „ბრინჯაო“ — ასეთია ქართველ კარატისტთა გერმანული ნადავლი, სადაც სპეციალური მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. მისი მონაწილენი სეზონის რეიტინგის მიხედვით შეირჩა, რაც კიდევ უფრო მეტ წონას სძენს მოპოვებულ მედლებს.

განსაკუთრებულ ქებას, ბუნებრივია, ირაკლი ტყებუჩავა და ნოდარ ხუხაშვილი იმსახურებენ, ვინაც მრისხანე მეტოქეთა — უპირველესად მასპინძელთა და რუმინელთა წინააღმდეგობასთან ერთად მსაჯების წინაღობაც დაძლიეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

ასე რომ, კარატეს ეროვნული ფედერაციის მესვეურების — კახა ბასილიასა და ოთარ გრძელიშვილის მიერ აღნიშნულ ფორუმზე გამგზავრების წინ მოცემული დაპირება შესრულებულია. ვულოცავთ!

სურათზე: ქართული დელეგაციის ერთი ჯგუფი.

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

◎ ჭიდაობა

პრიზიორებს პრემიები გაუზარდეს

წლეულს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ბუდაპეშტში მსოფლიო ჩემპიონატზე სამივე სინჯის მედალი მოიპოვეს. გურჯაანელი რევაზ მინდორაშვილი (84 კგ.) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, სოხუმელი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ლუკა კურტანიძე (96), რომელმაც გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონობა დაიმსახურა, ამჯერად ვერცხლის მედალს დასჯერდა, გორელი ოთარ თუშიშვილი (60) მესამე ადგილზე გავიდა.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა, პარლამენტარმა კახა გეწაძემ უნგრეთის დედაქალაქში ნაჩვენებ შედეგს ისტორიული უწოდა, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პლანეტის უძლიერეს ფალავნებთან პაექრობაში ჩვენს მოჭიდავეებს ერთბაშად სამი მედალი მსოფლიო ჩემპიონატზე არასდროს მოუხვეჭიათ.

კმაყოფილებას ვერ მალავს „თავისუფლების“ მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე, თუმცა, მას მიაჩნია, რომ მედლების ხარისხი და რაოდენობაც, შესაძლოა, უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ, როგორც იტყვიან, ამაზეც გმადლობთ, უფალო.

თავიანთი შესაძლებლობები აშკარად ვერ გამოავლინეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ ბუდაპეშტში განცდილი მარცხის მთელი პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ჯენტლმენური საქციელია, რაც ჭიდაობის ფედერაციამ დაუფასა და ნაკრების მესაჭეობა გაუხანგრძლივა მომავალ შეჯიბრებამდე. წარუმატებლობის შემთხვევაში იგი თავად გადადგება. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გურამ საღარაძეს სჯერა, რომ ბეგი დარჩია სიძნელეებს გადალახავს და ჩვენს ფალავნებს კვლავაც აიყვანს კვარცხლბეკზე.

ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც: მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებებისთვის ფულადი პრემიები საგრძნობლად გაიზრდება. მსოფლიო ჩემპიონი 15 ათას დოლარს მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი — 10 ათას დოლარს, ხოლო მესამე პრიზიორს 7 ათასი დოლარი გადაეცემა. კონტინენტის პირველობაზე მიღწეული წარმატებებისთვის ათლეტები, შესაბამისად, 7, 5 და 3 ათასი დოლარით დაჯილდოვდებიან. არც მწვრთნელები დარჩებიან უკმაყოფილო: დამსახურებისამებრ, მათი ხელფასები 250-დან 1000 ლარამდე გაიზრდება.

ამგვარი ზრუნვის პასუხად, იმედია, შედეგები უფრო თვალსაჩინო გახდება.

ვაჟა დანელია

სურათზე: ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე (მარცხნივ) და ვიცე-პრეზიდენტი გურამ საღარაძე.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

უძღვება გურამ ვაშაკიძე

დაფაზე - უღმობელი სიმართლე

ჭადრაკი ვერ ეგუება თვალთმაქცობას და სიცრუეს. დაფაზე კომბინაციების სილამაზე მდგომარეობს იმაში, რომ იგი მუდამ სწორი და მართალია. ჭადრაკში გამოსახული ულმობელი სიმართლე თვალებს უწვავს ფარისეველს.

ემ. ლასკერი

იმ სამეფოს, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ვერ ცერთ პოლიტიკურ რუკაზე ვერ იპოვით. იგი საჭადრაკო დაფაზეა — 32 ჩვეულებრივი ფიგურა და 64-უჯრედიანი დაფა. აი, მთელი ჭადრაკის სამეფო.

ისტორია უამრავ დიდსა თუ მცირე სამთავროს, სამეფოს და იმპერიას იცნობს. იგი მოგვითხრობს იმაზეც, თუ როგორ იბადებოდნენ ისინი, როგორ დგებოდნენ ფეხზე, ძლიერდებოდნენ, ჰყვაოდნენ, აწარმოებდნენ დაუსრულებელ ომებს, იმარჯვებდნენ ან მარცხდებოდნენ და შემდეგ დავიწყებაში გადადიოდნენ.

ჭადრაკის სამეფო კი აგერ უკვე ათასხუთას წელზე მეტია, არსებობს და არც დასასრული უჩანს. ამ ხნის მანძილზე მისი ჯარისკაცები, უშიშარნი და გულადნი, სულ ომებში არიან, თავად სამეფო კი ჰყვავის და კეთილდღეობს, მდიდრდება და ძლიერდება.

გავისეირნოთ ამ მშვენიერ სამეფოში, ბევრ საინტერესოს ვნახავთ და შევიცნობთ, ჩავწვდებით ამ უძველესი თამაშის საიდუმლოებებს, ჭადრაკის ფიგურები კი ჯადოსნურ სამყაროში შეგვიყვანენ, სადაც მეფობს შემოქმედება და ფანტაზია, პატიოსნება და წესრიგი, სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა. და თუ მის მკვიდრთაც დავუმეგობრდებით, ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ცხოვრების ერთგული მეგობრები შევიძინეთ.

ჭადრაკის სამეფოში მეგზურობას გაგვიწევენ საჭადრაკო წიგნები, ჟურნალები, ბროშურები, ცნობარები, ენციკლოპედიები, რომელთა ავტორებსაც, ვსარგებლობთ შემთხვევით და, მადლობას ვწირავთ.

* * *

მაშ, რა არის ჭადრაკი?

უძველესი ინდური კულტურის ამ მონაპოვარს (როგორც თავად ინდოელები ამბობენ — უკიდეგანო ზღვა-ოკეანეს, „სადაც კოღოც დაირწყულებს და სპილოც იბანავებს“) დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ და კითხვა — რა არის ჭადრაკი — სრულებითაც არ ყღერს საკრალურად. ჭადრაკის მრავალფეროვანი ბუნება მისი რაობის განსაზღვრის ასევე მრავალსახოვან პასუხებს შეიცავს. ამიტომ, იტყვი თუ არა, ვთქვათ, ასე: ჭადრაკი არის თამაში 64-უჯრედიან დაფაზე თეთრი და შავი ფერის ფიგურებს შორის, ოპონენტები მაშინვე შენიშნავენ:

— კი, მაგრამ რატომ არ ამბობთ, რომ მასში შერწყმულია ხელოვნების ელემენტები?

— ჭადრაკი მეცნიერება და სპორტიც რომაა, ამას რა, უგულებელყოფთ?

— ნუ გავიწყდებათ, რომ იგი ხელს უწყობს აღზრდას, აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის განვითარებას, გამარჯვებისკენ სწრაფვას.

— მე თუ მკითხავთ, ჭადრაკი პიროვნების ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებების გამოვლენის ერთგვარი რენტგენის აპარატია.

ერთ ამბავს გიამბობთ: წინა საუკუნის 80-იან წლებში კანადელი ოსტატი ალეკს კუზნეცოვი არგენტინაში, ჭაბუკთა შორის ჭადრაკში პანამერიკულ ტურნირზე გამგზავრებას, სადაც თავისი ქვეყნის სახელით უნდა გამოსულიყო, უსახსრობის გამო ვერ ახერხებდა.

ახალგაზრდა ოსტატმა დახმარებისთვის სამთავრობო უწყებებს მიაკითხა. იგი ერთ-ერთმა ფედერალურმა მინისტრმა მიიღო, ორიოდ მსუბუქი პარტიაც ითამაშეს, მაგრამ დახმარებით, — ნურას უკაცრავად.

„იცით, რა, ალეკს, — თქვა მინისტრმა — არგენტინაში გასამგზავრებელი თანხები რომ გამოგიყოთ, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა არის ჭადრაკი — ხელოვნება, სპორტი თუ დროის ფუჭად ხარჯვა“.

„სერ, — მიუგო ოსტატმა, — გააჩნია იმას, ვინ თამაშობს. როდესაც თამაშობენ კასპაროვი ან კარპოვი, ეს ხელოვნებაა. როდესაც ვთამაშობ მე, — ეს სპორტია, როდესაც თამაშობთ თქვენ — დროის ფუჭად ხარჯვაა“.

მინისტრთან ახალგაზრდა ოსტატის აუდიენციაც დროის ფუჭად ხარჯვა აღმოჩნდა...

ერთ ჩემს მეგობარს გავიხსენებ, რობერტ ნიკურაძეს. გასული საუკუნის 60-80-იან წლების საქართველოში მას არავისთან წარდგენა არ სჭირდებოდა. მრავალმხრივი (უპირველესად, ორგანიზატორული) ნიჭით იყო მადლცხებული. თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების გენერალურ დირექტორს ჭადრაკი ძლიერ უყვარდა. ფანტაზიისა და ნიჭის წყალობით (არ სწყალობდა ე.წ. „თეორეტიკოსებს“, დებიუტებს რომ დაიზუთხავენ და შინ მომზადებული რეცეპტებით ფონს გადიან), საჭადრაკო დაფაზე სწრაფად იღებდა უპირატესობას, შემდეგ ლამაზ კომბინაციას მიაგნებდა, და ფარ-ხმალს აყრევინებდა მეტოქეს.

ერთხელ ასეთი კომბინატია ჩემთანაც განახორციელა — ჯერ კუ შემომწირა, შემდეგ — ორი პაიკი, ბოლოს — ეტლი და წაგებული პოზიცია მივიღე.

ისღა დამრჩენოდა, მეკითხა: რა არის ჭადრაკი-მეთქი.

— სილამაზეა, სხვა რა უნდა იყოს?!

— მაშ, ჭადრაკიც გადაარჩენს მსოფლიოს?

— მოჭადრაკეები ცოტა ხელს თუ გაანძრევენ, კი.

ხანდახან მგონია, რომ ჭადრაკის რაობის იმდენი განსაზღვრა არსებობს, რამდენიც მას დამფასებელი და ტრფიალი ჰყავს. მათი სახელები კი ლეგიონია.

ჭადრაკი სილამაზეაო, მე მაინც ჩემი მეგობრის გამონათქვამი მომწონს.

ამას წინათ ერთი საჭადრაკო პარტია მომხვდა ხელთ და (მერამდენედ!) დავრწმუნდი, რომ სილამაზე მართლაც ჭადრაკის თანმხლები შარავანდია.

მოდით, ერთად მივადევნოთ თვალი იმ პარტიაში განვითარებულ მოვლენებს.

* * *

1858 წლის გვიანი შემოდგომაა. 21 წლის გენიალური პაულ მორფი ესეს არის, ამერიკიდან ევროპაში ჩამოვიდა. იოლად ამარცხებს ლონდონისა და პარიზის ჭადრაკის ცნობილ ოსტატებს. სენსაცია გამოიწვია ერთდროული თამაშების სეანსებმა, რომელსაც უკეანისგაღმელი ოსტატი დაფაზე დაუხედავად თამაშობდა და თანაც დიდი წარმატებით.

ერთ საღამოს, პარიზის საჭადრაკო ელიტასთან შეხვედრის შემდეგ, მორფი „გრანდ-ოპერაში“ როსინის „სევილიელი დალაქის“ მოსასმენად წავიდა. ოპერის მხიარულმა სიუჟეტმა და მსახიობების ვოკალურმა ოსტატობამ ახალგაზრდა მორფი აღტაცებაში მოიყვანა. მაგრამ დახეთ მოულოდნელობას! მეზობელ ლოჟაში ჭადრაკის დიდად მოყვარული და თავისი დროის არცთუ ურიგო მოჭადრაკეები კარლ ბრაუნშვაიგი და გრაფი იზუარი ისხდნენ. განა შეიძლება პაულ მორფს ხედავდე და ამ დროს სცენაზე გათამაშებულ ამბებს ადევნებდე თვალს?! არისტოკრატებმა ამერიკელს იქვე ჭადარკის პარტიის თამაში შესთავაზეს. გამოწვევა მიღებულ იქნა.

დღეს ძნელია თქმა, როგორ მღეროდნენ ან ხელოვნების როგორი ნიმუში იძერწებოდა სცენაზე, მაგრამ იმ საღამოს „გრანდ-ოპერის“ ერთ-ერთ ლოჟაში როსინის მუსიკის თანხლებით, რომ საჭადრაკო ხელოვნების შედევრი შეიქმნა, ამაში თქვენც დარწმუნდებით.

ფილიდორის დაცვა
მორფი — კონსულტანტები
პარიზი, 1858

1. e2-e4 e7-e5 2. მg1-f3 d7-d6 3. d2-d4 კc8-g4 4. d4:e5 კg4:f3 5. ლd1:f3 d6:e5 6. კf1-c4 მg8-f6 7. ლf3-b3

თეთრებმა მიზანში ამოიღეს f7 პაიკი, იმავდროულად b7 უჯრასაც ემუქრებიან. ახლა შავებმა თუ ითამაშეს 7. ... ლd7, დაიკარგება ეტლი, რადგან 8. ლb7 და არ შეიძლება 8. ... ლc6 მომაკვდინებელი 9. კb5 გამო. შავები იძულებული ხებიან, გზა გადაუკეტონ საკუთარ კუს.

7. ... ლd8-e7 8. მb1-c3

რა თქმა უნდა, მორფს შეეძლო b7 პაიკის მოგება, მაგრამ 8. ლb4 შემდეგ ლაზიერები გაიცვლებოდა. არადა, ამერიკელი მოწინააღმდეგის მეფეზე პირდაპირი შეტევისთვის ემზადება.

8. ... c7-c6 9. კc1-g5

თეთრების ყოველი სვლა ფიგურების განვითარების პრინციპს ეფუძნება და ბრძოლის გადამწყვეტ უბანზე მათ უკვე მიაღწიეს უპირატესობას. ახლა საცაა არტილერიაც გამოჩნდება.

9. ... h5

— წინ და უკან სირბილის დრო არ მაქვს! — აღშფოთებულია კუ და დახმარებისთვის მხედარს უხმობს: — აბა, ერთი შენებურად ჭკუა ასწავლე ამ მეტიჩარა პაიკს!

10. მc3:h5! c6:h5 11. კc4:h5+ მh8-d7 12. 0-0-0

და აი, მძიმე ტექნიკა ტემპით შემოდის ბრძოლის ველზე.

12. ... ეa8-d8 13. ეd1:d7

მიაქციეთ ყურადღება: მეტოქის მხედრის ლიკვიდაციისთვის, რომელიც ამ პოზიციაში მეფის ერთ-ერთ დამცველად გვევლინება, თეთრებმა ეტლიც კი არ დაიშურეს და სანაცვლოდ რეზერვი — მეორე ეტლი შემოჰყავთ თამაშში, მაშინ, როცა შავებს, თავიანთი შებოჭილი მდგომარეობის გამო დამხმარე ძალების მოზიდვის საშუალება არ გააჩნიათ.

13. ... ეd8:d7 14. ეh1-d1 ლe7-e6

ვინც ამ დიაგრამას დახედავს, დაიჯერებს განა, რომ თეთრებმა მეტოქე სულ მალე ეტლით ... უჯრაზე უნდა დააშამათონ? რა თქმა უნდა, არა.

15. კb5:d7+ მf6:d7

ამბობენ, რომ ამ დროს სცენაზე დონ ბაზილიო თავის ცნობილ არიას მღეროდა: „გასკდება, როგორც ყუმბარა...“ და გასკდა კიდეც!

16. ლb3-b8+! მd7:b8 17. ეd1-d8

გადავხედოთ ბრძოლის ველს: თეთრებს ორი ფიგურა დარჩათ, შავებს კი — ზედმეტი ლაზიერი და მხედარი.

დავითმა გოლიათი დაამარცხა!

კაისას ღიმილი უხდება

მცირე წინათქმა.

— კაისა, მოჭადრაკეთა მფრაველი ქალღმერთი და მუზა, გაცილებით ახალგაზრდაა, ვიდრე თავად ეს თამაში. დაახლოებით 1513 წელს იტალიელმა მარკო ანტონიო ვიდამ, რომელიც შემდგომში ქალაქ ალბის ეპისკოპოსი გახდა და რომის პაპების ლევ X და კლემენტი VII განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობდა, დაწერა პოემა „ჭადრაკის თამაში“. მასში მოთხრობილია ღმერთების — აპოლონისა და მერკურის საჭადრაკო ბრძოლის შესახებ. აპოლონი გაიმარჯვებს და გადაწყვეტს, ეს თამაში დედამიწელებსაც ასწავლოს. პირველ მოწაფედ იგი მშვენიერ ნიმფას შახისს აიყვანს...

მარკო ანტონიო ვიდას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. ერთ-ერთმა მათგანმა, ინგლისელმა უილიამ ჯონსმა, ჰაროუს ცნობილი კერძო სკოლის 16 წლის მოსწავლემ 1763 წელს დაწერა პოემა — „კაისა, ანუ ჭადრაკის თამაში“. პოემის მიხედვით ტყის ნიმფა, მშვენიერი კაისა ომის ღმერთს, მარსს, პირობას აძლევს, რომ უთანაგრძნობს მის სიყვარულს, თუ იგი რაიმე საზრიან და სახალისო თამაშს გამოიგონებს. მარსიც არ დაახანებს და აჰა, — ჭადრაკიც!

უილიამ ჯონსიდან მოყოლებული კაისა მოჭადრაკეთა მუზაა.

კაისას რომ ღიმილი უხდება, ამ პატარა მხიარული ისტორიებითაც დავრწმუნდებით.

◎ ღმერთებიც თამაშობდნენ

მწვერვალზე პირველი ბულგარელი ავიდა

30 წლის ბულგარელი დიდოსტატი ვესელინ ტოპალოვი ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ახალი ჩემპიონია. მან ტახტზე არგენტინის ქალაქ სან-ლუისში მიმდინარე ფორუმის ფინიშამდე ერთი ტურით ადრე ააბიჯა, როცა აწ უკვე ყოფილ გვირგვინოსანს, უზბეკ რუსტამ კასიმჯანოვს დაუზავდა. ასევე მშვიდობიანად დასრულდა XIII ტურის დანარჩენი სამი პარტიაც: ანანდი-მოროზევიჩი, პოლგარი-სვიდლერი და ადამსი-ლეკო.

დავძენთ, რომ „ბრძენთა თამაშის“ ბალკანელმა მიმდევარმა საწადელს დაუმარცხებლად მიაღწია — 6 მოგება და 7 ყაიმი — ასეთი გახლავთ მისი მართლაც რომ საამეფო შედეგი.

ფინიშამდე 1 ტურით ადრე სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება: ტოპალოვი — 9,5 ქულა,

ანანდი, სვიდლერი — 8-8 (ბოლო ტურში ისინი ერთმანეთს ხვდებიან), მოროზევიჩი — 6,5, ლეკო, კასიმჯანოვი — 5,5-5,5, ადამსი — 5, პოლგარი — 4 ქულა.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ სამართალს ჩვენთან ეძებენ

ან ქურდები იპოვონ, ან ფული დამიბრუნონ!

პატივცემულო რედაქცია!

უხერხულობის გრძნობა ეუფლება, როდესაც გარკვეულ პრობლემაზე პიროვნება მიმართავს პრესას და არა იმ ორგანიზაციას, ვისაც უშუალოდ ეხება მისი გადაწყვეტა და ამაში იღებს ხელფასს. მსგავს მდგომარეობაში აღმოვჩნდი მე. იძულებული ვარ მოგმართოთ თქვენ და გთხოვოთ დახმარება. ვიმედოვნებ, რომ თქვენი თანადგომით ვიპოვი სამართალს...

ვცხოვრობ თბილისში, (მუხიანის დასახლება, მე-4-ბ მიგრორაიონი, კორპუსი 29, ბინა 152). 2004 წლის 1 აპრილს გაიქურდა ჩემი ბინა, საიდანაც წაიღეს ოქროს სამკაულები, დაახლოებით 1.200 დოლარის ღირებულებისა. ამის შესახებ იმავე დღეს ვაცნობე შსს გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამმართველოს მუხიანის ქვეგანყოფილებას (უფროსი ი. მიქანაძე). ჩემთან ბინაზე მოვიდნენ გამომძიებლები, ჩაიწერეს მეზობლების ჩვენებები, ზერელედ დაათვალიერეს ბინა, წაიღეს ჩემი განცხადება და წავიდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც დავინტერესდი საქმის მსვლელობით და მივაკითხე პოლიციის ამ ქვეგანყოფილებას, ჩემი განცხადება რეგისტრაციაში არ გაეტარებინათ და ჩემი საქმე ჰაერში გამოეკიდათ (იმჟამად პოლიციის ქვეგანყოფილებაში ახალი უფროსი იყო დანიშნული — გ. ფერაძე). ჩემი საქმის თაობაზე მიმიღო ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილემ ბ. ქათამაძემ. მან ხელახლა დამაწერინა განცხადება, ჩემთან კვლავ მოვიდნენ გამომძიებლები (ამჯერად უკვე სხვები), პროცესი თავიდან გაიმეორეს და ყველაფერი ამით დამთავრდა. პოლიციის ქვეგანყოფილებაში ჩემი ყოველი მისვლის შემდეგ მხოლოდ გამომძიებლები იცვლებოდნენ, საქმე კი ადგილიდან არ იძვროდა. ყველაფერი ეს იმის მიუხედავად, რომ გამოძიებას (თუკი ამას გამოძიება ჰქვია) ვაცნობე ყოველგვარი წვრილმანი. ბევრი რამ მიუთითებდა, რომ ქურდობაში ისეთი პირი იყო გარეული, ვინც ჩემი ოჯახის წევრებს სახეზე იცნობდა.

ყოველივე ამის შემდეგ იძულებული გავხდი განცხადებით მივსულიყავი გლდანი-ნაძალადევის



რაიონის შს სამმართველოს უფროსთან დ. კეკუასთან, რომელმაც შესაბამისი რეზოლუციით ჩემი განცხადება (№-ბ/31, 12.11.2004 წ.) გადაუგზავნა მუხიანის ქვეგანყოფილებას. ამის შემდეგ თავისთან დამიბარა ქვეგანყოფილების უფროსმა გ. ფერაძემ და შემპირდა გამოძიების გულმოდგინედ ჩატარებას. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ძველებურად დარჩა.

ამჟამად მუხიანის ქვეგანყოფილებაში ჩატარებული კადრების როტაციის შემდეგ კვლავ შეიცვალა ხელმძღვანელობა. ჩემი განცხადების საფუძველზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის სამმართველომ გამოძიება ახალ გამომძიებელს — ნ. მეტრეველს დაავალა.

პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ გამოიჩინოთ გულისხმიერება, იქნებ ხმა მიაწვდინოთ პოლიციის შესაბამის ორგანოებს, რათა ჩემი საქმე ადგილიდან დაიძრას. მე იმედი უკვე დაკარგული მაქვს. მუხიანის ქვეგანყოფილების ახალ ხელმძღვანელობას მტკიცე ალიბი აქვს — ძველ საქმეებზე პასუხს არ აგებს. ამის გამო მოგმართავთ თქვენ. შსს-ს თანამშრომლებისაგან გავიგე, რომ მსგავს შემთხვევაში პოლიცია შესაბამის კომპენსაციას უხდის დაზარალებულებს (ამის შესახებ პირად საუბარში მითხრა ქვეგანყოფილების ყოფილმა უფროსმა გ. ფერაძემ). თუკი ჩემი დაკარგული ნივთების მოძიება არ მოხერხდა, იქნებ მოხერხდეს ჩემი ზარალის კომპენსაცია? ასე რომ, ჩემი უკანასკნელ იმედად თქვენ და თქვენი გაზეთი დარჩით. დამეხმარეთ!

ამირან ბეროძე

◎ ინფორმაცია

პროკურატურასაც ძარცვავენ

ამჯერად ბოროტმოქმედთა მსხვერპლად იქცა რუსეთის... გენერალური პროკურატურა. ახლახან (22 სექტემბერს), ამ უწყების საგამოძიებო სამმართველოს შენობიდან მოიპარეს 230 მეტრი სიგრძის ძალოვანი კაბელი, რომელიც იქ შეტანილი იყო ელექტროქვესადგურის გასამართად. ქურდებმა გენერალური პროკურატურა 230.000 რუბლით იზარალეს.

8 ათასი პატიმარი შეიწყალეს

თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურად ნიაზოვმა ამნისტია გამოაცხადა 8.000 პატიმრისთვის. ამნისტია მიეძღვნა ტრადიციულ „მიტევების ღამეს“, რომელიც 26-27 ღამეს მუსულმანთა წმინდა თვის — რამადანის დროს აღინიშნება. ციხეებიდან ისინი გამოვლენ, ვისაც ჩადენილი არა აქვთ მძიმე დანაშაული. პრეზიდენტმა ადგილობრივ ხელისუფლებას დაავალა ყველა ამნისტირებულის დასაქმება. ერთი ასეთი ამნისტია და, საქართველოს ციხეებიც დაცარიელდება და 8.000 კაცსაც პურის ფული გაუჩნდება.

ბავშვებს თავები მოაჭრეს

ტრაგედია დატრიალდა გვატემალაში. ბანდა „მარა სალვატრუჩას“ შეიარაღებული წევრები შეიჭრნენ ბავშვთა პენიტენციური ცენტრის ტერიტორიაზე და ამოხოცეს მეტოქე დანაშაულებრივი დაჯგუფების 14 წევრი. 2 მოზარდს თავი მოაჭრეს. გამოსასწორებელი ცენტრი არ ითვლება ციხედ, ამიტომ მის თანამშრომლებს იარაღი არა ჰქონდათ და თავდამსხმელებს ვერავითარი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს.

ქრთამი ისევ ანათებს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს ლაგოდეხის პოლიციის თანამშრომელი, ლეიტენანტი სოსო ჩახვაშვილი. მან პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ მოქალაქეს, პირობების დარღვევის სანაცვლოდ, გამოართვა 100 ლარი. თანხა ამოღებულია.

◎ SOS!

ახალი ბაზრობა ზემელზე

ყოველდღე ვტრაბახობთ, — გარე ვაჭრობა მოვსპეთო, ავლაგმეთო, ქუჩები გავახალვათეთო, ტროტუარები გავწმინდეთო... კი, ბატონო, ბევრგან მართლაც წესრიგი დამყარდა, მაგრამ ბევრგან ახალი ბაზრობაც გაჩნდა.

კვირაზე მეტია ზემელზე, შოთა რუსთაველის ძეგლის გვერდით, აზიური წარმოშობის ახალგაზრდებს, ოთახის ჩუსტების ბაზრობა გაუმართავთ. საქონელი ყრია ძირს, ასფალტზე. ხალხიც ეძალება, რადგან იაფია. თუ ლილოს ბაზრობაზე, ან „დინამოს“ სტადიონთან ამ ჩუსტებში 3-4 ლარს ითხოვენ, აქ 2 ლარადაც მოგართმევენ. ჰოდა, 1 ლარიც ხეირია.

ნუთუ რუსთაველის პროსპექტს არავინ აკონტროლებს? იქ რომ ჩვენი ლტოლვილები გამოჩნდნენ „ბარდანა“ ტომრებით, გაუშვებენ სავაჭროდ?

გარდა ამისა, საიდან მოვიდნენ ეს აზიელები? მათ უკვე აითვისეს ამერიკაც, რუსეთიც, ევროპის ქვეყნებიც. ახლა ჩვენც მოგვადგნენ?

ისე, ცნობისთვის: ბოლო 15 წლის მანძილზე მოსკოვში რუსების რაოდენობა შემცირდა 5 პროცენტით, ჩინელების რაოდენობა კი გაიზარდა 35-ჯერ! მათ არც კორეელები ჩამორჩებიან და არც ვიეტნამელები. არც ეს ჩავაგდოთ აინუნში?

ბადრი იაშვილი

◎ გამაგებინეთ!

რატომ ვწვავთ ამ დასაწვავ სიგარეტს?

თუ გახსოვთ, წინა ხელისუფლებამ კონტრაბანდის მუხლი საერთოდ ამოიღო სისხლის სამართლის კოდექსიდან. „ბაირამობდა“ ყველა, ვისაც კი მოეპრიანებოდა. ნახევარი ბიზნესმენობა ფულს ფარული საქონლით შოულობდა. ახალმა ხელისუფლებამ კი გზა ყველას გადაუკეტა. უფრო მეტიც, ეწ. სამხრეთ ოსეთთან ახალი ომი ლამის ამ კონტრაბანდის აღკვეთის საბაბით გაჩაღდა.

მიუხედავად რადიკალური ზომების მიღებისა, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ღონისძიებების გამკაცრებისა (თუნდაც, კონტრაბანდის გადამტანი საშუალების ჩამორთმევისა), მავანი და მავანი მაინც თავისას არ იშლის. გადატენილია ჩვენი ბაზრები და ბაზრობები ათასგვარი ფარულად შემოტანილი საქონლით, განსაკუთრებით კი — სიგარეტით. დასდევენ, იჭერენ, ართმევენ და... წვავენ...

11 ოქტომბერს, გორში, შუაგულ ქალაქში, ფინანსური პოლიციის სამხარეო ხელმძღვანელობის ზედამხედველობით, ცეცხლს მისცეს 250.000 კოლოფი სიგარეტი. როგორც ამ ხელმძღვანელობამ განაცხადა, ეს ის სიგარეტია, რაც საასამართლო განაჩენით ცნობილია კონტრაბანდად. ერთი ამდენი კიდევ გვაქვს, და როცა მასაც სასამართლო კონტრაბანდად სცნობს, აქვე დაუყოვნებლივ დავწვავთო.

გამაგებინეთ, რატომ, ხალხო, რატომ? რად ვანადგურებთ შრომითა და ოფლით შექმნილს? განა რა ეკონომიკურად უნდა გავნადგურდეთ, განა რა კრიზისში უნდა ჩავვარდეთ, რომ ეს 500.000 კოლოფი მუქთა სიგარეტი შევინარჩუნოთ და ისინი ჩვენს „გამერიკელებულ“ ჯარისკაცებს თუ არა, გაღარიბებულ პატიმრებს მაინც დავურიგოთ?

კონტრაბანდულ სიგარეტს არომეკენ არა მარტო გორში (ცხინვალიდან შემოდის), არამედ ზუგდიდშიც (აფხაზეთიდან შემოდის), თბილისშიც (წითელი ხიდიდან შემოდის)... მოკლედ, იმდენი ჩამორთმეული სიგარეტი დაგვიგროვდება, რომ ჩვენს პენიტენციურ სისტემას ბღუჯა-ბღუჯა თუ არა, ზოგვა-ზოგვით მაინც ეყოფა. ჰოდა, რა მილიონერები, რა ქონმოკიდებულები ჩვენა ვართ, რომ ეს მართლაც დასაწვავი სიგარეტი კოცონზე ვწვათ?

ჩემი აზრით, შექმნილი პროდუქციის დაწვა მაინც ბარბაროსობაა, თუნდაც კონტრაბანდული სიგარეტის პატიმრებისთვის მიწოდება კი — დიდი საქველმოქმედო, ჰუმანური აქციაა...

ისე, საინტერესოა, — კონტრაბანდულ შაქარს ან ფქვილს, რომელიც სიგარეტზე ნაკლები რაოდენობით არ შემოდის, ვანადგურებთ? რატომღაც ასეთი სატელევიზიო კადრები მე ჯერ არ მინახავს. და თუ შაქარსაც და ფქვილსაც ლიახვში, მტკვარში ან ენგურში ვყრით, მაშინ კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. რა ვიცი, ნახევარი საქართველო შიმშილობს და...

გონდო გულიაშვილი

◎ მოჩქარეს მოუგვიანდება

თავს ძალით ნუ იკლავთ!

წლეულს თბილისში 657 საგზაო შემთხვევა მოხდა, რომლის დროსაც დაშავდა 741 და დაიღუპა 59 ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც. ავტოავარიების რიცხვი შუქნიშნების გათიშვისა თუ ადამიანთა „დაუდევარი“ სიარულის გამო მნიშვნელოვნად იზრდება.

მას შემდეგ, რაც მავანნი ნაკლებად ცდილობენ შუქნიშნებისთვის ელექტროენერგიის მიწოდებას, უფრო აქტუალური ხდება გამოთქმა: — სულ მწვანეზე გევლოს, „შემხვედრი“ გაშოროს ღმერთმა! თუმცა, ზოგჯერ საზოგადოებასაც მიუძღვის ბრალი საავარიო სიტუაციების შექმნაში. გზების თვითნებურად გადაკვეთას, მიწისქვეშა თუ მიწისზედა გადასასვლელების მივიწყებას ხშირად მოჰყვება ხოლმე ტრაგედია. თუ ღმერთი არ გკლავს, დალოცვილო, თავს ძალით რატომ იკლავ? რამდენიმე წამით სახლში ადრე მისვლას სიცოცხლე უნდა ანაცვალო? შენი თავი თუ არ გეფიქრება, სხვას რაღატომ აუბედურებ!

13 ოქტომბერს, 10 საათსა და 30 წუთზე დიღმის გზატკეცილზე გახლდით. ვაშლიჯვრის შესახვევთან შუქნიშანი საერთოდ ცუდად მუშაობს, რაც ხშირად ქმნის საეჭვო სიტუაციას... უცბად, საშინელი ხმა გაისმა. შავი ფერის „ბმვ“-მ მოხუც ქალს დაარტყა და 7-8 მეტრზე ისროლა.

კიდევ კარგი, მძღოლი არ გაიქცა, წაქცეული მანქანაში ჩაისვა და საავადმყოფოში წაიყვანა. იქ შეკრებილ ხალხთაგან ყველა ამბობდა, რომ თუ ფეხით მოსიარულემ თავად არ იფრთხილა, ეს ჩამქრალი შუქნიშნები კიდევ ბევრს „აუნთებენ წითელსო!“

მომავალში „წითელის ანთებისგან“ ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ, ჩვენ თავადაც ხომ უნდა ვიყოთ ფრთხილად? რას უყურებ შუქნიშანს, გაახილე თვალი და ისე გადადგი ნაბიჯი. თბილისში ხომ ზღვა ტრანსპორტია და მოძრაობაც რთულია!

ზურაბ მოდებაძე

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ მოდა

როგორ გვმოსავს შემოდგომა?

მაღალი მოდის ჩვენებებზე ამ სეზონისთვის რამდენიმე ძირითადი ტენდენციაა გამოიკვეთა, კერძოდ, მოკლე ტყავის ქურთუკი, რომელიც ავიატორების ქურთუკს მოგაგონებთ და წლევანდელ შემოდგომაზე განსაკუთრებით აქტუალურია — დამოკლდა მისი სიგრძე, ფორმა კი, ხაზს უსვამს მხრების სიგანესა და ტანის სილუეტს. ძველმოდურად ითვლება ფერადი ტყავის ქურთუკები. დიზაინერები მიიჩნევენ, რომ შემოდგომის ეს ჰიტი მუქი მასალისგან უნდა იყოს შექმნილი (შავი, ნაცრისფერი, ყავისფერი).

შოტლანდიური ქვედაბოლო — მსოფლიოს პოდიუმებზე შოტლანდიურმა და გერმანულმა მიმართულებებმა განსაკუთრებით იჩინეს თავი. ქვედაბოლოები კუბოკრული შეფერილობით ძალიან მოდურია, თუმცა, ველვეტის, ხავერდის და ჯინსის ქსოვილისგან შეკერილი ქვედაბოლოებიც მოდის უკანასკნელ გამოძახილად ითვლება.

ვიწრო შარვლები — შემოდგომა-2005-2006 მოდაში აბრუნებს ახალგაზრდა მადონას ეპოქას, როცა იგი ვიწრო შარვლებში იღებდა სურათებს და საზოგადოებას უსაზღვროდ ხიბლავდა. ასეთი სწორი ფორმის შარვლები აქტუალურია, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ქალებისთვისაც.

მბრწყინავი ქამრები — მოდური ქამარი საშუალო სიგანისაა, მას პატარა მბრწყინავი ბალთა და ჩაცმულობის ტონალობისგან განსხვავებული ფერი უნდა ამშვენებდეს. თუ მიუ-მიუსა და პრადას დავუჯერებთ, ასეთი ქამრების მოხდენა ჟაკეტის ზემოდანაც შეიძლება, თუმცა, არც კოქტეილის კაბებზე იქნება ურიგო.

მაღალქუსლიანი ჩექმა — მოდურია ბოტფორდები, განსაკუთრებით კი, მაღალი ქუსლი, რომელსაც მრგვალი ცხვირი ამშვენებს. ამჯერად, უხეში ტყავისგან შეკერილი ჩექმები არის აქტუალური.

გრძელსახელურიანი ჩანთა — საქმიანი ქალებისთვის კვლავ უპრიანია დიდი ზომის ტყავის ჩანთები, რომლებსაც შარშანდელისგან განსხვავებით გრძელი სახელური ამშვენებს. ქურთუკების მსგავსად ხელჩანთებიც მუქი ფერის უნდა იყოს, ასე გვკარნახობენ მოდის წამყვანი დიზაინერები.

გრძელი ხელთათმანები — ამ სეზონისთვის ხელთათმანი განსაკუთრებული მოდურობით გამოირჩევა, მისი სიგრძე მაქსიმალურია, ეს რეტრო მოდელი, რომელიც შემოდგომის მთავარ აქსესუარად ითვლება, უსახელო კაბებთანაც შეგიძლიათ გამოიყენოთ.

კეპები — მოდურია ველვეტის, ტვიდის, ტყავის კეპები. მათი მოხმარება შეიძლება ჯინსთან, კლასიკურ კოსტიუმთან და ნებისმიერ ფსევდოინგლისურ ანსამბლთან ერთადაც. კეპიანი თანამედროვე ქალი ოდრი ჰეპბერნის 60-იანი წლების გმირებს უნდა მოგვაგონებდეს.

ლელა დონაძე.

◎ ინფორმაცია

სხვაგვარი პროვოკაცია ვერ მოიგონეს?

მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის „მომავლის სახლის“ დირექტორს ცირა ლანჩავას შეხვედრა სურს განათლების მინისტრ ალექსანდრე ლომაიასთან, რომელმაც იგი სამსახურიდან გაანთავისუფლა.

„მე პრეტენზია არ მაქვს თანამდებობაზე. თუმცა უნდა დადგინდეს პროვოკაციის რეალური მიზეზი, რადგან ეს მიზანმიმართულად კეთდება“, — აღნიშნა მან.

არსებული ინფორმაციით, „მომავლის სახლის“ ერთ-ერთი აღსაზრდელი ძალადობის მსხვერპლი გახდა. თექვმეტანილმა 16 წლის მოზარდმა სარეაბილიტაციო სახლი დატოვა და მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება. ამგვარ ინციდენტს მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში კატეგორიულად გამორიცხავენ. აღნიშნულ ფაქტს ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა გამოიძიებს.

ინტერპრესნიუსი

◎ აფიშა

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

15 ოქტომბერი — ლუდვიგ მინკუსის „დონ კიხოტი“ ალექსეი ფადეევიჩევისა და ნინო ანანიაშვილის მონაწილეობით.

16 ოქტომბერი — ლუდვიგ მინკუსის „დონ კიხოტი“ რედაქციით.

დასაწყისი 19 სთ. და 15 სთ.

თავისუფალი თეატრი

15 ოქტომბერი — „კომედიანტები“. რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი.

16 ოქტომბერი — „ბინა ყიფშიძის ქუჩაზე“. რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი.

დასაწყისი 19 სთ.

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

15 ოქტომბერი — „ზაფხულის ღამის სიზმარი“. რეჟისორი დავით ანდღულაძე.

16 ოქტომბერი — „მეფე ლირის თავგადასავალი“.

დასაწყისი 18 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში

15 ოქტომბერი — ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“. რეჟისორი ლევან წულაძე.

16 ოქტომბერი — ბომარშეს „ფიგაროს ქორწინება“.

დასაწყისი 19 სთ.

თეატრალური სარდაფი რუსთაველზე

16 ოქტომბერი — ნინო ბასილიას „თაგვი“. რეჟისორი ლევან წულაძე.

დასაწყისი 19 სთ.

კინოთეატრები

„ამირანი“

15, 16 ოქტომბერი — ლევან თუთბერიძის „გასეირნება ყარაბახში“.

დასაწყისი 13 სთ, 15 სთ, 17:30 სთ, 20 სთ, 22 სთ.

„რუსთაველი“

15, 16 ოქტომბერი — ლევან თუთბერიძის „გასეირნება ყარაბახში“, ქართულ ენაზე დუბლირებული კომედია „კაცი გამოძახებით“, მულტფილმი „რეზერვისტი ჩიტები“.

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ

კონფერენცია ქართველი ქვეკონტრაქტორებისა და მომწოდებლებისთვის სამუშაოს შეთავაზების შესახებ

ბექტელ ინტერნეშენალ სისტემზ, ინქ. – ამერიკული სამშენებლო-საინჟინრო კომპანია ბექტელის წარმომადგენლობითი ოფისი, ბექტელთან წინასწარ კვალიფიცირებული ქვეკონტრაქტორების ან მომწოდებლების რანგში თანამშრომლობით დაინტერესებულ კომპანიებს იწვევს **კონფერენციაზე**, რომელიც გაიმართება **2005 წლის 20 ოქტომბერს, 09:30 დან 12:00 მდე „ქორთიარდ მარიოტში“, დარბაზი №2 (მე-2 სართული)**.

კონფერენციის მსვლელობისას ბექტელი წარმოადგენს შემდეგ საკითხებს:

• საქართველოში ბექტელის საქმიანობის მიმოხილვა
• სამომავლო შესაძლებლობები ახალი, თანამედროვე სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის მხარდასაჭერი სამუშაოების დროს (განთავსდებიან თბილისში და დანარჩენ საქართველოში)
• მოთხოვნები და პროცედურები, რომელიც საჭიროა, რათა გახდეთ ბექტელის ტენდერის მონაწილე
• ჩვენს წინადადებაზე მოთხოვნების პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა ტექნიკური და სამშენებლო მომსახურებისთვის და კვოტირებაზე მოთხოვნის პაკეტების განხილვა, რომლებიც გაიცემა აღჭურვილობის და მასალების შესყიდვაზე
• ბექტელის ტენდერის, შეფასების და კონტრაქტის გაფორმების პროცესის ახსნა
• საკონტრაქტო შეთანხმების ტიპები,რომელსაც ბექტელი ყველაზე ხშირად იყენებს
• ფასების კალკულაციის და ანგარიშსწორების პირობები
• პირობებთან შესაბამისობის და ეთიკის მნიშვნელობა ჩვენს ბიზნეს შეთანხმებებში
• ბექტელის გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის მოთხოვნების და ქვეკონტრაქტორების მიერ მათი შესრულების მნიშვნელობა
• რა შედის ბექტელის მიერ მომზადებულ სამუშაოს აღწერის ტიპურ დოკუმენტში
• წარსადგენი მასალები, რომლებიც, როგორც წესი, მოეთხოვებათ ქვეკონტრაქტორებს სამუშაოების დაწყებამდე
• რა ტიპის აღჭურვილობას და მასალებს შეისყიდის ბექტელი ამჟამად ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
• რა ტიპის ტექნიკური და სამშენებლო მომსახურების ქვეკონტრაქტებს დებს ამჟამად ბექტელი ქვეყანაში და ჩვენი სამომავლო მოთხოვნები
• დამსწრე საზოგადოების შეკითხვები ბექტელის პრეზენტაციის ბოლოს.

ამ კონფერენციის დროს პოტენციურ ქვეკონტრაქტორებს და მომწოდებლებს გადაეცემათ კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის / ქვეკონტრაქტორის კითხვარის პაკეტები და ეცნობებათ თუ როდის და რა მისამართზე უნდა გაუგზავნონ თავიანთი პასუხი ბექტელს. კომპანიების მიერ შევსებულ კითხვარს კი ბექტელი გამოიყენებს თქვენი კომპანიის კვალიფიკაციის შესაფასებლად და იმის გადასაწყვეტად, ჩართოს თუ არა თქვენი კომპანია ტენდერის მონაწილეთა სიაში, რის შემდეგაც კომპანიას გაეგზავნება წინადადებაზე მოთხოვნის პაკეტები.

იმისთვის, რომ თქვენი კომპანია ჩაითვალოს წინასწარ კვალიფიცირებულ ქვეკონტრაქტორად, მას უნდა გააჩნდეს გარემოს დაცვის, უსაფრთხოების და ჯანდაცვის გეგმა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ბექტელის სტანდარტებს, რომლებიც განიხილება ამ კონფერენციის დროს.

თუ თქვენს კომპანიას აქვს საქართველოში მუშაობის ლიცენზია, სტაბილური ფინანსური მდგომარეობა და არის გამოცდილი, გირჩევთ აუცილებლად დაესწროთ ჩვენს კონფერენციას.

სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტი“ მდებარეობს შემდეგ მისამართზე: **თავისუფლების მოედანი 4, 0105, თბილისი, საქართველო.**

თქვენს კომპანიას ვთხოვთ, წინასწარ შეგვატყობინოს კონფერენციაზე დასწრების შესახებ. შეტყობინება უნდა გაუგზავნოთ ქ-ნ ლელა მაჩაიძეს ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე lmachaid@bechtel.com ან ტელეფონის ნომერზე 995 32 47-40-40, ან კიდევ გამოგზავნოთ ფაქსით ნომერზე 995 32 92-29-96, 2005 წლის 13 ოქტომბრამდე. რაკიღა კონფერენციაზე ველით დამსწრეთა დიდ რაოდენობას, უმორჩილესად ვთხოვთ თითოეულ კომპანიას, გამოგზავნონ ორი (2) მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ თითქმის ნატურიდან

ხრაკუნა

ღმერთი-რჯული მე არ დამირქმევია მედიკოსი, თავად დაირქვა. არადა, მთელმა თელავმა იცის, რომ ეს ჩვენი მედიკოსად მონათლული პიროვნება, მისი უბრწყინვალესობა — ხრაკუნა გახლავთ. თუმცა ვერც იმას აგიხსნით ვინმე, ამ ქალაქის კოლორიტად აღიარებულ ვახტანგ დათიშვილს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარს პოეზია, ფრთიანი სიტყვა და ენამზეობა, რატომ დაარქვეს ხრაკუნა.

ერთი ფაქტია, დღეს თელავში (და არა მარტო თელავში) კაცს ვერ იპოვით, ხრაკუნასთან პური არ გაეტეხოს და ჭიქა ღვინო არ აეწიოს. ისე კი საფრთხილოა, სუფრასთან მისგან მოშორებით თუ არ იჯექი, შეიძლება ისეთი სიტყვა გესროლოს, სკამიდან გადაგაგდოს. აღარაფერს ვამბობ ორსულ ქალებზე, რომლებსაც, მუცლის მოწყვეტის შიშით, იქ საც ხრაკუნაა, ახლოსაც არ აჭაჭანებენ. ასეთებს, საკუთარი თავის ამბავი რომ იცის, თავად ხრაკუნაც ერიდება.

ერიდება პარტიებსაც. თავის დროზე კომუნისტებსაც გაურბოდა, მაგრამ როგორღაც შეიტყუეს. თუმცა რაიკომის ბიურო, მისი კარი გამოიხურა თუ არა, მაშინვე ჩაწიხლა — ახლა ამათ რა ჭკუა მოეთხოვებათ, მე კომპარტიაში მიმიღეს, მოლოტოვი კი გარიცხესო.

იმ პერიოდშიც, როცა შევარდნაძე ზენიტში იყო და ჩრდილოელი მეზობლის მზეს ფიცულობდა, ხრაკუნამ „მეფეს“ მოსწრებულად უგანა — მაგისთვის არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის მზე საგარეჯოდან ამოდისო. ალბათ მიხვდებით, რატომღაც: მაშინ მედიკო (ხრაკუნას ცოლისდა) საგარეჯოს რაიკომს უძღვებოდა.

ხრაკუნამ ეს მომენტი მაშინაც გამოიყენა, როცა ერთხელ კახეთს მედიკოსთა დელეგაცია ეწვია.

— ვივა კოლეგებს! — შესძახა ხრაკუნამ ქუჩაში მომავალ საპატიო სტუმრებს.

— შენ რა შუაში ხარ? — წაჰქიმუნჯეს აქეთ-იქიდან.

— როგორ კაცო, მეც ხომ მედიკოსი ვარ, — იხტიბარი არ გაიტეხა ხრაკუნამ.

ვინც ღვინის ყადრი იცის, იმას „პახმელიობის“ ეშხიც მოეხსენება. არც ხრაკუნაა ამ უკანასკნელთან უბრად.

— გუშინ ღვინო მეტი მომივიდა და თავი მისკდება, — შესჩივლა ერთხელ მეგობარს.

— ასეთ დროს უზმოზე უმი რძე უნდა გადაჰკრა, — ურჩია მან.

— თუ ძმა ხარ, ეგ მეორედ აღარ მითხრა, — იწყინა ხრაკუნამ.

— რატომ, კაცო?

— ერთხელ ცოლმა დამალევინა და მთელ დღეს ჩხირგამომძვრალი სადღობელივით ვიყავი.

იმ პერიოდში, როცა ხრაკუნა ქალაქის პურკომბინატს თავკაცობდა და, როგორც თვითონ ამბობდა, მთელ დღეს თონეში ფეხის ფრჩხილებით იყო ჩაკიდებული, თელავში შინ გამომცხვარ პურს პირს აღარავინ აკარებდა. თუმცა ერთხელაც დირექტორის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა.

— ხრაკუნა ბრძანდებით? — გაისმა ყურმილში განაწყენებული ქალის ხმა.

— დიახ, ქალბატონო, რით გემსახუროთ?

— პურის თაობაზე გაწუხებთ საბავშვო ბაღიდან.

— პურს რა დაემართა?

— ისეთი არაფერი, ჩაცომებულია და ბავშვები ცხვირს იბზუებენ.

— წვიმაში ხომ არ გიწყვიათ? — შეცბუნდა საწარმოს დირექტორი.

ამ ცოტა ხნის წინათ ხრაკუნას დედაქალაქიდან საპატიო სტუმარი ეწვია. რა აღარ დაათვალიერებინა — შუამთა, გრემი, ალავერდი, იყალთოს აკადემია, ბოლოს თელავში ერეკლე მეფის ძეგლთანაც მიიყვანა.

— ქანდაკება მართლაც შესანიშნავია, — თქვა მან, — მაგრამ მეფე ულაყზე რომ შეგისვამთ, ეს უკვე აღარ მომწონს.

— რატომ? — გაიკვირვა ხრაკუნამ.

— როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცი, ერეკლე ყოველთვის ფაშატზე იჯდა.

— შე დალოცვილო, დღეს პარლამენტარებს და ჩინოვნიკებს მერსედესი რომ გაეკაწრებათ, მაშინვე ჯიპზე გადასხდებიან ხოლმე და მეფეს ისეთი რა უჭირდა, ფაშატი ულაყით შეეცვალა? — არ დაიბნა ხრაკუნა.

ოთარ ხუციშვილი

◎ ზოგჯერ ცრემლზეც მწარეა

გულუბრყვილო რჩევები

გადაილალა, ნევროზით დაავადდა ისედაც ავადმყოფი ხალხი და ზოგიერთები საიქიოს გზასაც გაუყენა ამდენმა უაზრო, შეუსაბამო რეკლამამ. მე გთავაზობთ სრულიად მარტივ და გასაგებ ენაზე შედგენილ რეკლამებს, რომლებიც ერთგვარ შვებასაც მოჰგვრის მაყურებელს. არ არის გამორიცხული, რომ გაეცინოთ კიდეც.

* * *

კომპოტი და წვენი გინდა?
არ ემებო ტუეში ჰანტა,
ეველა კუთხე-კუნჭულშია
„ჰეჰხი“, „კოკა-კოლა“, „ფანტა“.

* * *

რა დროს ჰროზა და ლექსია,
როცა ეკრანზე სექსია...

* * *

ვაჟკაცად ვერ გაიზრდები,
არ გექნება ულვაშები,
ეოველ ღამე თუ არ ნახე
სტრიპტიზი და „უჟასები“.

* * *

თუ არ გინდა სექსი, ქალი,
ოჯახი და ბავშვის ეოლა,
არ დალიო საფერავი,
სვი „ფანტა“ და „კოკა-კოლა“.

* * *

მინდა ეველა ქალს გულწრფელად ვეუთხრა,
რომ ჩვრეს სჯობია „ოლვეის-ულტრა“.

მამაშვილურად დასაძლერი

თუ ისევ გვაშიმშილებდით,
რადიდ გააგდეთ, ვინც იეო?!
თქვენ ცხოვრობთ, ჩვენ ვიხოცებით,
ბრიეეიც მიხვდება, მიშიკო.

კარგია, მოზარდ თაობას
რომ გავუსაროთ გულები,
იქნებ საქმეში ჩაგვედო
ეგ ნასესხები ფულები.

ვინც მთელი ჩვენი ცხოვრება
შეეწირეთ ქვეენის სამსახურს,
არა მგონია, მიხეილ,
შეეხვდეთ მომავალ გაზაფხულს.

ხალხი მოდუნდა, გალაედა,
უსაქმურობამ გალახა,
ჰენსიონერის ოჯახი,
ნეტავი ერთხელ განახვა.

მდიდრის სასახლე შენდება,
ღარიბის ქოხიც დაიქცა,
ხალხი თუ ხელში ჩაგაკვდათ,
თქვენ ვის უფლებებს დაიცავთ?!

იცის დიდმა და ჰატარამ,
ვინც აგვიმდვრია წეალია,
რბევა, ნგრევა და წიოკი
სულ შეეარდნაძის ბრალია.

არ მესმის, ჩვენი მთავრობა,
ამ საქმეს როგორ ათავსებს,
ხალხსა აქვს მწირი ჰენსია,
თვითონ იღებენ ათასებს.

ოჯახს ვერ ვარჩენ ჰენსიით,
ჩემი ღირსება ნულია,
სასელმწიფოშიც, ოჯახშიც,
ეოვველთვის საქმე ფულია!

ჯარი კარგი გვეავს ნამდვილად,
ბრძოლაც იციან, სიმდერაც,
მაგრამ მტერს ჩვენსას ჩრდილოელს,
ვერ დავამარცხებთ იმხელას.

სხვა მეტი მტერი ჩვენ არ გვეავს,
ავტომატებით რომ ვხოცოთ.
ოსსა და აფხაზს სირცხვილი
სიკვთით უნდა მოვხოცოთ.

არა, მე კი არ გიწერებით,
მამაშვილურად გარიგებთ,
ახალ ჯანსა და სისხლისღვრას,
რეეოლუციას გარიდებთ!

ნიკოლოზ იოსებიძე

◎ ხალხურ კილოზე

უფალი გაასამართლებს

ვინც ღვთის გზას გადასდგომია
და მტრების ნდობას ამართლებს,
თავი კი ბრძენი ჰგონია,
უფალი გაასამართლებს.

ვინც ხალხის ბედით ერთობა,
ხალხს კი ლუკმა ჰურს ანატრებს,
არ ეღირსება შენდობა,
უფალი გაასამართლებს.

ვინც მწურალად არის ქართულთან,
და უცხოურად „გვანათლებს“,
ნაცვლად მიწიერ მსაჯულთა,
უფალი გაასამართლებს.

უფალი გაასამართლებს,
ვინც თავზე ნაცარს გვაურიდა,
სიტყვით სამშობლოს იცავდა,
მტერს მსახურებდა საქმითა.
ვინც სინდისი და ნამუსი
ოცდაათ ვერცხლად გაეიდა

ბევრი გვაქვს თავში სახალი,
თუ კი ჯიგარი გეწვითა, —
რადგანაც ღმერთი მაღალი
ეველაფერს ხედავს ზეციდან.

ალმანზორ თავაძე

◎ კაცია და ხასიათი

იძულებით დაკერებული ჩექმები

უცნაური კაცი იყო ბიძია არტო — თავისებური, სხვებისგან გამორჩეული, სამართლიანი, ხანდახან ზედმეტად მკაცრი, მშრომელი, შესანიშნავი ოჯახის უფროსი. ომგამოვლილი, ბევრჭირნახული, მართლაც, რომ იტყვიან, ოქროს ხელების პატრონი. ყველაფერი ეხერხებოდა და, რა თქმა უნდა, შრომის შემდეგ — მადლიანი პურის ჭამაც.

ამიტომაც ხშირად, საღამოობით, ბორცვზე წამომდგარ, ნაძვნარით დამშვენებულ, როგორც იმერეთში იტყვიან, „ეზო ბაკიდან“, გვიანობამდე ისმოდა მისი სოლო-სიმღერა.

ერთხელ მამაჩემმა ჩვენი უკვე მოძველებული სახლის შეკეთება წამოიწყო. აბა, არტო ბიძიას გარეშე ეს გამოვიდოდა? ისიც ოსტატურად, ბეჯითად აკეთებდა საკეთებელს. საქმის შემდეგ კი, როგორც წესი, კაკლის ძირას მოკრძალებული პურ-მარილი იშლებოდა.

ამ ფოტო-ხუმრობაზე სწორედ მაშინდელი ერთ-ერთი მომენტი აღვბეჭდე. არტო ბიძიას, დაღლილსა და ნაჯაფს, ღვინო დროზე ადრე მოეკიდა. ერთხანს ჩათვლიმა, მერე მოულოდნელად დაიწყო ჩექმების გახდა და დაიჩემა: ამით უნდა დავლიოო.

ჯიუტი კი იყო, მაგრამ, აბა, ასეთ საქციელს ვინ ჩაადენინებდა!

მერე, ღვთის წყალობით, თვითონვე ხმადაბლა წაიდუდუნა: „ამით რა დამალევინებს, ბოშო!“

მამაჩემმა მომენტით ისარგებლა:

— არტო ბიძია, ამაში რომ ღვინო ჩავასხათ, არ გაჩერდება, გავა, ხო ხედავ, როგორა აქვს ლანჩებს პირი დაღებული. აგერ ბოვში ჩოურბენიებს სოსიკას, გაკერავს წამში, ამეიტანს და მერე მიირთვი!

ეტყობა, არტო ბიძიას თავის ახირებული აზრის უარყოფა უნდოდა და დათანხმდა.

ჩექმები მართლაც ჩავუტანეთ ხელოსანს, დავაკერებინეთ, ჩავაცვით სტუმარს და ხელგაყრილებმა მივაცილეთ ეზომდე.

...ასე შეკეთდა ძირმორღვეული ჩექმები!

გურამ გომართელი

ავტორის ფოტო.

◎ მართლაც, რა არ ხდება?!

დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისში გამოცემულმა პატარა წიგნმა, რომელშიც უჩვეულო ამბებია მოყვანილი.

აი, მაგალითად: ინგლისში მეხანძრეებმა დიდი წვალებითა და სიფრთხილით ჩამოხსნეს ხის კენწეროდან კატა, შემდეგ კი, როდესაც შემთხვევის ადგილიდან მიდიოდნენ, გადარჩენილი ცხოველი თავიანთი მანქანით... გაიტანეს.

* * *

მიცვალებულის საფლავში ჩასვენებისას ერთ-ერთი მომსახურე ამოთხრილ ორმოში ჩავარდა, ამასთან, კუბოც ზედ დაეცა. საბედნიეროდ, დაზარალებული მარტო ნეკნების ჩამტვრევით გადარჩა.

* * *

„ადგილიდან არ გაინძრეთ!“ — შესძახა ბანკში შევარდნილმა მძარცველმა თანამშრომლებს. ყველანი დაემორჩილნენ ბრძანებას, გარდა მძარცველის პარტნიორისა, რომელიც სალაროსკენ გაემართა: შეშინებულმა და აღელვებულმა მძარცველმა, შემთხვევით გამოასალმა წუთისოფელს თავისი მეგობარი.

* * *

ჰონკონგში კონცერტის ჩატარების შემდეგ აღტაცებულმა მსმენელებმა ავტოგრაფის მისაღებად ძებნა დაუწყეს ავტორს, მაგრამ ვერც ერთ სასტუმროში ვერ აღმოაჩინეს... იოჰან სებასტიან ბახი.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

შაბათი
15 ოქტომბერი

1

08.00 "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **08.55 ფორმულა-1** (კვალიფიკ.) **10.00** ცირკი **10.20** სპექტაკლი **"ვაზის ყვავილობა"** მე-3 ნაწ. **11.30** დოკ. ფ."მითხარი როგორ" **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი **13.20** ქართ. მხ. ფილმი **"წკიპურტები" 15.00** მუსიკა - ბობ მინცერი **16.00** სერიალი **"მარტორქის მოგზაურობა" 17.00** დოკ. ფილმი "კრიზისის სპექტრი" **18.00** "მთავარი" **18.10** "არქივიდან" – ქართული ფოლკლორი **18.30** დოკ. სერიალი "ჯანსაღი კვების სტილი" **19.00** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" (სტრადფორდი) **20.00** "მთავარი" - საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი **"სახლი ექვსისთვის" 21.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - კონდოლიზა რაისი **22.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.00** მხ. ფილმი **"მაფიის ქალები"** (12) 1-ლი ს. **01.00** საინფორმაციო გამოშვება

2

19.00 ტელეზღაპარი **19.15** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.40** კონცერტი "ჩვენებურები" **20.30** კინოსეანსი **"წკიპურტები"**

3

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი **"ჩალის ქუდი" 15.20** მხ. ფილმი **"სერიული მკვლელობები"** (U) **17.00** სერიალი **"ენტერპრაიზი" 18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი **"გადამთიელები"** (U) (ჟან რენო) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** რეალითი-შოუ "ბარი" **00.00** "ფსიქო" – **"სიჭაბუკის ჟამი"** მე-2 ნაწ. **02.20** კურიერი **02.40** მხ. ფილმი **"დედის ისტორია"** (18)

9

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა **09.10 12** პლუსი **10.30** უცხო სუნელი **11.00** ჩვენი ეზო **11.20** "რაო-რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.20** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15 ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფ. **"საქორწილო წვეულება"** (U) (მ. დუგლასი) **15.15** დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **16.30** უცნობი საქართველო **17.10** სერიალი **"მოჯადოება" 18.00** "ეტალონი" **19.00, 20.00, 23.00, 03.30** ქრონიკა **19.05** სერიალი **"მოჯადოება" 20.30** "ნაცნობი საქართველო" **22.00** "ალავერდი" მე-4 გადაცემა **23.30** მხ. ფილმი **"ღვთის გამოგზავნილი"** (15) (რ. დე ნირო) **01.45** მხ. ფ. **"ბინძური საქმეები"** (18) (კ. დიასი) **03.40** იმედის მელოდიები

10

08.30 საინფორმაციო კოლაჟი **08.35** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "კარლსონი" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "დედა" **13.00** მხ. ფილმი **"აფიორა"** (U) **15.00** "ჰოლივუდი დღეს" **15.30** სერიალი **"სენიორ ვიანელო" 15.45 ფეხბურთი**. უიგანი - ნიუკასლი. **17.30** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **18.00 ფეხბურთი**. ჩელსი- ბოლტონი **20.00** მზერა **20.30** "ჰოლივუდი დღეს" **21.00** მხ. ფილმი **"ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო"** (U) (ჯ. აირონსი) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ. ფ. **"თავსატეხი"** (12)

ქართული

10.00 "ტვ-შოპი" **11.00, 13.00, 21.00** Style-TV **11.30** მხ. ფილმი **"სამარხების მძარცველნი"** (U) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** გადაცემა "საწინდარი" **21.30** მხ. ფ. **"ლუნის ომი"** (U) **00.30** "ტვ-შოპი"

11

08.00 მუსიკა **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტფილმი **10.20** "ჭიტა-ჭიტა" **10.40** კომედია **"მელოტი ძიძა" 12.20** "ვიცინოთ ერთად" **12.50** თრილერი **"გაბატაცება 60 წამში" 14.30** თეატრი **17.30** "ახალი ამბები" **18.00** "დებატები" **19.00** დოკ. ფილმი **20.10** "ფერისცვალება" **20.30** "ახალი ამბები" **21.00** მხ. ფილმი **"ფანილის ცა" 00.00** "ახალი ამბები" **00.15** ბოევიკი **"განგსტერები"**

12

07.30 ამტანი **08.00** "მიქსი" **09.30** "ამტანი ინფო" **11.00** მუს. არჩევნები **13.00** ამტანი **14.00** ქართული ათეული **16.00** "დაალაგე" **17.00** ამტანი **18.30** მუსიკა **18.45** ამტანი **19.15** სმს-კონფერენცია **20.30** ქართული ათეული **21.30** "ამტანი ინფო" **22.30** "პოპ-მუსიკა" **23.15** ამტანი

კვირა
16 ოქტომბერი

1

08.00 "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.00** მომავლის ცირკი **09.25 ფორმულა-1** (ჩინეთის დიდი პრიზი) **11.30** "ახალი პროექტი" **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი **13.20** პ. ჩაიკოვსკი "გედების ტბა" **16.00** სერიალი **"დონ კიხოტი" 17.00** დოკ. ფილმი "აინშტაინი" **18.00** "მთავარი" **18.10** დოკ. ფილმი **19.00** დოკ. სერიალი "ჰოლივუდი და კრიმინალი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი **"სახლი ექვსისთვის" 21.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - კრისტოფერ რივი, ლანს არმსტრონგი. **22.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.00** მხ. ფილმი **"მაფიის ქალები"** (12) მე-2ს. **00.30** საინფ. გამოშვება

2

19.00 ტელეზღაპარი "მეფე ბაყაყი" **19.15** მხ. ფილმი **"რეკორდი" 19.40** რაციო **20.30** კინოსეანსი **"ლაქა"**.

3

08.00 კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **12.50** მხ. ფილმი **"ტერმინატორი-2: განკითხვის დღე" 15.20** მხ. ფილმი **"ეი მაესტრო" 17.00** სერიალი **"ენტერპრაიზი" 18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **19.20** მხ. ფილმი **"ფესვები"** (U) **22.00** გაიღიმეთ ფარული კამერაა **23.00** რეალითი-შოუ "ბარი" **00.00** მხ. ფილმი **"ჯასანდრას უღელტეხილი"** (15) **01.20** კურიერი **02.00** მხ. ფილმი **"გარყვნილები"** (18).

9

09.00, 13.00, 15.45 ქრონიკა **09.10, 16.45** იმედის მელოდიები **09.20** ანიმ. ფილმი "ჰერკულესი" **1-2**ნ. **09.50** "რაო, რაო?" **10.30** უცხო სუნელი **11.10** "წუთისოფელში" **11.40** "საკვირაო კოქტეილი" **12.40, 01.35 ტვ**-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"ძმები მეტოქეები"** (ჯ. რიბიზი) **15.00 ფეხბურთი**. "დინამო" (თბილისი) - "სიონი" (ბოლნისი) **17.00, 19.00, 04.20** ქრონიკა **17.20** "პოლიციის აკადემია" **17.50** "არტ-ბულვარი" **18.30** "ვაკაჭინიუსი" **19.30** ქართული მხ. ფილმი **"დათა თუთაშხია"** 1-ლი ს. **21.00** დროება **22.30** მხ. ფილმი **"ფარენგეიტი 9.11"** (U) (რეჟ. მ. მური) **02.10** მხ. ფილმი **"მოწინააღმდეგე მხარეები"** (15) (ჰ. კეიტელი) **04.30** იმედის მელოდიები

10

08.30 საინფორმაციო კოლაჟი **09.00** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" **10.00** მულტფილმი "როგორ ვუმკურნალოთ მახრჩობელას" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "მოდა" **13.00** მხ. ფილმი **"ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო"** (U) **15.30** სერ. **"სენიორ ვიანელო" 16.00** სერიალი **"პოლიციელი ქალები" 16.40** ტელეჟურნალი "დები ტრევისი" **19.00 ფეხბურთი**. მანჩესტერ სიტი - ვესტჰემი. **20.00** "მზერა" **21.00** მხ. ფ. **"მდიდარი რომ ვიყო"** (U) (რიშარ ბერი) **22.30** საინფორმაციო კოლაჟი **23.00** მხ. ფილმი **"თუნუქის დოლი"** (15) (დევიდ ბენეტი)

ქართული

10.00 "ტვ-შოპი" **11.00, 14.00, 02.00** Style-TV **12.45** მხ. ფ. **"ლუნის ომი"** (U) **17.00** ვარსკვლავები გვამცნობენ **20.00** ინდ. მხ. ფილმი **"ერთადერთი"** (U) **23.00** ჯაზ-პარნასი **00.45** მხ. ფ. **"ჯულიეტა"** (15)

11

08.00 მუსიკა **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტფილმი **10.15** "წკიპურტები" **10.30** "მოგზაური" **11.00** "ფეხბურთი 11 საათზე" **12.00** სათავგადასავლო კომედია **"პრინცესა დღიური-2" 14.00** დოკ. ფილმი **14.45** "ფერისცვალება" **15.00** მელოდრამა **"სიცილი და სასჯელი" 16,45** "ექსკლუზივი" **17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **17.50** მხ. ფილმი **"ქალიშვილი ჯერსიდან" 20.00** "ვიცინოთ ერთად" **21.00** თრილერი **"განსხრომის ქუჩა" 22.30** "მხოლოდ კინო" **22.45** დეტექტივი **"ჭრილში"**

12

07.30 ამტანი **08.00** ქართული მუსიკა **09.30** "ამტანი ინფო" **11.00** მუს. არჩევნები **13.00** ამტანი **14.00** უცხოური ათეული **15.00** "პოპ-მუსიკა" **16.00** "დაალაგე" **17.00** ამტანი **18.30** მუსიკა **18.45** ამტანი **20.30** უცხოური ათეული **21.30** "ამტანი ინფო" **22.30** "მიქსი" **23.15** ამტანი

ბიჭვეები

ფირმა «ჩაღლარის» ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი კურსები

პატივცემულო მშობლებო!

ეროვნული გამოცდებისათვის ბავშვის მომზადება თქვენთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს, რადგან გაიხსნა ფირმა „ჩაღლარის“ უმაღლესი სასწავლებლებისათვის მოსამზადებელი კურსები. კვირის თქვენთვის სასურველ დღეებში გამოცდილი და კვალიფიციური კადრები მოამზადებენ თქვენს შვილებს ტექნიკური თუ ჰუმანიტარული საგნების პროგრამით.

ტექნიკური განხრით ისწავლება: ქართული, მათემატიკა, ლოგიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ინგლისური.

ჰუმანიტარული განხრით კი: ქართული,მათემატიკა, ლოგიკა,ისტორია,გეოგრაფია და ინგლისური.

გახსოვდეთ, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა ყოველი ახალგაზრდის ოცნებაა!

რეგისტრაცია მიმდინარეობს
2005 წლის 1-დან 28 ოქტომბრამდე, შემდეგ
მისამართებზე:

თბილისი, გრიშაშვილის ქ. 51 (ორთაჭალა)
ტელ: 75-24-58, 75-44-94
დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი

ბათუმი, ხიმშიაშვილის 55 ტელ: +995 32 888 222 764 09
რ. შაჰინის სახ. მეგობრობის ლიცეუმი

NON-STOP

4.260 პასპორტისგან შედგება მსოფლიოში უდიდესი კოლექცია, რომელიც ბელგიელ გი ვან კეერს ეკუთვნის. აქ შეხვდებით მსოფლიოს 130 ქვეყნიდან ჩამოტანილ პასპორტებს.

* * *

ვლადიმერ პუტინი: „ჩვენ მივაღწიეთ მორიგებას მოქალაქეთა დიდი კატეგორიისთვის, სავიზო რეჟიმის შემსუბუქების შესახებ“. ევროპის ვიზა დაახლოებით 35 ევრო ეღირება. როგორც მოელიან, მიმდინარე წლის დამლევამდე რუსეთსა და ევროპას შორის დაიდება შეთანხმება სავიზო რეჟიმის შერბილების შესახებ. ყველაზე მეტად გაუმართლებთ დიპლომატებს — ისინი შენგენის ზონაში მოგზაურობას შეძლებენ ვიზის გარეშე, მხოლოდ თავიანთი დიპლომატიური პასპორტებით. მეცნიერ-მუშაკებს, კულტურის მოღვაწეებს და სტუდენტებს მოუწევთ ვიზების მიღება, სამაგიეროდ, მათ ევროპის ქვეყნებში მრავალჯერადი შეცვლის უფლება მიეცემათ ყოველგვარი პრობლემების გარეშე 5 წლის ვადით. შესაძლოა, პირადი გასაუბრება საელჩოებში არც კი დასჭირდეთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებს, რადგან მათაც შეეხებათ შენგენის ვიზების დაჩქარებული და უპრობლემო მიღება. დანარჩენი მოქალაქეებისთვის ჯერჯერობით ყველაფერი უცვლელად დარჩება.



* * *

დეპუტატებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ რუსეთის ფედერაციის მთავრობის წევრები მათ უპატივცემლოდ ეპყრობიან, გადაწყვიტეს, მინისტრებს საქმე სასამართლოში გაურჩიონ.

დეპუტატმა გოლოვატიუკმა ჯერ კიდევ ივლისში გაუგზავნა თეთრ სახლს თავისი კანონპროექტი სამხედრო პენსიონერების შესახებ, მაგრამ დღემდე მას არავინ გამოხმაურებია. არადა, სახელმწიფო სათათბირო გოლოვატიუკის გარეშე ვერ ახერხებს კანონპროექტის განხილვას. მართალია, მინისტრთა კაბინეტი ვალდებულია, ერთი თვის განმავლობაში მისცეს შეფასება დეპუტატების ინიციატივას, მაგრამ ეს ვადები ყოველთვის ირღვევა, თანაც, აბსოლუტურად დაუსჯელად. „მიმაჩნია, რომ ჩვენი მოქმედება სავსებით სამართლიანია“, — თქვა სპიკერმა ბორის გრიზლოვმა. იგი გულისხმობდა გოლოვატიუკის ინიციატივას, რომელმაც გადაწყვიტა, სასამართლოში უჩივლოს მინისტრთა კაბინეტს. აღსანიშნავია, რომ მეორე დეპუტატმა — ალექსანდრე ლებედევმა — უკვე აღძრა მსგავსი სასჯელი.

* * *

მსოფლიოში 250 მილიონი ადამიანი უჩივის სმენის დეფექტებს. რუსეთში ასეთი 13 მილიონია.

* * *

1982 წლის შემდეგ მსოფლიოში დაფიქსირდა წამლების ფალსიფიკაციის 50 შემთხვევა. აქედან, 25 პროცენტი მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. პირველი ფალსიფიცირებული პრეპარატი აღმოაჩინეს რუსეთში 1997 წელს.

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— გაზეთში წავიკითხე, რომ შრომის პენსიონერებს პენსია დაენიშნებათ ხელფასის და სტაჟის მიხედვით. როგორ დაენიშნებათ პენსია I ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც საერთოდ არ უმუშავიათ ავადმყოფობის გამო?

რომან ცეცხლაძე

— საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, 2006 წლიდან ძალაში უნდა შევიდეს კანონი სადაზღვევო პენსიების შესახებ, რომლის თანახმადაც გათვალისწინებულია პენსიის გამოანგარიშება შრომის სტაჟისა და ხელფასის მხედველობაში მიღებით.

აღნიშნული კანონის შესაბამისად, პენსიის გადაანგარიშება არ შეეხებათ იმ პირებს, რომელთაც საჭირო სტაჟის უქონლობის გამო დანიშნული აქვთ ინვალიდობით სოციალური პენსია.

* * *

— ვარ 30 წლის, ვმუშაობ მცირე ხელფასზე, ჩემთან ბინაში შრომისუნარიანი არავინაა რეგისტრირებული. ვარ ბავშვობიდან III ჯგუფის ინვალიდი. ეკონომიურად მიჭირს. გთხოვთ, განმიმარტოთ მეკუთვნის თუ არა დახმარება 22 ლარი?

ზვიად თორდია

— მოქმედი კანონის თანახმად ყოველთვიური სოციალური დახმარება, თვეში 22 ლარის ოდენობით, ეძლევა I და II ჯგუფის ინვალიდებს, რომლებიც ცხოვრობენ მარტო, არ მუშაობენ და არ გააჩნიათ შრომისუნარიანი მარჩენალი, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

III ჯგუფის ინვალიდები ყოველთვიურად სოციალური დახმარების მიღების უფლებას ვერ იპოვებენ, თუ ისინი მოხუცებულობის ასაკს არ არიან მიღწეული.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

№ 239-240. შაბათი, 15 ოქტომბერი, 2005 წელი.

◎ ცოტაც გავიცინოთ...

ქმარი სახლში შევარდა, ცოლს ეცა და კოცნა-ალერსი დაუწყო. სამაგიერო მხურვალე კოცნაც მიიღო.

— აბა, ახლა მითხარი, — ეუბნება ქმარი, — მოგწონვარ უულვაშო?

— აჰ, ეს შენა ხარ?!

* * *

ქათმის ჭამა კარგია, როდესაც ორნი ხართ: თქვენ და ქათამი!

* * *

ივანმა სახლში უხარისხო წვენი მიიტანა.

— თუ ის ასპროცენტიანია, მაშინ წვენია, თუ მასში 50 პროცენტი წყალია, ეს სასმელია, ხოლო თუ წყალი 50 პროცენტზე მეტია, ეს ნექტარია.

— დიახ, დიახ, სწორია, — გახარებულია ივანი, — მუდამ ვიცოდი, რომ არაყი ნამდვილი ნექტარია!

* * *

— **ძმაკაცმა** დაგირეკა, — ეუბნება ცოლი ივანს.

— რა მინდაო?

— მთხოვა, შენთვის გადმომეცა, რომ სათევზაოდ წასვლა გადაიდო, რადგან ბარი აღწერის გამო დაკეტილია.

* * *

— **თუ** შეიძლება, ჰკითხეთ დაზარალებულს, რა გვარია, რათა შევძლოთ მისი მშობლებისთვის შეტყობინება, — ეუბნება ექიმი ექთანს.

— ვკითხე, მაგრამ ამბობს, მშობლებმა ისედაც კარგად იციან ჩემი გვარიო!

◎ ჩვენი ვიქტორინა



თქვენ რა წარწერას მოუგონებდით?

◎ ინფორმაცია

მოსამართლეთა გამოცდები 29 ოქტომბერს გაიმართება

მოსამართლეთა ახალი საკვალიფიკაციო გამოცდები 29 ოქტომბერს გაიმართება. აღნიშნული განცხადება გუშინ საქართველოს პარლამენტში იუსტიციის საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ გააკეთა.

ცერცვაძის განცხადებით, ის მოსამართლეები, რომლებმაც გამოცდები გაიარეს, სასამართლო სისტემისთვის მნიშვნელოვანი შევსება იქნება.

ვალერი ცერცვაძის განცხადებით, საკვალიფიკაციო გამოცდების უმთავრესი კრიტერიუმი მოსამართლეთა ცოდნა და სუფთა წარსული იქნება.

მისივე თქმით, სასამართლო ახალი და ჯანსაღი კადრებით უნდა დაკომპლექტდეს. უახლეს წარსულში 33 ახალი მოსამართლე დაინიშნა, რომლებმაც უნდა დაამკვიდრონ სასამართლო სისტემაში მაღალი კვალიფიკაცია, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა.

იუსტიციის საბჭოს მდივნის განცხადებით, დღეს ლიკანში ახალი მოსამართლეებისთვის სემინარი გაიმართება და ის ტრადიციული გახდება, რათა საკუთარი უფლებამოსილებები მოსამართლეებმა უკეთ გაიცნონ.

ინტერპრესნიუსი

◎ ფოტოკადრი



ამას რას ხედავს ჩემი თვალები!!!



გივი ჯოლბორდის ფოტო.

ხსოვნა

ზაზა ცინცაძე

ჩემო საყვარელო ძმაო ზაზა! მწუხარებითა და სევდით აღსავსე ორმოცი დღე გავიდა შენი მოულოდნელი გარდაცვალებიდან. რომ იცოდე, როგორ გვტკივა გული, როგორ გვიმძიმს უშენობა ყველას — ოჯახს, ახლობლებს, ჩვენს დიდ სანათესაოს და სამეგობროს, მაგრამ რომელი ჩვენგანის ტკივილი შეედრება დედის, მზიას გულისტკივილს. მას ხომ ჯერ არ განელებია ამ რამდენიმე წლის წინათ სამაგალითო მეუღლის, დავით ცინცაძის გარდაცვალებით გამოწვეული დარდი. მე და შენ ვიყავით დედის ნუგეში ამ მწუხარებაში, მაგრამ რა ვიცოდით მაშინ, რომ ბედისწერა უფრო დიდ განსაცდელს გვიმზადებდა. ახლა მარტომ როგორ ვატარო ესოდენ მძიმე ტვირთი, ორივეს ნაცვლად რით განვუქარვო დედას დარდი, მოუშუშებელი იარა როგორ დავუამო.

სათქმელადაც ძნელია, რა ცეცხლი ტრიალებს ახლა დედაჩვენის გულში. რა სიტყვებით შეიძლება იმ განცდების გადმოცემა, როცა შენს ნაცვლად კედელზე შენს სურათს დაინახავს მხოლოდ... დედა ხომ კარის ყოველ გაღებაზე შენს შემოსვლას ელოდება, თითქოს შენი ნაბიჯების ხმაც ესმის, ჰგონია, ისევ ძველებურად შემოხვალ, გადაეხვევი და ჰკითხავ: „დედა, როგორ ხარ, ხომ არ გადაიღალეო“...

ძნელია, გაუსაძლისად ძნელია ჩემთვის და დედასთვის ამ მწარე სინამდვილესთან შეგუება, რომ აღარასოდეს შემოხვალ ჩვენს ლამაზ ოჯახში. ჩვენთვის ეს სახლი უშენოდ დაცარიელდა. ვინ დაგვიბრუნებს იმ ბედნიერ დღეებს, ერთად რომ ვიყავით.

ჩემო ზაზა, შენისთანა ძმის დაკარგვა მეტისმეტად ძნელია, ჩემს გულში მუდმივ ტკივილად დარჩები და ამ ტკივილს დრო ვერ განკურნავს, კიდევ უფრო გააძლიერებს. ან როგორ შეეგუონ შენს გარდაცვალებას ჩვენი საყვარელი დეიდა ზეინაბი და ბიძა ოთარი, ისინი ხომ საკუთარ შვილებში არ გარჩევნდნენ. ასე როგორ გაგვიმეტე ყველა...

დღეს მხოლოდ მე დავრჩი დედას ერთადერთ ნუგეშად, მე მას მზრუნველობას და ყურადღებას არ მოვაკლებ, ორივეს მაგივრად გავუფრთხილდები, მაგრამ მე ჩემი ადგილი მაქვს მის გულში, შენს ადგილს ხომ ვერ დავიკავებ...

ბედნიერი არიან ჩვენი მამა დავითი და ბიძა ამირანი, ამ დღეს რომ არ მოესწრნენ.

ზაზა, შენ სულ ორმოცდაორი წელი იცოცხლე, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწარი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე კითხულობდი ლექციებს, სადაც მამა ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობდა და იურისტთა არა ერთი თაობა აღზარდა. გვეამაყებოდა მამის გზა ასე სასახელოდ რომ გააგრძელე. წელს უშენოდ შეაღეს შენმა სტუდენტებმა იმ აუდიტორიის კარი, რომლისკენაც მუდამ სიხარულით მიიჩქაროდი... ვერც ისინი დაგივიწყებენ...

ოჯახისა და ახლობლების გარდა გამორჩეულად უყვარდი ამხანაგებს, მეგობრებსა და კოლეგებს. ყველა აღფრთოვანებული იყო შენი ინტელექტით, ერუდიციით, დახვეწილი გემოვნებით, სიკეთით და მაღალი კულტურით, რასაც ჩვენს დიდებულ ოჯახში ეზიარე. უყვარდი ყველას, ვინც გიცნობდა, მუდამ მეგობრების წრეში ტრიალებდი, შენც ყველა გიყვარდა და მათაც გულწრფელი ცრემლებით დაგიტირეს. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენს შორის აღარა ხარ.

დღეიდან შენი სპეტაკი სული ზეციურ საქართველოში ამაღლდება და გარდაცვლილი წინაპრებისა და ახლობლების გვერდით დაიდებს ბინას. თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში კი სამუდამოდ დარჩები კეთილშობილების, კაცთმოყვარეობის, მეგობრობისა და პატიოსნების სიმბოლოდ.

ყველა ერთად შევთხოვთ უფალს, რომ ნათელში გამყოფოს მუდამ.

ოჯახისა და ახლობლების სახელით
შენი ძმა ბოჩა ცინცაძე.

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად: სწავლის სრული კურსის ღირებულებაა 1000 ლარი.

მისამართი: ილ. ჭავჭავაძის გამზ. № 32. ტელ: 22-34-26.

გაზეთის დღევანდელი ნომერი 24-გვერდიანია.

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 18 ოქტომბერს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
მორიგე რედაქტორი **ბონდო გულიაშვილი.**

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.